F 72
1872

1872

მეძველ წიგნი

თფილისი
ბ. წერეთლის ⸗ ამხ. (დუბლირის) სტამბა

1872

მეექვსე წელი

ოდესაი

ბ. წერეთლის ⸗ სმს. (დუბელტრის) ხელსაბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 января 1872 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეექვსე წიგნის უინაარსი:

დემონი ლერმონტოვის პოემა
(თარგნილი რუსულიდან) ფაზელი ა.
დავა ანუ ტოჩკა და ზპეტაია
კომედია ხუთ მოქმედებათ
(გაგრძელება) გ. ერისთვისა.
საუბარი ორთა შუა თ. აკ. წერეთლისა.
საქართველოს ისტორიის მასა-
ლები (სვეტიცხოველის ჩვენება იმათ
მიწა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით).
საზოგადო საქმეები (ბანკის საქმე
ჩვენში) ნ. სკანდელისა.

დამატება

გულიერის მოგზაურობა (ნათარგმნი ნ. სკანლისა.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

«კრებულის» რედაქციიდგან.

ვისაც შარშან ხელი მოუწერია «კრებულზე», იმათ დანარჩენი შვიდი წიგნი ამ წელს გაეგზავნებათ. ხოლო ახალი ხელის მოწერა მხოლოდ ამ ნახევარი წლის «კრებულზე» ანუ მომავალს ექვს წიგნზე მიიღება გ. წერეთლის და ამხ. (უწინდელ დუბელირის) სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ხატისოვის სახლებში.

ქალაქს გარეთ ხელის-მომწერთა შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ контору редакціи журнала* СБОРНИКЪ («კრებული»), *при Типографіи Г. Церетели и к°. (бывшей Дубелира).*

ხელ-მოსაწერი ფასი «კრებულზე»

ამ ნახევარ წლისა

გაგზავნით — — — — — — — — 3 მან.

თითო წიგნი ათ შაურათ ღირს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემონი

ლერმონტოვის პოემა

(რუსულიდან)

პირველი ნაწილი

უძღვნი სსოვნას გურიის მთავრის ასულის ტერეზიისას.

I

დემონი სულით შეწუხებული,
ზეციდამ წყროვმით გადმოგდებული,
ცოდვილს მიწაზე დანავარდობდა;
ამ დროს სამოთხის ბაღის ჩვენება
და უმჯობესთა დღეებთ ხსოვნება
მის თვალების წინ იჯგუფებოდა, —
იმ დღეებთ, როცა ნათლის საყდარში
ქერუბინივით წმინდა ბრწყინავდა,
როს მორბენალი ვარსკვლავი ცაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალერსიანსა სალამს უძღვნიდა;
როს განუმერეტელთ შორის ღრუბელთა
ცნობის მოყვარე განიხილვიდა,
მღოღავთა მნათობთ ქარავანებთა
სოფლის სივრცეში დაინახვიდა;
როს სასოება სცემდა სიყვარულს
ბედნიერს, პირმშო ღვთისა ქმნილებას,
ვერ სცნობდა შიშს, ვერც იქვნეულობას
და ვერც დაღლიდა მის ძლიერსა სულს
წელთ უნაყოფო წკრე მოსაწყენი;
და ბევრი... ბევრი... მაგრამ ყოველი
არ მოაგონდა მას აღშფოთებულს.

II

სოფლის ყრუ ველში ის დაბორგვიდა
დიდხან უმიზნოთ, უნავოსაყუდლოთ;
საუკუნები ერთმანეთს სდევდა,
ვით წამი წამსა, სულ უსაფუძვლოთ,
ერთ სახიანის რიგიანობით.
ხვდა მიწა რა თვის არა რაობით,
განუცხრომელათ ზედ შურს სთესავდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაალმდგომა არ სად თავისის
არ შეხვედრია ხელობის მქისის.
და ბოროტებაც ბოლოს მოსძაგდა.

III

და მთისა წვეტებს კავკასიისა
ზეცით დეენილი გადააფრინდა.
მის ქვეშ ჭალარა ყაზიბეგისა
თლილ ალმასივით თეთრათ ბრწყინვიდა,
და სილრმეში ძირს მოჩანდა შავათ,
როგორც გველთ ხვრელი კლდისა ნახარი,
იგრიხებოდა ძვირ სანახავათ
დარიალისა კამკამი წყალი.
თერგი მხტომარე, ვით ლომი შამბში,
ხუჭუჭის ფაფრით ქედ შემკობილი,
დაღრიალებდა და თვით მძვინვარნი,
ფრთოსანნი მაღლა, ცისა ლაჟვარდში,
დასტრიალებდნენ, იყვნენ მსმენარნი
გრგვინვისა მსგავსის მისისა ხმისა;
და მშვენივრება სამხრეთის ცისა,
ოქროს ღრუბლები გზას აბრწყვინებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მას ჩრდილოსკენ მიაცილებდნენ.
და იქ კლდეები, იწრო გროებათ,
საიდუმლოის ძილით აღესილნი,
თითქო მკრთოლვარე ზვირთებთ საჭვრეტათ
იყვნენ მაზედა გადმოწოლილნი.
და ბურჯნი კოშკებთ მაღლა კლდეებზე
სასტიკათ სჭვრეტდნენ მაღლა ჯანღებთა:
კავკასის კართან მყოფი გუშაგზე
მცველები იდგნენ უზარმაზრებთა.
მხეცებრივ, უცხო იყო ირგვლივათ
მთელი სოფელი, მაგრამა ცივათ
ამაყმა სულმა რაღაც სიზიზღით
თვალი მოავლო ღვთისა ქმნილებას,
და მის მაღალ შუბლს ვერ შეამჩნევდით
ვერც ერთსა რასმე მცირე ცვლილებას.

IV

და მის წინ სხვა რიგ სანახავები
მშვენიერება აყვავდა ცხოველათ:
აღმკულის ქართლის მწვანე ველები
გარდაიშალა ხალიჩებრ შორათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვიანი, უხვი ეს მხარე ქვეყნის
სამკაულია მთელი სამხრეთის.
მთის წყაროები, ჩქარ მორბენალი,
ფერად ქვებზედა ჩამომჩხრიალი
და ბუჩქი ვარდთა, სადაც ბულბულნი
უმღერენ ტურფებს გაცხარებულნი,
პატრონთ უგრძნობის, ცივის გულისა
იმათ ტკბილ ხმაზე სიყვარულისა;
ცაცხვი ჩრდილ ფართო შტოებ გაშლილი,
ტანზე სქლათ სურო შემოჭედილი;
ქვაბები სადაც ირემი ფრთხალი
გოლვიან დღეში გრილობს მაშერალი;
თრთოლა, სიცოცხლე, ფოთლებთ შრიალი,
ათას ნაირი ხმა უბნობისა,
სუნთქვა უთველელის ყვავილებისა,
ხალვა შუა დღის ტკბილ ნებიანი,
და გრილის ცვრითა სუნნელიანი
დაამებულნი შუა ღამები,
და ანათებენ იქ ვარსკვლავები,
როგორც ქართველთა ქალის თვალები.
მაგრამ ბუნებამ ნათელ-ფენილმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის სიხარბის გარდანამეტი,
ვერა რა აღსძრა მან მოლხენილმა
დევნულის გულში გრძნობა ვერც ერთი;
და რასაცა ის თვის წინ ხედვიდა
სულ ყველა სძაგდა, ვერ განისცდიდა.

V

ერცელის გალაენით დიდი სახლები
ძველმა გუდალმა აღაგებინა;
ერთგულსა ყმებსა ბევრი ცრემლები
და ბევრი ოფლიც დაადენინა.
დილიდამ ძირებს მახლობელ მთათა
მისი კედლების ჩრდილი ადგება,
კლდეში კიბები ჩაჭრილი ღრმათა
კუთხის კოშკიდამ წყლამდინ ჩაჰყევება;
მაზედ გამოჰკრთის თეთრ ჩადრ ბურვილი
კნიაჟნა თამარ, ჯერეთ ყმაწვილი,
წყლისთვინ არაგეზე მიიპარება.

VI

რაღაცა ჩუმათ ყველთვინ დაბლობში

ჩასცქერდა კლდიდამ ბნელი სახლები;
მაგრამ დღეს დიდი ლხინია მაში,
სჭყივის ზურნა და ბოლავს ქვევრები:
გუდალი ჯვარს სწერს საყვარელს ქალსა.
შეკრბენ ერთობრივ მცნობნი წვეულზე,
და ხალიჩებით მოგებულს ბანზე
ქალებთ შუა სმენ გასათხოვარსა;
მღერა-თამაშში უსაქმობისა
დრო მათი გადის. შორის მთებისა
თავები ჰფარავენ მზის ნახევარსა.
ტაშსა სცემენ რა სულ ერთ რიგიანს
ზედ დამღერიან, დაირას ხმიანს
გასათხოვარი იღებს ახალი,
და, აი, ისა ცალის ხელითა
თავზე ივლებს რა მშვენიერითა,
ხან გამოსხლტება ჩიტივით მალი,
ხან დასდგება და ცქერას დაიწყებს;
ირწყინვენ წყლიანი მისი თვალები,
რობლებს დასტრფიან ღაზო წამწმები;
ხან შავ-შავს წარბებს შეათამაშებს
ხან წინ მცირედათ გადაიხრება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხალიჩაზე სცურავს-სრიალებს
იმისი სამღრთო ფეხი მოჩრჩილი
და კიდევაც ის ძვირათ ღიმდება
ყმაწვილობისა ლხინით აღესილი;
და მთვარის შუქი, წყლისა სარკეზე
ნელათ ხან და ხან რომ ევლინება,
შეედრება კი, იმის ბაგეზე
როცა ბრწყინვალე ღიმილი სხლტება,
იმ საოცრობას, იმ მშვენიერობას,
იმ ყრმულ სიცოცხლეს, ცხოველ ბავშობას?

VII

ეფიცავ შვალამის ვარსკვლავებს,
სხივს ალმოსავალ-დასავლის,
მპყრობი ოქროვან სპარსეთის
და ვერც სხვა მეფე ამ ქვეყნის
ვერ ჩაკოცნიდა მსგავს თვალებს!
ჰარემის ჩქეფრსა შადრევანს
ცხელ ზაფხულის დღის საშვალზე
მარგალიტების წვეთთ მცვრევანს
არ ეცვოს მაგის ბადლ ტანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ხელს არც ერთის კაცისა,
სატრფო შუბლზედა მცოცავსა,
დაფუშვა მსგავსის ნამწნისა
არ ღირსებია ცოცხალსა.
იმ დღიდამ, რაც რომ ჩვენებმა
ტურფა სამოთხე დაკარგეს,
ვფიცავ, ესრეთი შვენება
არ განეფურჩქნოს ქვეყნად მზეს!

VIII

უკანასკნელათ ის თამაშობდა:
ხვალ რა ელოდა, ვინ გამოსცნობდა—
მას, მემკვიდრესა დიდის გუდალის,
თავისუფლების მხიარულ შვილსა,
სვე სამწუხარო უბრალო მონის,
სამყოფი უცხო დღეანდლამდისა
და უცნობელი ვიღაც სახლობა.
ᲨᲘᲠᲐᲗᲐᲪ რაღაც იჭვნეულობა
დაუჩრდილებდა ნათელსა სახეს;
მაგრამ ყოველი მისი ქცევა
ისრე აღსავსე იყვნენ ზნეობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრე სიტურფით, უბრალოებით,
რომ თითონ დემონს გადმოუცინვალეს;
მაშინ იმისთვინ შემოეხედა,
მოიგონებდა რა ყოფილსა ძველს,
პირს იქცევდა და დაიკვნესებდა.

IX

დემონმა ნახა.. კიდევაც წამით,
გამოუთქმელი მღელვარეობა,
უეცრათ ნახვით იგრძნო მან ამით.
მისი ყრუ სულის ცარიელება
აღიესო საღმრთო მადლისა ხმებით.
ახლად შეეხო მან ძალს წმინდობის,
ტრფობის, კეთილის და მშვენიერობის,
და დიდხან უცხო სანახაობით
ის დასტკბებოდა,—და ოცნებები
წინანდელს ბედზედ გრძელის სკვნელობით.
როგორც ბრწყინვალე ცის ვარსკვლავები,
სასიამოვნოთ მის წინ დარბოდა
ზედ მიჭედილი უცნობის ძალით,
ახალსა დარდებს ის ცნობილობდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესმე მისის შობლურის ენით
მაში გრძნობები ლაპარაკობდა.
იყო ის, ვითომ, ჩვენების კრთოლვა,
ახლათ მისისა განცხოველების?
მან კი სიტყვები ცუდ-მაცთურების
თვის გონებაში ველარა ჰპოვა.
ივიწყოს?—ღმერთი არ აძლევს ნებას,
არც აიღებდა ის დავიწყებას.

X

დაღლილის ცხენით, საღამოს ჩრდილში,
მზის დასვლისა დროს, საღამოს ლხინში
იჩქარის სიძე მოუთმენელი
და ეჩვენება მისი მლხენელი;
ამგვარ უვნებლათ არაგვის პირებს
მიუახლოვდა მწვანით მოსილებს.
მძიმე ტვირთ ქვეშეთ საჩუქრებისა
ძლივ-ძლივაობით ფეხებს იცვლიან
მის უკან ჯაჭვი აქლემებისა,
გრძელ წკრეთ შარაზე მიღოღდებიან,
ეჭვნებსა მათსა გააქვს ჟღრიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონ პატრონი წინანდალისა
წინამძღოლია ქარავანისა;
წელზედ უხდება უცხოთ ქამარი,
დამბაჩა, ხმლისა მოჭედილობა
ბრილიანტივით ანათებს მზეზე:
მის ჩოხის სახლებს ქარის ცელქობა
ანძრევს, და თოფი ჰკიდია მხრებზე.
ფერადის ძაფით მას აქვს ნაკერი
უნაგრის ბორდა;—აღვირის წვერი
ფოჩვიანია, და მის ქვეშ ცხენი
არის უფასო, ოქროის ფერი;
მარდი, ნაზარდი ყარაბახისა
შიშით აღვსილი ყურებსა აქვეტს.
ხრუტუნით განზე დაბლა ჩაჰყურებს
ჩქარათ მომხტომის ზვირთების ქაფებს:
საშიშარია იწრო პირების
გზა მარცხნივ მცირე საოცარ სვეტზე,
მარჯვენითა დიდი სიღრმე წყლის ტბების;
გვიანაც არის, თოვლიან მთებზე
ალარა სჩანს მზის სხივები; მათზე
ბნელდება კიდეც; აღსდგნენ ჯანლები,
უმატებს ნაბიჯს მოქარავნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI

აი, საჯვარე ზედ გზისა პირას.
იქ დიდის ხნიდან დამარხულია
ვიღაც თავადი, უწოდენ წმინდას
და მტრისა ხელით ის მოკლულია.
იმ დღიდან ლხინში, თუნდა საღამრად,
რისთვინაც მგზავრი არ გაივლიდა,
უთუოთ ლოცვას მხურვალეს ყოვლად
საჯვარეს წმინდას ის მიუძღვინდა.
და ის ლოცვები ჰფარვიდნენ მგზავრსა,
ველარ ავნებდა ლეკთა ხანჯლები.
მაგრამ არ სწამდა ყმაწვილ თავადსა
მამა-პაპათა ჩვეულებები;
ეშმაკეულის იმას ოცნებით
დემონი მაშინ გულსა უმღერევდა,
და ღამის ბნელში ის მოფიქრებით
საცოლოს ვარდებრ ტუჩებსა ჰკბენდა.
უეცრათ ორნი გამოხტნენ გზაზე,
გავარდა თოფი... ნეტავ რა არი?
შედგა რა ხმიანს უზანგოებზე,
წარბებზე ფაფარ ჩამოხურვილმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირმა თავადმა ხმა გაკმედილმა
თათრულ თოფს ხელი მოავლო ჩქარი,
მათრახი სტკიცა და როგორც ორბი
მტრებს მიუვარდა. გავარდა თოფი,
და ყრუ შეკვნესა, კვილი მწარი
გაიარა იმ ყრუ ხეობაში.
დიდხან ომი არ გაგრძელებულა:
ფრთხალი ოსები გაიქცნენ მთაში.

XII

დასწყნარდა ომი. შეყრილნი მჭიდროთ
შიშით აქლემნი ზედ დასცქეროდნენ
მეომართ ლეშებს. ხანდახან უნდოთ
ზარები მათი გაზუზუნობდნენ.
წარხდა მხნეობა მოქარავნებთა,
და გვამებზედა ქრისტიანებთა
წრეებსა ხაზავს ღამის ფრინველი.
მათ არ მიელის მყუდრო ის ველი
მონასტრის ფინ ქვეშ, სად საყვარლები
მარხია მათი მამათა ძვლები,
არც მოვლენ მათთან დედითურთ დები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველებრ ჰფარვიდენ გრძელი ჩადრები,
კიეილით, ლოცვით და ცრემლებითა;
ნაცვლათ მომტირნის, უცხო ხელითა
აქვე მზის პირზე, კლდეებთ ძირებში,
სახსოვართ წმინდა ჯვარი აღზდგება,
და მწვანე სურო მარტის დღეებში
იმას ალერსით შემოევლება
თავისის ბადით ზურმუხტის ფერით;
და გადუხვევს რა ამა გზით ძნელით,
დაღლილს მგზავრს რომ სვლა შეეზარება,
ამ წმინდა ჩრდილ ქვეშ შეეფარება.

XIII

მიჭენობს ცხენი, ირემზე მალი,
ხრუტუნებს, მიხტის, თითქო ომშია,
ხან მყის შედგება რაღაც შემკრთალი,
ქარს ყურს მიუგდებს ხეობაშია;
ფართეთა ჰბერავს ცხვირის ნესტოებს,
ხან ფეხებით სცემს ერთათ მიწაზე
ლურსმებს, დაჭედილს მის ხმიან ნალზე,
ანძრევს რა ყელზე გადაყრილ ფაფრებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუხედველათ სულ წინ მიფრინავს.
მაზედ კვლავ არის ჩუმი მხედარი,
უხმო უსიტყვო, თითქო მას სძინავს;
ხელში უჭირავს მაგრათ ფაფარი,
სადავეები ზედ აქვს მიყრილი.
უზანგებშიაც ფეხებ გაყრილი,
და სისხლი ფართე ღარათ საცოდავს
მოასხამს, წითლათ აჩნია ბორდას.
გიჟმა გამქცევმა მან პატრონისამ
ომით შურდულებრ გამოიტაცა,
მაგრამ მომწყველმა ტყვიამ ოსისამ
მას წყვდიადშიაც სული წასტაცა.

XIV

გუდალის სახლში ხმა ვაებისა
არის და ხალხი იჭრება კარზე.
ცხენი მტვრიანი ეკუთნის ვისა,
იქვე რომ დაწვა ჭიშკართან ქვაზე?
ვინ არს მხედარი სულ მოუთქმელი?
სისხლში მოსვრილი აქვს ტანსაცმელი;
დაჭმუხვნილებას შავის სახისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩნია კვალი ბრძოლის ტანჯვისა
უკანასკნელსა გიჟ მოხვევნაში
ზედ მიკვდომია ხელი ფაფარში.
ქალო, ვეჰვ მეტად, არ დაქანცულა
საქრმოს ლოდინში შენი ყრმა სული,
თავადის სიტყვა მან აღასრულა:
მოგისწრო დროზე აჩქარებული.
მაგრამ საბრალო უკანასკნელათ
ზის თავის ცხენზე ს[illegible]ენებელათ.

XV

ამა უდარდელ სახლობას ზარი
დაეცა, როგორც ცით მოკლენილი.
თავის ლოგინში პირქვე თამარი
სტირის უწყალოთ, ვულამოსკვნილი;
წკრიალად სდევენ რა ცრემლებს ცრემლები,
ოხვრა ამოსდის ბროლის მკერდიდამ.
და აი იმას რაღაცა ხმები
მომხიბელელები ესმის ზეციდამ:
—«ნუ სტირ, ყმაწვილო, ნუ სტირ უბრალოთ,
შენი ცრემლები უსიტყველ ლეშზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გარდესხმება გამკურნელ წყარონთ, —
შენღ ურბლებს გადებს მხოლოდ თვალებზე
ქალწულებრივსა გთუთქავს ლოყებსა.
ის შორსა არის, ვერას შეიტყობს,
ვერ დააფასებს მაგ შენს დარდებსა;
ციური სხივი მშვენივრათ ათბობს
ეხლა უსისხლოს მისსა თვალებსა,
და ანგელოზთ ხმა ყურს ალხენს მისსა.
რაა სიცოცხლის წვრილი სიზმრები,
საბრალო ქალის ოხვრა, ცრემლები,
სასუფეველის სტუმრისათვისა?
არა, ცხოვრება მომაკვდავისა,
შექნილის მხოლოდ ორის დღისთვისა,
მერწმუნე, ჩემო ღმერთავ მიწისა,
არ ღირს, ვინც იყოს, არცა ერთ წამათ,
ამდენ შენ ოხვრათ და ძვირ ფას დარდათ.»

«ჰაერის ღრმა ოკეანში
უნიჩბებოთ გაშვებილნი
წყნარათ დასცურავენ ვრცელ ცაში
მნათობებთ გუნდნი წყობილნი.
თვალ უწვდომელთ ველებთ შუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა რბიან დღე და ღამე
შეუმჩნეველთ ღრუბლებთ გროვა,
ლეჩაქივით გამჭვირვალე.
დღე შეყრის, ან გაყრის ბნელი,
არ აქვთ დარდი მათ არც შვება,
არც მყოფში რამ სანატრელი,
არც წასულში მწუხარება.
სევდიან დროს მეყვსეულათ
გახდი მათი მიმბაძველი:
სოფლისათვის იყავ გრილათ
და მათსავით უდარდელი.»
«რა მხოლოდ ღამე თვისის პირბადით
კავკასის მთებსა გარდეფარება,
რა მხოლოდ სოფელს მაცდურის სიტყვით
მოჯადოსნულსა ჩაეძინება,
რა მხოლოდ ქარი დაწყნარებული
მჭკნარ ბალახს შესძრავს ქროლითა თვისით,
და ჩიტი მაში დაბუდრებული
გამოფრინდება ბნელში ხალისით
და ვენახებთ ქვეშ სიამოვნებით
ცვრებს რა ციურსა ჰყლაპავს სიხარბით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ყვავილი გარდაიშლება,
რა მხოლოდ მთვარე ოქროს ფერითა
მთის გადაღმიდამ წყნარად აღსდგება,
და ილხენს ჩუმათ შენის ჭვრეტითა, —
იმა დროს შენთან მე მოვფრინდები,
განთიადამდის სტუმრათ დავრჩები
და აბრეშუმებრ შენსა წამწმებსა
დავახვევ მრავალ ფერად სიზმრებსა!»

XVI

სიტყვები გასწყდნენ. მოშორებულათ
ხმის ნაკვალებში ხმები ჰქრებიან;
ის წამოვარდა განცვიფრებულათ
თვალები ირგვლივ იყურებიან.
გამოუთქმელი მღელვარეობა
არის მის მკერდში: დარდებს და შიშსა
თუ ვნებების ალს, — რა შეედრება
ერთათ გრძნობების მაში დულილსა!
სულმა გაგლიჯა თვის ბოროკლები,
ცეცხლი ძარღვებში მიმორბიოდა,
და ეს ახალი უცხო რამ ხმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ეგონა თუ კელავაც ესმოდა.
ცისკრის დროს მხოლოდ მისგან ნდომილმა
დაახუჭინა თვალები ძილმა.
მაგრამ აშფოთებს ჰაზრები სულით,
ფიქრით წინ მცნობით, ახირებულით.
მუნჯი სტუმარი ეს ღრუბლიანი,
არ მიწიური შვენებიანი
მის სასთუმალზე წამოიძახა,
ლამპრისა ალი სხივით დაჰფარა
და მისი სახე განმცვიფრებელი
ისე მწუხარედ ზედ დასცქეროდა,
რომ თითქო მას ის ებრალებოდა.
ის არ ყოფილა ზეცისა მცველი
ღვთის ანგელოზი, მისი მფარველი:
ცის-სარტყლებისა სხივით შემკული
გვირგვინი თმაზე მას არ ეფარა
არც იყო ბნელი საში'ში სული
მცდარი მოწამე,—ოჰ... სულაც არა,
ის საღამოსა ჰყვანდა მოწმენდილს,
არც დღეს არც ღამეს არც ნათელს არც
ჩრდილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნაწილი.

—

I

— «მამავ, დაეხსენ ფუჭსა ჯავრობას,
შენ საწყალს თამარს ნოღარ უწყრები:
ხო ხედავ უწყვეტს ჩემსა ცრემლობას,
და არ არიან ეს პირველები.
არ გავსთხოვდები მე აწ ჩემ დღეში,
უთხარ სულ ყველას ჩემთვინ მოსულსა,
მეუღლე ჩემი სწევს სამარეში,
სხვას ველარავის ვერ მივცემ გულსა.
რაც სისხლიანი მისი სხეული
დავასაფლავეთ კლდეში ვაებით,
მე არ მასვენებს მაცდური სული
განუდეენელი, მძიმე ფიქრებით.
წყნარ ღამეებში მაშინებს მუდამ
გროვა უგვანის, მწუხრის სიზმრების;
აზრი შორს არის სიტყვისა ხმიდამ,
ცეცხლი ძარღვებში გარბის-გამორბის.
მე ვსდნები, ვსჭკნები, ხედავ, დღე და ღღე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული იტანჯვის ყმაწვილ მკერდშია.
მამა ჩემო, გთხოვ, შემიბრალე მე,
მიმეცი წმინდა საკანეშია!
იქ დამიფარავს მე ჩვენი მხსნელი,
მსურს მის წინ ცრემლით დავადნო სუნთქმა.
ამ ქვეყნად არ მაქვს მე საშვებელი;
სჯობს მყუდროებით წმინდა ნაკურთხმა
დე მიმიღოს მე, როგორც საფლავმა,
წინათვე ბარემ ბნელმა სენაკმა!»

II

და განერთებულს შორს მონასტერში
ის საფარველს ქვეშ უფლისა მისცეს,
და ჩოხანითა სიმშვიდის ბნელში
ყმაწვილი მკერდი მისი შემოსეს.
მაგრამ მონაზენის უხერ საცმელში
მას კვლავ სურვილი არ ასვენებდა,
და, როგორც სირმით ნაკერ ფარჩებში,
უნდო ფიქრებით კვლავ გული სცემდა.
საკურთხეველის წინ, როცა სანთლები
უქმსა დღეებში ნათლითა თრდოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშვალ ლოცვისა მას ნაცნობები
ხშირად საამო ხმები ესმოდა.
გუმბათ ქვეშ ბევრჯერ იმ ბნელის საყდრის,
შეუმჩნეველათ, საკმევლის ნისლში,
მიმოქროლვიდა სახე ნაცნობის,
უგზო და უკელოდ ყოფილი ფიქრში,
და ბრწყინვიდა რა როგორც ვარსკვლავი,
იწვევდა..., ხმობდა...საით, ნეტავი?

III

საგრილებელს ქვეშ ორის გორების
წმინდა მონასტრის ჯვარი ჩნდებოდა;
ჩრდილი ვერხვის და ალვის ხეების
მას ბურულამდი ეფარებოდა,
და ხანდახანაც, რა ღამე ხევში
ჩამოწვებოდა, მაშინ ფანჯრებში
ახლის მონაზონის ლამპარი ჰკრთოდა.
ირგვლივაც ჩრდილში ნუშის ხეების,
სად დგას წკრეები მწუხრისა ჯვრების,
მცველები ჩუმის საფლავებისა,
იმღერდნენ გუნდნი ფრინველებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვებზე მოხტოდნენ და ხმაურობდნენ
საციველები ყინულის წყლების,
და დაკიდებულთ ქვეშე კლდეების
ერთმანეთს ძმურათ უერთდებოდნენ
და მიგორავიდნენ ისევ ბუჩქებში,
უცხო ყვავილით შემკულ პირებში.

IV

ჩრდილოეთის მხრით მოსჩანდა მთები
დილის ავრორის ნათლის სხივებში,
როცა ცის ფერათ მიწის ბოლები
დაბრუნავს წუნარათ ხეებთ სილრმეში.
და მიმართული აღმოსავლისკენ
მუეზზინები *) ლოცვათა ხმობენ
და გულმოჯირნეთ შაგირდი ზარებს
სცემს; ;ია, მონასტრის ბერებს აღვიძებს, —
სიმშვიდის მფენის საუფლო დღეში,
როცა ქართველი ყმაწვილი ქალი

*) მუეზზინები თათრულათ ჰქვიან იმ მღვდლებს, რომლებიც დილით მინარეტებიდან ჰკივიან და ზარების მაგივრათ იწვევენ მლოცველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიხისა ჭურჭლით, მთის ფერდოებში
ჩამორბის, უნდა აზიდოს წყალი.
წვეტებთა ჯაჭვის თოვლიანების
იისფრის ჩრდილი, როგორც კედლების,
მოწმენდილ ცაზე იხატებოდენ,
და მის დასვლის დროს იმოსებოდენ
ისინი წითლის პერანგებითა;
და იმათ შორის ძვირ სანახავი
ყველაზე მაღლა იდგა თავითა
ყაზბეგი, ქართლის მეფე უკვდავი
ფარჩის პორფირით და თეთრ ჩალმითა.

V

მაგრამ აღსავსეს მცდარის ფიქრებით
თამარის გულსა წმინდა შვებები
არ ეკარება. იმისი ხედვით
მრთელს ამ ქვეყანას ჰბურავს შავები
და მისთვის ყველა სატანჯველია —
რაც რომ სოფელში სანატრელია.
უწინ რა მხოლოდ ღამის მძინარის
სიგრილე მიწას მოეხვეოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ ღვთის მშობლისა წმინდის ლამპარის
ის უგინებოთ დაეცემოდა
და ცრემლებს ღვრიდა, და ყრუ ღამისა
დუმილში, ხმები მისის ოხვრისა
მოგზაურისა სმენას აფრთხობდა,
და ის ფიქრობდა: «სწორეთ მთის სული
კენესის სადამე, ხევში მიბმული,»
და ფრთხილის სმენით ყურს რა უპყრობდა,
დაღლილს ცხენს მეტათ ეხვაებოდა

VI

შეცული შიშით და დარდებითა
თამარი ხშირათ ფანჯრებთან სკამით
ზის მოწყენილი მარტოობითა,
და შორათ გასცქერს მომჭირნის თვალით.
მთელი დღეები ოხრავს და ელის,
და უჩურჩულებს ხმა უხილველის
მას შემდეგს სიტყვებს: «ნუ სწუხარ, მოვა...»
და არ უბრალოთ სიზმრებთა გროვა
მას ყოველ ღამე ეჩვენებოდა
მწუხარებისა აღსილი სახით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უბნობის ხმის უცხო სინაზით.
ბევრი დღე არის, რაც ის იტანჯვის,
მაგრამ არ იცის თვითონც რისათვის.
წმინდებთა ლოცვას რა მოინდომებს,
გული მარტოკა მას ეევდრება:
ყოველ-დღიური ბრძოლა ასუსტებს,
და ლოგინზე რა ძილათ ეშვება,
მას სწვავს ბალიში, რაღაც აწუხებს,
ის მრთლათ კანკალებს და წამოხტება,
ენთება მკერდი და თეთრი მხრები,
სულს ველარ ინთქავს, ხედვა ბნელდება,
მოხვევნას ხარბათ ეძებს მკლავები
და ანბორება ტუჩებზე დნება.

VII

მწუხრის ჰაერის ბურუსის ჩრდილმა
ქართლის გორები კვლავაც დაბინდა;
ტკბილ ჩვეულობის მარად მორჩილი
დემონი ჩვეულს ადგილს მიჰფრინდა,
მაგრამ მრავალი გაუშო ჟამი,
სანამ გაბედა ყოველის მპყრობლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიწმინდე წყნარის ნავთსაყუდლისა
შეურაცხ ეყო; —და იყო წამი,
როცა ჰგვანდა, რომ ის მზათა იყო
განზრახვა მძაფრი დაეგდო თვისი,
და დაღრეჯილი კედლების ძირში
დასეირნებდა. ფეხის ხმა მისი
ფურცლებს ათრთობდა უქაროდ ჩრდილში:
ზემოთ შეხედა: ქალის ფანჯრებში
სუსტ სხივიანი ლამპარი ბრწყინავს, —
ის ელის სტუმარს, ჯერ კვლავ არ სძინავს.
და აი საშვალ ღამის დუმილში
ახირებული ჩანგურის ჟღერა
და მასთან ტკბილი უზომოთ მღერა
განხდა ჰაერში, და იმის ხმები
სდევდენ ერთმანეთს, როგორც ცრემლები.
და ის ლექსები, ცნობის მიმღები,
ალმტაცებელნი, თითქო ისინი
ჩვენთვის თვით ცაზე იყვნენ წყობილნი.
ნუ თუ ანგელოზს უსაქმო დროში
ძველის მეგობრის მოუნდა ნახვა
და განშორებულს ამ უდაბნოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან აღასრულა თვისი განზრახვა,
რომ მით დაეტკბო მისი ტანჯვები?
ტრფობის სევდები, ენებებთ ღელვები
დემონმა იცნო ეხლა პირველათ:
შემკრთალი მზაა გასაქცეველათ,
მაგრამ არ იძვრის იმისი ფრთები,
და, საოცრობა!... მშრალის თვალიდამ
გადმოედინა ცრემლისა ღვარი...
დღემდინაც თვითონ იმ სენაკიდამ
მოჩანს ქვა ერთი, შვაზე გამწვარი
ცრემლით, როგორც რომ ცხელი ალითა,
და არ კაცური სწორეთ ცრემლითა.

VIII

და შედის საცხე ის სიყვარულით,
კეთილისათვის გახსნილი გულით,
და ჰაზრობს, ახლათ განცხოველების
აჰა მოვიდა დრო ნეტარების!
გაუგებარი ლოდინის ძრწოლა,
შიში, მუნჯობა, უცნობელობის
პირველის შეყრის დამდნობი თრთოლა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგო სულმა ამპარტავნების,
ეგ კარგს არაფერს მოასწავებდა.
სახლში შესვლის დროს მის თვალებს შეხვდა
თვით ქერაბინი, ელჩი ზეცისა,
მცველი ცოდვილის მშვენიერისა,
სახე რომლისა მზეებრ ბრწყინვიდა;
და მტრისაგან მან ნათლის ღიმილით
დაჰფარა ქალი თავის წმინდა ფრთით.
და ღვთაებრული შუქი ნათლისა
სთურგნიდა ხედვას მისსა ცოდვილსა,
და ნაცვლათ ტკბილის მოსალამების
ესმა სიტყვები საყვედურების:

XI

— «სულო ბოროტო, სულო ცოდვილო,
ვინ მოგიხმო შენ ბნელში შვალამის?
მაცთურო, ცუდო, ღვთისგან დევნილო,
შენი მორწმუნე აქ არვინ არის.
ჯერ არ უსუნთქვავს ბოროტს ამასთან;
ჩემ სიყვარულთან, ჩემ წმინდებასთან
შენსა ბიწიერ ბილიკს ნუ იჩენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ მოგიხმო შენ?»

ამის პასუხად

დემონმა რაღაც შესცინა მწუხრათ.

აღტყინდა შურით მისი თვალები

და იმის სულში გაცხოველდა ახლათ

ძველის მტროპისა საწამლავები.

—«ეს ჩემი არის, შესძახა მძლავრათ,

დაეხსენ, წადი, ეს ჩემი არის!

გვიან მოსულხარ შენ მის მფარავად,

აქ მსაჯულება შენი არ გადის.

აღსავსე გულზე ამპარტავნების

მე დავიჩნიე ჩემი ბეჭედი;

შენ ველარას იქ შენის წმინდებით

აქ მე ვუფლებ და მალხენს იმედი!.»

და ანგელოზმა მწუხრათ თვალები

ერთხელ საბრალო ქალს კვლავ გადაჰკრა,

და დაწყნარებით დასძრა მან ფრთები

ცისა ეთერსა შეერთო, გაჰქრა.

X

თამარი

— «ოჰ ..ვინა ხარ შენ? საშიშარმა ხმამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ დამაფრთხო, გონს ვერ მოვედი,
მოგზავნილიხარ ჯოჯოხეთიდამ,
თუ სამოთხიდამ ჩემთვის მოხვედი?
მითხარი ვინ ხარ?

დემონი

მშვენივრობა ხარ!

თამარი

მაგრამ სთქვი, ვინ ხარ, პასუხი გამე?

დემონი

ვინავარ? ეაჰმე!

მე ის ვარ, ვისაც შენ ყურს უგდებდი
შუა ღამისა იდუმლობაში,
ის ვარ, ვინც შენს აზრს ვუჩურჩულებდი,
ვის დარდებს ბნელათ შენ გამოსცნობდი,
ვისიც სახესა სჭვრეტდი სიზმარში.
მე ის ვარ, ვინცა იმედსა ჰლუპავს,
რა რომ იმედი აღყვავილდება,
მე ისა ვარ, ვინც არავის უყვარს
და ყველა სწყევლის, რაც კი იზრდება!
რაა ჩემთვის სვლა საუკუნების
მე ვჭლეტ მიწიერს ჩემსა მონებსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ვარ ცოდნის და თვითმუფლებისა,
მტერი ქვეყნის და ზეცის გუნდების,
მაგრამ, მჭვრეტ,—ვკოცნი შენსა ფეხებსა.
მე მოკიძღენ შენ შესაბრალები
ლოცვა პირველის სიყვარულისა,
მსოფლიო ჩემი გრძნობის ტანჯვები,
ოხვრა პირველი ჩემის სულისა.
ოჰ! შემიბრალე, მისთვის გაწუხებ:
მე კეთილობას და თვით ზეცასა
შენ ერთის სიტყვით კვლავ დამიბრუნებ,
ტრფობისა შენის სამოსს წმინდასა
შემოვიმოს რა, იქვე წავრსდგები,
როგორც ბრწყინვალე ანგელოზები.
ოჰ! ყური მიგდე, კვლავ გვეედრები,
მე შენ მიყვარხარ, შენ გემონები.
რა მხოლოდ ერთხელ გადავკარ თვალი,
დაუყოვნებლივ შემძაგდა სრულათ
უკვდაება და თვით ჩემი ძალი,
და მე შემხარბდა სულ უნებურათ
შენი უსრულო მხიარულება.
სხვა რიგ სიცოცხლე შემექნა ძნელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საშიშაროთ ცალკე ცხოვრება;
მშრალ გულში შუქი მოულოდნელი
ისევ გამითბა, თითქო მშვიდობის,
და დარდი ძირში ძველის ჭრილობის
გაინძრა, როგორც ფურცლებში გველი.
რაა უშენოთ ეს უკედავება,
ჩემის გონების უსამზღვროება?
მხოლოდ ხმოვანი სიტყვები მცდარი,
როგორც ულმერთო ვრცელი საყდარი.

თამარი

განვედი ჩემგან, სულო შემცდარო!
დაჩუმდი! არ მწამს მე სიტყვა მტრისა
ველარ ვლოცულობ. ოჰ, მაცხოვარო,
რალაც მომწყველლის საწამლავითა
ჩემი სუსტი ჭკვა მრთელათ აღვსილია.
მისმინე, მღუპავ! ეს ნამდვილია, —
შენი სიტყვები ღვივა ალითა,
მითხარ თუ რისთვის შეგყვარებივარ?

დემონი

რისათვის, ტურფავ? ვაჰ ჩემ ცხოვრებას!
არ ვიცი, რალაც აღვსებილი ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლის სიცოცხლით, ვვრძნობ ალტაცებას,
დანაშაულის ჩემის თავიდამ
ეკლის გვირგვინი გარდავიხადე;
ამპარტავანებით მტვერში ჩავაგდე
ყოველი ყოფილი, და იმა დღიდამ
ჩემი სამოთხე და ჯოჯოხეთი
შენ თვალებშია, ხარ ჩემი ღმერთი.
მიყვარხარ მე შენ სულ სხვა ენებებით,
რა რიგ არ ძალგიძს შენ შეყვარება,
ყოვლის სურვილით, ყოვლის შეძლებით
უკვდავის აზრის, და ზედ ოცნება
სახმილსა მიდებს წარმოდგინებით.
დასაბამიდამ სოფლის ჩემ მკერდში
ჩაბეჭდილ იყო შენი სურათი;
წინ დამირბოდა ის ვრცელ ეთერში,
როგორც ვარსკვლავი, ღამისა მნათი;
დიდი ხანია მირევდა ის აზრს,
სანატრელ სახელს ყურში ჩამძახდა.
სამოთხეში მე, ნეტარების ჟამს,
შენ ერთის მეტი არა რა მაკლდა.
ოჰ! რომ შეგეძლოს გაიგებდე მრთლათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მწარე არის ჩემი წვალება,
მრთლათ საუკუნოთ თანა უგრძნობლათ
ტანჯვა და თუნდ თვით სიაზოვნება:
ავისთვინ ქებას არ მოელოდე,
არც კეთილისთვის დაჯილდოებას,
შენთვის სცხოვრებდე, შენთვის დარდობდე
და სულ ამ რიგათ ჰკლავდე დროებას;
განუცხრომელათ, შეურიგებლათ,
ყოველთვის სწუხდე და არ რა გსურდეს
იცოდე, გრძნობდე, ყველას ხედვიდე,
ნებას გარეშე სულ ყველა გძულდეს
და ვერც ერთს მათგანს ვერ განიცდიდე!
რა მხოლოდ ჩემზე შეჩვენება ღვთის
აღსრულდა, ნება მისი გავიდა,
მოხვევნა თფილი ძმურის ბუნების
სამარადისოთ ჩემთვინ გასცივდა.
ჩემ თვალ წინ სივრცე ლურჯადა სთრდოდა
ესჭვრეტდი ქორწილის მოკაზმულობას,
ძველი მცნობების მნათობთ ყრილობას;
მათზედა ოქროს გვირგვინი ჰკრთოდა.
მაგრამ რა ვახდა? უწინდელს ძმობილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირატეს ქმნილს, თვით კეთილ შობილს
მათგან ვერც ერთი ვერ ცნობილობდა!
განდევნილებსა ჩემსავე მგზავრებს
სასო წასული შველად უხმობდი,
მხოლოდ სიტყვებს და სახებს მახინჯებს
ვაჰ მე! თვითონც მე ვერ ვცნობილობდი.
და გულ მოსულმა, დავსძარ რა ფრთები,
მე გავექანე... მაგრამ სით? რისთვინ?
არ ვიცი. მხოლოდ ძველი მოძმები
უარსა მყოფდენ; ვგონებ ამისთვინ
სოფელიც ისე დამუნჯ-დაყრუვდა,
როგორც ედემი ჩემთვინ გაფუჭდა.
ნების ქვეშით მდინარეობას,
ესრე საბრალო ნავი ვნებული
მისდევს და ვერ სცნობს დანიშნულებას;
ესრე ციაგში განთიადისა
მარტოკა სცურავს შეწუხებული
მცირე ნაწყვეტი შავის ღრუბლისა,
ვერსად ვერ დგება შეშინებული,
და უგვზოოუკელო დარბის ამ სახით,
უფალმა იცის საიდამ ან სით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ხალხებს მე დიდხან არ ესცვიდი,
ოდესვებში დიდხან მათ არა ვწრთვიდი,
ყველაფერს კეთილს ტალახში ესერიდი
და ყველაფერს კარგს მარად ვლანძღიოდი,
არ დიდ ხან, ვამბობ... წმინდა მცნებათა
მირგავს მე მათში სალმრთო ძირები;
და ან კი ღირდნენ ჩემ სასჯლებათა
მხოლოდ ბრიყვნი და პირ მოთნეები?
და დავიმალე მთის ხეობებში,
დავბორგვიდი ჯვარის ძალსავით
შუა ღამისა ბნელის სილრმეში.
და მორბოდა იქ ვიღაც მგზავრსავით,
მოტყუებული ახლოს ცეცხლითა
ის გადაიმსხვრა კლდეში ცხენითა.
უბრალოთ ხმობდა, შველას ელოდა.
მის უკან დალმა იგრიხებოდა
ღვარი სისხლისა, როგორც საბელი.
მაგრამ განცხრომა ბოროტებისა
არ იყო ჩემთვინ მეტათ ხან გრძელი.
ომში ძლიერის ქარიშხალისა
ხშირათ, როცა ცას ვამტვრიანებდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსილი ნისლით და ელვებითა,
ღრუბელთა შორის დაეხრიალებდი,
რომ თავისუფლებს ეგებ სტიხიებს
დაეტკბოთ ჩემი გულის თქმა მწარი,
გადავრჩენოდი ნაღვლიან ფიქრებს
და დამეივწყნა დაუვიწყარი!
რაა მოთხრობა მწუხრის ამბების,
სასჯლის და ტანჯვის ხალხის გროისა,
მყოფის თუნდ წასულს შთამომაველობის,
შესადარებლათ ერთის წამისა
გაუგებარის ჩემის ძრწოლისა?
რა არის ხალხი, ან მათი ბედი?
მათ გაუვლიან, ,ვლავ გაივლიან,
ელის განკითხვ', არის იმედი,
მიეტევებათ და ნ დასჯიან.
ჩემნი კი მარად აქავ არიან
ძრწოლვა ტანჯვები და მწუხარება,
და მათ ჩემებრივ არ აქვთ ხწნილება
არც საფლავში მათ მიეძინება,
ისინი ღოღვენ მარად ჩემ ტვინში,
ხანმწვენ დაჰკრთიან, ჰფანტვენ ნაპერწკლებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან მაწვებიან ქვასავით ფიქრში,
მილუპვენ ვნებებს და ტკბილ იმედებს,
როგორც სიკვდილი — კაცსა სიცოცხლეს!

თამარი

რათ მინდა ცოდნა შენის დარდების?
აწ დაასრულე ჩივილი, კმარა.
შენ დააშავე...

დემონი

შენთან ხომ არა?

თამარი

გაგვიგონებენ, დაჩუმდი ერთი...

დემონი

ჩვენ მარტონი ვართ.

თამარი

ა მაღლა ღმერთი!

დემონი

რისთვის მოიცდენს ჩემზედა ხედვას,
ის ზეცას უელის, არ დასდევს მიწას.

თამარი

ჯოჯოხეთისა დასჯა? ტანჯვები?

დემონი

რა არის? იქ შენ ჩემთან იქნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარი

ვინც გინდა იყო, ჩემო კეთილო,
მოსვენება რა განსდევნე გულით,
მე ყურს გიგდებ შენ მწარეთ დასჯილო,
უნებლიერათ იდუმლის ლხინით,
მაგრამ თუ ენა შენი ჭრელია,
და მით ვარ შენგან მოტყუებული,
ოჰ, შემიბრალე! რა სახელია,
აბა რათ გინდა შენ ჩემი სული?
ნუ თუ მართლა მე მეტათ მაფასებ
ყველაზე შენგან შეუმჩნეველებზე,
და მისთვის სულსა უდროოთ მსტაცებ
ხელს მაღებინეფ ქალწულობაზე!
არა, მომეც მე მტკიცე ფიცები...
მითხარ, შენ გჯერა, რომ ვიტანჯები,
შენ ხედავ სუსტსა ქალის ფიქრებსა?
უნდოთ ვსასოებ სულში შიშებსა...
მაგრამ შენ ყველას სცნობ და გაიგებ,
და, თქმაც არ უნდა, ხომ შემიბრალებ?
შემფიცე ეხლავ... კეთილის მტროობა
დაადგო დღესვე, იმოწმე ღმერთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ თუ არც ფიცი, აღარც პირობა
დაურღვეველი არ არს არც ერთი?

დემონი

ვფიცავ პირველ დღეს ქვეყნის შექმნისას,
უკანასკნელსა ვფიცავ მის დღესა,
ვფიცავ სირცხვილს ცრუ მეტყველებისას
და სამართლის ჭამს უნეტარესსა,
შეჩვენებისა ვფიცავ მწარ გრძნობას,
მოკლე ოცნებებს გამარჯვებისა,
ვფიცავ პირველსა შენსა გაცნობას
და ვკლავ საზარელს განშორებასა,
ვფიცავ აგრეთვე სულებთა გუნდებს,
ბედს ხელქვეითის ჩემის ძმებისას,
ანგელოზების საკრძალავსა ხმლებს,
დაუძინარი ჩემის მტრებისას,
ვიფიცავ ზეცას და თვით ჯოჯოხეთს
მიწიერს წმინდას შენსა სახელსა,
შენს შემოხედვას უკანასკნელს ერთს,
მარგალიტის მზგავს პირველ შენს ცრემლსა,
უცოდველთ შენთა ბაგეებთ სუნთქვას,
თმასა მღელვარეს აბრეშუმეულს,

ვიფიცავ ტანჯვას და ნეტარებას,
ვფიცავ უმაღლესს ჩემსა სიყვარულს,—
მომძაგდა შარა მე შურის ძებნის,
უარი ეჰყავი მე ძველსა ტანჯვებს;
დღეიდამ შხამი ბოროტის ენის
არაფის სმენას აღარ შეარყევს.
მინდა რომ ზეცას მე შეურიგდე,
მინდა მიყვარდეს მინდა ვილოცდე,
მინდა ეიწამო მხოლოდ კეთილი,
და შენ ღირს შუბლზე მწადიან ჩრდილი
მოვრეცხო ცრემლით შენანებისა,
რომ კვალი ზეცის ზედ არ ჩნდებოდეს,
და ხალხი ძალში უმეცრებისა
დეე უჩემოთ იფუჩქნებოდეს.
ოჰ, მენდე! დღემდის მე ერთმა სრულათ
შენ დაგაფასე, შეესძელ გაცნობა,
აღგირჩიე რა შენ ჩემად უფლად
ფეხს ქვეშ გიფინე შეძლებულება.
შენ სიყვარულსა ველი, მზათა ვარ
წუთისთვის მოგცე ათასეული
ემხში, ეით შურში, მერწმუნე, თამარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემონი

მე უცველელი ვარ და დიდებული.
მე, ნებიერი ძე ეთერისა,
ვარსკვლავებთ ზემო გიჩენ საშვებელს,
იქ შენ იქნები მეფე ქვეყნისა,
იქ მეგობრობის გიკმევ საკმეველს.
იქ უდარდელი გექნება შვება,
ზეციდამ დასცქერ მიწას გულ გრილათ
სად არ არს სრული ბედნიერება
არც მშვენიერობა მისი ხანგრძლივათ,
სად ღალატი და ცოდვა სჩევიათ
სად ბუდობს მხოლოთ წვრილი სურვილი,
სადაც უშიშრათ არ შეუძლიათ
არც სიყვარული არც სიძულილი.
თუ შენ არ იცი მართლა რა არის
ერთის წამისა კაცთ ტრფიალება?
მღელვარეობა სისხლის ყმაწვილის.
მაგრამ დღე რბის და სისხლი ყინდება.
სთქვი, ვინ გაუძლებს მოშორებასა,
ახლის შვენების მიმბირველობას,
მოწყენას თუნდა უძლურებასა
და თავის ნაირ ფიქრთა მსველელობას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა! შენ, ჩემი მეგობრის, ხვედრში
არ არს ნაღველი მსგავსისა წყენის,
რომ გაჰქრე ჩუმათ იწრო ერთ წრეში
უცნობელობით ბრიყვისა მონის,
შუა სულ მდაბლებთ და უგრძნობების
მეგობრებთა და მაკებრივ მტერთა,
ურგო შიშების და იმედების,
ფუჭთა და მძიმეთ ქვეშე სასჯლებთა,
მწუხარეთ, საშვალ მაღლის კედლების,
შენ არ გაჰქრები უცნობი ენების,
მხოლოთ ლოცვებში, დიდათ შორს მყოფის,
როგორც ღვთისაგან, ეგრეკ კაცების.
ოჰ, არა, ტურფავ! წყების წერილი
სულ სხვა რიგია შენის ბედისა:
შენ სხვა ნაირი გულის წუხილი,
სხვა სილრმეები ალტაცებისა!
დე, მაშ, უწინდელ ფუჭე სურვილებს
და საცოდავს მის ბედის სინათლეს,
ალურაცხელსა, ამაყსა სწავლებს
ნაცვლათ განუსხნი მე შენ სინაზეს.
გროვას სულებთა ჩემ ქვეშე ვრდომებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მოვიყვან შენ ფეხებთა წინა,
მხევლებს მსუბუქებს და ჰაეროვნებს
ფეშქაშათ გიძღვნი, მზა მყავს შენთვინა.
შენთვის ვე ვარსკვლავს აღმოსავლისას
მოვხვევი მე გვირგვინს ოქროთ ნაჭედსა,
ავართმევ ყვავილთ ცვარს შვაღამისას,
მითი მოვირწყავ არე—მარესა.
სხივსა წიაღის მზის დასავლისა
წელზე შეგარტყამ, ეგრე მოგაწყობ,
სუნთქმითა წმინდის სუნელებისა
შენ ახლო მახლო ჰაერს დავათფობ,
ყოველ წამ უცხო, საამო ხმებით
მე შენსა სმენას გავანებივრებ.
კოშკსა ავიგებ სულ ფირუზებით,
ქარვის ჩარდახით შეგიმკობინებ,
მე ჩავეშვები ზღვის უფრსკულებში,
მე ავფრინდები ზე ღრუბლებამდე,
ყოველს კარგს ქვეყნის შენ მოგცემ ხელში,
ოღონდ გიყვარდე!...

და მან სიფრთხილით

შეეხო ცხელის თვისის ბაგებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის თრთოლვარე ლალის ფერ ტუჩებს.
მაცთურებითა სავსე სიტყვებით
პასუხს აძლევდა ის ქალის ლოცვებს...
ძლიერი ხედვა სცქერდა მის თვალებს,
მან დასწვა ისა, საბრალო ქალი.
ოვით ღამის ბნელში ჰყრის უხვათ ელვებს
აუცდენელი, როგორც ხანჯალი.
ვაჰმე! ბოროტი სული სტკბებოდა:
მკვლელი შხამები მისის კოცნისა
მკისვე ქალს გულში ეპარებოდა;
მტანჯი, საზარო ხმა შეკვნესისა
იდუმლობაში განხდა ღამისა.
მაში სულ იყო: ბრძოლა და შვება,
ყვედრება, ლოცვა წმინდის ტრფობისა
და უიმედო გამოთხოვება,
გამოთხოვება ყმაწვილობისა. ...

. . . . . .

მ. ფაზელი.

1871.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება 3

ოთახი ბეგლარისა წიგნებით, მოფენილია კედლებზე, ტახტ ქვეშ, პისმენი სტოლებზე. ერთი პისმენი სტოლი დგას, ზედ წიგნები აწყვია არეული და ერთი ღერბოვის ქალალდი ძევს.

გამოსვლა 1

ამირინდო, სოროზან, სარქისა (შემოვლენ.)

ამირინდო. შინ არ არის ბეგლარ, აბა ენახოთ დაუწერია არზა თუ არა, არ ეგვანება შენ დაწერილსა, სარქის! პეტრებრუხული სხვაა, და! (დასხედავს და საშინლათ დაიყვირებს) ბიჭო, ეს რა არის ქართულათ დაუწერია, ვაჲ, შენს ამირინდოსა, როგორ დამავიწყდა, ვერ უთხარი. უთუოთ ქართულათ ეგონა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარქისა. ეა! *Пелиціонный* არზი ქართულთა რამ იქნება?

ამირინდო. აბა ერთი წაიკითხე! ქართულს ჩვენი უწვერულიც დასწერდა, ვაჲ, შენს ამირინდოსა! ქალალდი წამიხდინა.

სარქისა. (დასედავს) ეა! *ей Богу* ეა! სწორეთ ისეა!

ამირინდო. (მოსარულებით) ისეა განა? ქართულია, მაგრამ კარგი ზაკონები ჰსწერია!

სარქის. რის ზაკონი აქ არზი არ არის აშულობის ლათაებია!

ამირინდო. რაო? (შეშინებული) როგორ ლათაიები, აბა ერთი წაიკითხე!

სარქისა. (კითხულობს) ეა! ყურბანი ზალუმის ხმა!

აგერ მცაში მზე ბრწყინვალებს
და განთვანტნა ღამე ბნელი.

ჩვენი ჰავანგულა რა კარგა იტყოდა!

ამირინდო. (დაიყვირებს) რა დროს მასხაროობა, რას ამბობ კაცო!

სარზანი. (მივა და უყურებს ქალალდში) ეა, შენს სოროზანს! ფიქრში ყოფილა, ლექსები

არის, ბატონო! ვაჲ, შენს სოროზანსა! ფიქრში ყოფილა!

ამირანდო. ლექსები? როგორ თუ ლექსები? ღერბის ქალალდზე ლექსები! ვაჲ, ოჯახო დალუპულო! ვაჲ, სიბერის დროს შერცხვენილო, ვაჲ, იმედო დაკარგულო! ოჰ, არზის წერა ვერ უსწავლია! ვაჲ, ოთხასო თუმანო ოფლით ნაშოვნო და ტყუილათ დაფანტულო.....

სარქისა. აფსუს ფულებო! აქამდისინ სარგებლის სარგებლით სამი ათასი თუმანი გახდებოდა, ჩალიანი არა და ნაწრეტიც შენ დაგრჩებოდა, ონოფრე ყმათ დაგისახლდებოდა.

ამირანდო. ღმერთო, ამისთანა უბედურება იქნება, ვინც იქიდგან გადმოდიან ერთმა არზის წერა არ იცის!

სოროზან. სარქის ბუღდანიჩ! ნეტა არც ონოფრეს შვილმა იცის წერა არზისა, აი, ის აფიცრათ რომ მოვიდა?

სარქის. ნამწეწი,—ამის შვილი კიდევ კაცია, ის ჭსწორეთ ბუნბულია ბურტყლი; ჭსწორეთ ქართველია... უკაცრავათ ქარია უნდა მეთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოროზან. ბუნება არის და ქართველს ხმალი უნდა ეჭიროს და არა კალამი.

ამირანდო. რით ვერ შეიტყე კალამი ხმლათ გარდაექცევა, ერთ ასოს დაბლაჯვენ და დარჩი მშიერი! ჰეი! ჰეი! ჩაიშალა ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში! (შემოჰკრავს ტაშს.)

გამოსვლა 2-რე.

იგინივე და ბერუა.

ბერუა. ლომონ გოდოზრელიძე გახლავესთ, თავი დაგიკრათ.

ამირანდო. ეჰ, ეგლა მაკლდა! მთხოვეს რასმე მამაჩემი არ წამიწყდება, შემოვიდეს, (ეკვა ბიჭო).

გამოსვლა 3-მე.

(იგინივე და ლომონ შემოვა).

ლომონ. სალამი ღმერთი გადღეგრძელებს.

ამირანდო. რა ბრძანებაა!

ლომონ. შეგრჩა შენ ნუ მამიკვდები.

ამირანდო. ჩემს ბატონ ლომონს ვაუმარჯოს.

ლომონ. (გადაიგვარადინებს ფეხებს. მოიხრება და დაუკრავს თავს): ჰო, ღმერთმან გადღეგრძელოს.

ამირინდო. მობრძანდი, დაბრძანდი, რა ქარმა მოგაგდო, სად ბრძანებულხარ?

ლომონ. ქალექში გეხლდით ბატონო.

სარქის. ხონი!

ამირინდო. როგორ მოგეწონა, ამისმეტად ხომ არ ბრძანებულხარ?

ლომონ. არა, მაგრამ ჩემგან როგორ დაიწუნება, მაშ ვინ უმეტეს რომ გარდააცილა ქუთაისს, ვანს და ხონს ქალაქებს, რა ვარც მასმენია განსვენებულის ჩემის ბაბუისაგან, ლაშკარი მიიწვია ალამაჰმადის ხანის დროს, შენუ მომიკვდე, მისთან ნაშოვრები ყოფილა რაღა მოგახსენო, იერთი მისთანა ნოხის გული გამოეტანა, რომე შენუ მომიკვდები შენ, ას ფასათ კი ღირდა, ქვე კი მინდომოდეთ დიდკაცებს, მარამ ვერ შელეოდა ხსენებული ამასთან ქართულ აშურმების და გვარად მოეტანა განსვენებულის თქვენის ბებილა შვილისთვის ლეპენცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის სკალატის ჩანახეევი, სწორე ამპატროვანი კი იყო აჰ (სედს გაუშლის:) ამტენის ხნის განმაელოობაში კიდოვ ამ ფართოვანია (ორ თითს აჩვენებს). ქვე ბევრი დიდკაცი დეევიმდურე, მარამ, ვერ შეველიე შენუ მომიკვდე!

ამირინდო. ქალაქის სიდიდე როგორ გგონია?

ლომონ. ქვე არ მოგახსენე, რომ ამ ჩემს ქუდზედ სულ მთელი ტფილისი დაეტეოდა (მოისდის ქუდს). რავარც ბაბუასაგან გამეგონა, ახლა, ბატონო, გეზდილა, გაფსილა, განმშვენიერებულა, ფრთები გეუშლია, ვორი დღის სარიონებელი შექნილა, გალმა ეი და გამოლმა, მარამ საკვირველი მითხრეს შუა დღისას რავარც ფუშკა გეილებს დრიგინს, მაშინვე გეიზდება თურმე ქელაქი. დედა! დედა! დედა! რა ვარც მიწოთომელია ეს საქმე!

ამირინდო. უხუმრიათ! პატრების ზარების მაგიერათ გავარდება სადილი სჭამეო.

ლომონ. ბატონო, სადილს საღამოზედ სჭმენ, მომკლეს მშიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირინდო. არავინ მიგიწვია სადილათ?

ლომონ. კი ბატონო, და დედა! დედა! დედა!, რავარ გამოაბრინჯული, გამოჩელჩეტებული წეევედი, მივედი მომეგება სახლის პატრონი, შეეიხედე სახლშიდ მორთული, მარამ რა მორთული, სულ მთლათ ლეპენწურათ, შემიძღვანა წინ, ჯვარ აქაურობას (გაკვირვებით) სულ მთლათ ზურგი ზრუგ შეექციათ და ისთე ჯდილ არიან!

სარქის. ვა! გაბუტანა უთამაშიათ.

ლომონ. არ ვიცოდე, შენუ მომიკვდე, მიმიყვანა მაჩვენა დაგრეხილი გოგორებიანი სკამი და მაზედ მიპირობს დაჯენას; (შეწუსებით იტყვის, მოვკვდი, ბატონო, მისთანა ქალს უნდა შეექციო ზრუგი, რომ სულ მთლათ პრიალ პრიალი გაუდის. რა გზა მაქვს მე უბედურს, დაესჯედი — (გაკვირვებით) დეევეფალე. რავარაც მინდოდა ადგომა, გახდა გრიალი, გაფრინდა სკამი და მეიტაცა ქალი, თუ კედელს არ სტაკებოდა და კედელს არ შეეკავებია, ორს საათზე ქუთაის გარდაარბეინებდა ქალიანათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანდო. (იტანის) სადილს როგორლა შეე-ქეც, კიდევ ხომ არ მოგიტაცა სკამმა?

ლომან. სადილზე სხვა სკამზედ დამაჯინეს, მარამ მარჯვეთ კი ვიყავი თუ კიდევ მოვეტა-ცნე, შტოლს ვტაცებდი ხელს.

ამირანდო. რა მოგართვეს, ჩემო ლომან?

ლომან. მეიტანეს კუპატები, მოაყოლეს წვე-ნი, წვენი, მაგრამ რა წვენი, არ ჰქონდა ხორცი და არცა ჰქონდა ფოჩი, ასტე ტყუილათ თბი-ლი წყალი მევიტეხე კუპატი, დავაწეპე წვენს, და ნელა ვჭამ, გვერდით მომიჯინეს ბრუსი, ამოვურია ეოთხი კობზი და სულ მთლათ ამო-ხელიპა წვენი. მიმზერს უბედური მე, ეგება ვუ-თავაზო, გამიწყრება, თვარამ წავწყდი, შიოდა უბედურს და ვერ ვაჭამე.

ამირანდო. კარგი ღვინოები ჰქონდათ?

ლომან. (შეწუსებით) ღვინო თუ გამიხსენებ, მან რომ საქმე მე მიყო, ნურს მტერს ნუ დამარ-თვია, ნურს დღეში ნუ გარეულა ის დღე!

ამირანდო. რა, ჩემო ლომან?

ლომან. ნუ მკითხავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანდო. არ მოგეშვები, შენუ მომიკვდე.

ლომონ. აპა გეტყვი და თუ გამამხილე მომ-კლამ იმერედშიდ და ეს იქნება.

ამირანდო. სასიკვდილო რა დაგემართება?

ლომონ. ესა, ბატონო, რომ ანძუხს მაცმენ, გამბასვრვენ, მომკვლენ და ექსორიას მიქმენ.

ამირანდო. არა, შენმა მზემ, არ გაგცემ; მე ხომ მიცნობ, მწვევარსაც კარგს გაჩუქებ.

ლომონ. (ჩუეთ-ჩუეთ იუურება): უცხო ხომ არა ვინ არის აქანას?

ამირანდო. არა, ეს ჩემი მეგობარია არსად იტყვის.

სარქის. მე ასეთი ჩუმი ვარ, როგორც ლო-ქო.

ლომონ. ღლავი ქვე კი გევხარ. ცოტად პლუ-ტი იქნები, მარამ ქვე კი მოგახსენებთ: დემის-ხეს რაღაც ღვინო პლუტური, თუ რაცხა არ ვიცოდი, შე ნუ მომიკვდე, რავარც დაასხეს სულ მთლათ ქაფათ გარდეიქცა, ავიღე ასდე ტყუ-ლათ უცებათ და გადავკარი (დაიდრიჭება): შე-ნი მტერი გაშნარდეს, რავარც შენი ლომონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი გამწარდა! მე უბედურს ყროლჭი ჩამფეხიკა! ვოხერს არც აქვს ალვირი, რომ კაცმა დეიკავოს, მეცა ცხვირში ბოლი ველარ მოვასწარი და ასტე უეცრად გამომიხდა ბუყი....

ამირანდო. (იტინის): როგორი ნადირობა იყო ამ ზამთარ თქვენში?

ლომან. ნადირობა? პა! პა! პა! ესჯიავარ ასტე ტყუილათ და შემოვიდა ბიჭი. თოვა ბატონო ვე! თოვა, ბიჭო, ცხენები! ხელოსანს უთხარი ალიონზე ღვინის დასალევი მომიმზადოს, თორემ ბოლოკივით მოესხარი, რა დამაკავებს? რავარც ეიწია ალიონმა, ავსდექ, ეჰ ბიჭო, წევიტანე მომხრები. რავარც გეველი ეწერზედ, ჩი! ჩი! ჩი! გეეიხედე, ფშვილი ვაცი, მარამ რა ვაცი! ვანიშნე ხელი იქით და გარდუხვიეთ, ჩამომახტუნა მოვკვადი მათი თქუბის. როდის მელირსება, მომკალ თუ დავაცილე-რავარც მიაწია სასროლზედ, შემოუარა გახდა თოფის გრიალი და (ხელზედ წაუსვამს): გაჩერდება!

ამირანდო. მოჰკალ, ჩემო ლომან?

ლომონ. შიგ შუბლში ჩაუსტენე ტყვია! უიმე მე უბედური, ვერ მოგილოცე შვილის მობძანება კი, ვეება ყაზახი იქნება ახლა; არზის წერა კარგი ეცოდინება, აგები მეც დამიწერინოთ.

სარქის. ასეთ არზას დაგიწერ, მოსკავში არ იყოს!

ლომონ. შენი ჭირიმე, აბა, რასაც მთხოვ მოგცემ.

სარქის. აქ წამო, სხვა ოთახში მოვილაპარაკო (გავლენ ორნი და სარქის ისევ შემოვა).

გამოსვლა 4-სე.

იგინივე და ბერუა.

ბერუა. იაიამ თავი დაგიკრათ.

ამირანდო. მობძანდეს, მიამა, ქალაქის ამბავს მიამბობს. (ბიჭი გავა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა ᲐᲘ-თᲔ

იგინიეᲜ, ᲐᲘᲐᲘ და ᲡᲐᲠᲩᲘᲡ.

ᲐᲛᲘᲠᲘᲜᲓᲝ. აა, იაიას ვახლავარ! მოᲑძანდი, დაᲑძანდი.

ᲐᲘᲐᲘ. ᲑატᲝᲜᲡ ᲐᲛᲘᲠᲘᲜᲓᲝᲡ გავᲛარᲯᲝᲡ, ᲛᲐᲛᲐ არ წᲐᲛიწყდᲔᲑᲐ, თქვᲔᲜი თᲐვის მᲖᲔᲛ, დიდათ მოᲮარᲣᲚი ვარ; ᲔᲕᲔᲯᲝ, რᲐს მოგიწყᲔᲜია, ᲛᲐᲛᲐ არ წᲐᲛიწყდᲔᲑᲐ, ᲑᲔდᲜიᲔრი კაᲪი Ხარ! ᲔᲕᲔᲯᲝ, შვილი მოგიᲕიდᲐ ᲛᲐᲛილოᲪᲐᲛს, სად არის ჩᲔᲛი ᲑᲔგᲚარ ისᲔᲕ ისᲔ ჩუᲛია, დაკრძალᲣᲚ ქᲐლსᲐ ᲰგᲕᲐᲜდᲐ? ᲰᲝ, რᲐზᲔ მოგᲐᲮსᲔᲜᲔᲑდი? ᲰᲝ. იᲛᲐს მოგᲐᲮსᲔᲜᲔᲑდი, ᲰᲝ, ᲛᲐᲛᲐ არ წᲐᲛისყდᲔᲑᲐ, დᲐსᲔი და აწერინᲔ არზᲔᲑი, ᲛᲔ ᲕიᲪი ნᲐტრᲔწზᲔდᲐᲪ ᲐსტᲔᲮ დᲐᲕᲐს.. ᲛᲐᲛის თქვᲔᲜის საფლᲐᲕის მᲖᲔᲛ, ᲛᲔ მინᲐხᲐᲛ გᲐᲜსᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚი ᲛᲐᲛᲐ თქვᲔᲜი ᲮᲜᲐᲕდᲐ.

ᲡᲐᲠᲩᲘᲡ. ᲕᲐ, ᲛᲐᲨ რᲐს უყურᲔᲑ? ᲪიᲪი, მოᲮᲐᲜი, დიᲐᲛᲑᲔᲒი გᲐᲛოᲘᲫიᲔᲑს, Ერთი სიტყᲕით საქᲛᲔ გᲐᲛოგიყᲕᲐᲜ.

შᲔᲜ მოᲮᲐᲜი იᲛ ᲜᲐწრᲔᲪᲨი,
ᲛᲔრᲔ ᲣᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲕიᲚᲘᲐ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ის შეკა სახიკვარში
ტოჩკა და ზაპეტაია.
შენ ხომ იცი სახიკვარის
იმას არა აქვს წილია,
ჯიბეში თუ ალი არ არის
ტოჩკა და ზაპეტაია.—

ია. ვეჟო, მართალს ამბობს! ჰო, იმას მოგახსენებდი, მამა არ წამიწყდება, მთელი ქალაქია და შენი შვილი: კარგი მწერალია! ახლა რა გიჭირს, რა?

ამირანდო. კარგია ერთი, მამა შენი ნუ წაგიწყდება, ნულარას მიბრძანებ, ნულარას მეტყვი.

ია. მამა შენის საფლავის მზემ, საკურველი მწერალი თურმეა!

ამირანდო. ძალიან ეტყობა, ვეჟო, მე კი ვერ დამიწერა არზი და ბიჭო...

არზა მიკვეცი მე დასაწერი,
თითქო არისო მოშორნე მტერი
არზის ქაღალდზე რა დაეწერა!
ვიდასაც ქალზე ეთქვა სიმღერა.

(იტირიან) მე მოსუცებულს ცეცხლი მედება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე არ მაქვს ძალი და მოსვენება,
ყმა და მამულსა სხვა მედავება,
თქვენ გამარჯვებას რა მეღაქსება?

ივან. (იცინის) ლექსები, ოო! საუცხოოა, ხა! ხა! ხა! კარგი, მამაშენი ნუ წაგიწყდება, არ გეწყინოს, მაგრამ სასაცილოა არზი და ლექსები, ხა! ხა! ხა! ხა! არზის ქალალდზე ლექსები, ხა! ხა! ხა! ხა! მოვკვდი, ფერდები მეტკინა! ვეჭო, პეტრებურხში რომ არ წასულიყო, მეშტვიროობას აქაც ვასწავლიდით, ვაჲ შენს იაიასა!

ამირინდო. კარგია, მამა შენი ნუ წაგიწყდება, ნულარას მეტყვი, რა ბრძანებაა, ბატონო, ორი ათასი თუმანი მეტი გავაფუჭე, ნახე რა მამიეიდა! ვაჲ, შენს ამირინდოსა! მამა შენი ნუ წაგიწყდება, ნურსად იტყვით, შენ ეი სარქისავ!

სარქისა. ვა? განა მაგრე მიცნობთ, მაგისთანაში, კნიაზის მზემ, ლოქო ვარ.

ამირინდო. ეჰ, რაც მოხდა, მოხდა, ერთი შვილის პატრონი ვარ, როგორც უნდა იყოს, მადლობა ღმერთსა! ერთი ქალაქის ამბავი მიამბე, აგერ ოცი წელიწადია არა ვყოფილვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ია. ნულარ მიბრძანებ, მამა თქვენი ნუ წაგიწყდებათ, გასაოცარია ბატონო! საბურთალოზე გამოსულა მთელი ქალაქი, თითქო ხოლერამ შემოპერტყა; მაგრამ სახლები, სასაცილოა, მამა ჩემი არ წამიწყდება, ჩვენებურათ ხომ აღარ არის, შუაზე ზალა და აქეთ იქით ოთახები, მამა შენი არ წამიწყდეს, რა ბრძანებაა, ბატონო, თქვენმა მზემ, თქვენ გამარჯვებამ... ჰო, რას მოგახსენებდით? დიახ, ამას მოგახსენებდით: მოაჯირები, ეე კარგია ღმერთი გადღეგ ძელებთ, სასაცილოა, ბატონო, ამ საშინელ სასახლებს იგრგვლივ ხო არა აქვს, არა თქვენმამზემ, რო შეხედოთ თითქო ყბაყურა შეჰყრიაო, გვერდზე გამობერილი აქვსთ, სასაცილოა, თქვენმა მზემ. ახლა ფანჯრები სწორეთ ასო მთავრულ ღანსა გავს. შენი მტერი როგორც ქალაქი დამახინჯებულა!

ამირანდო. მაშ უნდა წავიდე ენახო; ერთი ამ ჩალიანს მოვრჩე! ერთი მიამბე, მამა ნუ წაგიწყდება, სად შეიყრებოდით ხოლმე, სალაყბოზე თუ სადა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ია. ეჰ, ნულარ მიბრძანებთ, სადღა არის სალაყბო, ვისაცა ეკითხე, მასხარათ ამიგდეს: სალაყბო რასა ჰქვიანო? ვერა გამიგიარა, თითქო ქართველები არ არიანო! ვითომ ყმაწვილი კაცები იცნოთ თუ? შენი თავი არ მომიკვდეს, ვინცა ენახე ნემსების ღედელსა ჰგვანდნენ: ასუსულნი, აწუწულნი, სასაცილოა, შენუ მამიკვდები! ფერი ხომ აღარ აქვსთ, ღვინოს თურმე აღარა სმენ, მოდნა აღარა არისო; ასეთი ყვითლები არიან, როგორც წმინდა სამთელი, ვითომ ტყუილია თუ! აი, მამაშენი არ წაწყდეს, ეი, დროვ! ვაჲ, დარბაისელთ მოწყეტას! გახსოვს, ამირინდო, სალაყბოზედ რომ შევიყრებოდით, ქვეყნის ამბები ვიცოდით? ეხლა კაცი რომ შემოგვეყაროს, ორ მინუტს არ დადგება, გაგილრეკს და მირბის, უკაცრავათ დრო არა მაქვსო.

ამირინდო. ვეჭო, რა დამართვიათ, მაშ ხალხიც გამოცელილა!

ია ია. სუყველაფერი, თქვენი თავის მზემ, ბატონო, მანამ ზარბაზანი არ გავარდება ხომ კარზედ არ გამოხვალ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანდო. როგორ ზარბაზანი?

ია. მაშ ეგ არის და პატრების ზარის მაგიერათ გავარდება ზარბაზანი, შუა დღისას გამოხვალ; თუ სასამართლოში საქმე გაქვს, მანამ არ გავარდება ტოროქი არ შეგიშვებს. გაჭირებული საქმე მქონდა, დილაზე მიველ რა საკურველია, წირვები დარეკილი იყო, დავ ილალე, უწინ ქუჩებში რომ ფიცრები ეყარა, ახლა ისიც აღარ არის, სასამართლოში შევიწვე შესასვლელათ, უკან მომწვდა ტოროქი სულ კინაღამ კალთები გამოსახია, წამოვედი შეწუხებული, სად ეიტყოდი, მევე გამამტყუნებდნენ!

ამირანდო. არაფერი ხუმრობაა თქვენმა მზემ.

ია. ჰო, იმას მოგახსენებდით, ეხლა სადაც მიბრძანდებით, მანამ ზარბაზანი არ გავარდება, მანამ ტანს არავისაცვიათ ჩვენ დროს შუადღისაც სადილს ეჭამდით, ახლა, ბატონო, ადგებიან ხოლმე, სასაცილოა, მამა შენი არ წამიწყდება!

ამირანდო. ვეყო, მაშ ჯურს როდისღა სჭამენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივან. ჰო, კარგათ მომაგონეთ, საკურველია, თქვენმა მზემ, ჰო, ამას მოგახსენებდით სალამოს ლოცვა რო გამოვიდა, ანჩხატში შეველ ჩვენ დავითთან, შევხედე სამთლები ენთო, ვახშამსა სჭამდნენ. ყმაწვილო, რა დროს ვახშამია, ჯერ არ დაბინდებულა მეთქი! ბატონო, აუტყდათ სიცილი, კასკასი—ბოლო რა იყო! ეე, სასაცილოა, და რადროს ვახშამია სადილი არისო!

ამირანდო. მამა არ წამიწყდება სხვა ხალხი თუ მოსულა, იქნება უკულმა გადატრიალდა ქვეყანა, ან კუჭები გადმოუბრუნდათ! მე არ მესმის, მამა ჩემი არ წამიწყდება!

ივან. სწორეთ, მამა შენი არ წამიწყდება, სუყველა უკულმა აქვსთ ბატონო! ახლა სკამები და დივნები უნდა ნახო, სკამი ხომ სკამს არა ჰგავს, შენი თავი არ მომიკვდეს, ზოგი ასე გველიეთ დაგრეხილი, ზოგი ისე, ზოგი ორ პირი სკამი, სასაცილოა, ბატონო, იმ ორპირ სკამზე დასხდებიან, ზურგი ზურგ შეაქცევენ, მე მგონია ის სკამები იმიტომ არის შემოღებული, ცოლ-ქმარი რომ წაიჩხუბებიან, ან რძალ-დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთილი იმაზე დასხდებიან, რომ ერთი ერთ-მანერთი არ დაინახონ! აკი ეშმაკათ ჩავჯექი, ნულარ ბძანებ, ოჰ! წაველ, ჩავეფალ, ჩავძვერი, უკაცრავათ ვარ, ფეხები ზევით დამრჩა, ვიწიე, ძლიეს ამოველ! საშინელებაა, მამა ჩემი არ წამიწყდება!

გამოსვლა 6 სე.

(ივანე და ბერუა.)

ბერუა. ზაალის ბიჭი გახლავსთ, ბატონმა ლიახვის ტოტი დაწყვიტაო და გთხოვთ, თქვენის სტუმრებით, სადილათ მობძანდითო, შეეექცეთ.—

ამირანდო. აბა ბატონებო, რას იტყვით?

ივანე. კარგი იქნება, თქვენმა მზემ.

სარქის. ახალი თევზი ფრთხალ-ფრთხალი კარგია.

ამირანდო. აბა, წავიდეთ. (გავლენ **სარქის** დარჩება)

სარქის. საკურკელია ქართველი!

რაც უნდა ჭქონდეს ნაღველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ამსანაგი შესვდება,
მაშინვე დაავიწყდება.
ჭკვიან კაცს ბედი არ აგდებს,
ამას ქორება ჩემია.
შვილი კარ უწერს არზებს,
კარ დასვამს ზაპეტია.
არზის წერის მაგიერი
უსწავლია ლათია,
ისიც დარჩება მშიერი,
აქ ტოჩკა ზაპეტია. (გვა.)

გამოსვლა 7-დე
(დეკორაცია გამოცვლება)

(ბეგლარ ზის ოთახში, გაზაფსულის დილა არის.)

ბეგლარ არ ვიცი ჩემ ბლუ ბიჭს რა დაემარ-
თა, პასუხი არ მამიტანა ნინუცადგან.

ბეგლარ Вѣрно онъ завелъ интриги! რა მშვე-
ნიერი დღე არის!

კიდევ მოსვედი, გაზაფსულო, ჩვენო სტუმარო,
ოთვალთა კაცთა სიქადულო გულ, მოძღიმარო?
უკვე გიშლრიეს სისარულის თვალა სალითა
და მოგვეგები, გამოგვლთ რა ზამთარსა ბნელითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავა

შრომა დასრულდა, განგვიძდა თვალი,
ვსედავ ქვეყანას, იქმნა ანალი.
აგერ სოფელიც იმოსა მწვანით,
ტყეთ სისარულით იმოსეს ტანით.
ფრინველთა იწყეს თვისებრი სტვენა,
ყველას უსარის ვისაც აქვს ენა.
მაშა, მე რისოვის. შორის ამა სისარულების,
ბინდი ჭმუნვისა გულსა რისთვის მომეკიდების!
იცი, საბრალოს გულსა ჩემსა რა ეწუნება?
ვსედავ სოფელი და ბუნება სრულ ჭაბუკება,
და მე გვირგვინი ღვთისა ქმნილების,
ბეერდები, ვლბები და დღე მაკლდების!
არ მაქვს უფლება განცხოველების,
მმოსია ჯაბა ტანთ განსრწნილების

(გაღლებს თანჯარას.)

ვიშ, ამ მშვენიერს გეთიოსა ჭაერს!
ნეტარ მას, ვინცა კალმითა დაგწერს!
შეხედეთ მცენარ! ლაქვარდოვანსა,
ტურფოს მშვენიერ ქალწულოვანსა!
უფურეთ წყალსა მოგაკმაკმალსა!
ჩქეფრად მქუსარეს გული მისარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუჭუჭთა ტყეთა, ზურმუხტებ ველთა.
ალ, ეურს ატკბობს ბულბულის შტკვენა,
თითქო მე მესმის ფრინველთა ანა.
აი კალოზედ ვსედავ მსხდომ გვრიტთა,
როგორ ისარეს ერთათ შეყრითა!
მესმის ტორეა უცხოთ იმღერის,
ამ ნანგრევიდან ბუ გამობღვერის.
მოდით მერცხალნო, მომეცით ფრთანი,
მიწით შეკიქნე ალმოსაფრენი;
ალვფრინე, მაღლად და კვალად მაღლა,
რომ ვერ ვხედვიდე ქვეყანას დაბლა!
გავშალო ფრთენი,
სანავრდენი!
ვნახო რა მზისა
შარავანდეთი,
მერე რძის გზასა
ვარსკვლავთა კვალსა!
მოვარეს ვრცელსა,
ღამესა ბნელსა
განვხარეკდე მათში საცხოვრებელსა!
(მოწყენით) განრაღა ვაჲ! მე ღვთისა ქმნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარ ამა მიწას მაგრა მიკრული.
ვეკვიროს რათ მოშცა გონება ნება,
თუ რომ სიკვდილით სულ დასრულდება
ჩვენი იმქვე და ჩვენი ბედი,
ასე სიზმარებ თუმცა გაჭრება!
სიცოცხლის სამი უცრად სწედება;
კაცი ამისთვის რად იბადება?
(დაფიქრდება) მაგრამ რა უჭკრეტ მზესა, მთვარესა,
ან მნათობ ვარსკვლავს ცისა მეარესა,
იდუმალ მეტუკის მე სინდისი,
სხვა სოფლისათვის არს სამზადისი.
(ამ დროს შემოვა აბრამ თავ სისხლიანი და დასეული)
ბეგლარ. (შეშინებით) რა ამბავია ბიჭო!
აბრამ. რა! რა! რა! მოკ! მოკ! მრრრ! კლეს.
ბეგლარ. ვინა!
აბრამ. ქალ! ქალ! ქალ!
ბეგლარ. ქალმა? *что онъ бретъ*

გამოსვლა. 8

ბიჭი. (მიართმევს (წიგნს)
ბეგლარ. (ჭკითხულობს) გთხოვთ კვლავ ნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარ გაბედავთ ამისთანა წიგნს და ჩვენთან ნუ-ლარ გაივლით.

(აბრამ ტირის. შემოტვივიან ბიჭები.)

ბიჭები. ბატონო, გვიბრძანეთ ეხლავ თავზე დავანგრეთ სახლს ონოფრეს, თქვენი რისხვა არა გვაქვს.

სორბოზან. (შემოვა) ღმერთი გაღლეგძელებთ ნუ ინებებთ, სისხლი მოხდება ნუ გაგზავნი მამის თქვენის მზესა, თქვენ ნუ გაერევით!

ბეგლარ. (სორბოზანს და ბიჭებს) წადით ეხლავ, თავს ნურავინ მადგეხართ (ბიჭები გავლენ, ბუტბუტით)

(ბეგლარ დადის გაჯავრებული, მერე გულ სულ დნა გრეფილი ამბობს)

დაუდგრომელო დედაკაცო! ვით შემოდგომა
შენ ვინ გასწავლა ეშმაკივით კაცთ შემოდგომა,
ვინ მოგცა სახე ანგელოზის და სული ქაჯის!
იქნებ გეგონოს ამა სოფელს ვერავინ დაგჯის?
კაცის ფერცხალო, მატყუარო, ბურტყელო ოცნების,
გველებრივ ჭრელო, კაცთა გულ მხვრელო, მახინჯ
გონების!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მომეტებულის სიანჩსლით) ოჭ! თუ შეშეძლოს
შემოგბეროთ სამუშის ქარი,
რომე თქვენითა სულ აღვავსო მდინარე მტკვარი!
დამიქცეთ კბილსა, ლომის, ღრძილსა, ყბა დასატევსა,
რომ ქალთა სასეს დაღეჭვდეს, როგორც რომ კვეს!
წარგედ მაცდურო, უგუნურო, გაგსრეს, ვით გველსა,
გაგიჭედეტ თავსა, ამოგთხრი თვალსა, კაცთ მომ-
წამვლელსა!
ვიქცევი სენად გადასაშენად თქვენის სქესისა,
გიწამლავთ გულსა, გიშსამათ სულსა, შეგქმნით
ჭლექებად!
დღესა კეთილსა არ მოგცემთ ძილსა ეგეც მესებად.
(დაიქრდება მწარის ღიმილით.)
საბრალო მტერო,
თავისა მტერო!
ვინ გქმნა უფალი,
დასთრგუნო ქალი
ღვთისა ქმნილება
მშვენიერება!
საბრალო თავო, მღერალთ რიცხვში რა თ დაიბადე
რისთვის დამდაბლდი ქალისაგან, რათ გარდიბადე?
შენ გქონდა ფრთენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმოსავრენი,
ზესანავარდი,
ეთერს მცხოვრები,
ციისა მარები!
სად გადმოვარდ?
რა გქონდა ერთი,
სალხთან საერთი,
მიწას რად იკარ?
უმეჯობეს იყავ,
მზით დამწვარიყავ,
ვითარცა იკარ! (კრესლოზე შეუწუხდება გული)

გაბოსვლა 9

იგინივე გამდელი, გოგოები და მერე მარქიტა
(შემოტვივიან გოგოები ღიღებს უსხიან, აბრუნებენ)
გამდელი. გესაცვა, შვილო, აბა რას შკრები,
ვადო ქრებითა რისთვისა ჭკვდები?
არ დაბიეკერე, გასხოს გიშალე?
რაც მოსდა მოსდა, რაი შეიშალე,
ეშმაკს ათურთხე და დაივიწყე,
გამხიარულდი მღერა დაიწყე!
(იგინივე და გიგაურის ცოლი მარქიტა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგო. გული უფრიალებს!

გამდელი. შეჰბერეთ თვალებს!

მარჭრიტა. შვიდობა სახლსა, მას!

გამდელი. კარგი, დედა შვილობასა-ჩქარა შეუ
ლოცე

მარჭრიტ. გენაცვა, რა მიზეზია, კაკალ ქვეშ
ხომ არ წოლილა წყლის პირს?

გამდელი. რა ბრძანებაა? ეძინა.

მარჭრიტა. გენაცვა, ქალო, თვენგან არ მი-
კვირს კაკალ ქვეშ წყლის პირს (სიდუმლოთ)
ავის ქარისაგან იქნება.

გამდელი. სუ, ნურავის ეტყვით.

(ხელცასოტით უზომავს და ამთქნარებს):

გულო გულის ალაგასა,
ჩაჯეგ ბუდის ალაგასა.
შენ არ გისდება სტომა,
გმარეობს მშვიდად დადგომა.
გულო გულის ალაგასა;
ჩაჯეგ ბუდის ალაგასა
გულმა დაუწყო ფრენა,
შეშინებულსა ქშენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარო მტერთა სანო,
ამას მიეცი ლხენა.
გულო გულის ალაგსა
ჩაჯექ ბუდის ალაგსა.
მობრძანდა წმინდა ელია
დრუბლით არს შემოსილია,
ელსა მის მოაქვს შრიალი,
გადუგდოს გულის ფრიალი.
გულო, გულის ალაგსა
ჩაჯექ ბუდეს ალაგსა.

ბეგლარ. (გამოფსიზლდება). გამეცალენით თა-
ოდგან, მომშორდით, გადით მეთქი! (ჩამოეტ-
ებიან და კულისიდგან უეურებენ, ბეგლარ დადის
ოიგრაგს გულზედ ადგომს).

ჩემო სულისა ალმაშფოთო და ჩემო ბედო,
ჩემო სამოთხეე, ჯოჯოხეთო, ჩემო იმედო!
ეს არის ჩემი სოფელს დიდება, —
ლიტონი კაცი როგორ მიხვდება,
რომ ჩემი გული
არს დაკუწული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისგან შეგქმენ ტრფობის ანბანი?
ანბავის ესმის ამის სიგანი!
და თქვენცა ეჩნო, მოიღრიდთ მტერნო, სავსე-
ნო შურით,
თქვენ არ იყავით დასტინოდით დიდ ბაირონსა?
თქვენ აიძულეთ, განაშორეთ მშობლის სიონსა!
ტორკვატო ტასი,
ვერ სცანით ფასი,
უწოდეთ მტერი,
ჭქმენით ზურობილი,
მის მღერა ტკბილი
ვერ მოიგონეთ.
თქვენში არ იყო, კაპოენსი მოკვდა მშიერი?
თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს, იყავით მტერი
და ოვიდის ფომასგან რისთვის განაძეთ?
იქნებ მეც ისე მომიძულეთ არ ვის დაგნანდეთ!
(დაფიქრებული გავ)

გამოსვლა 10.

მის�d.

მისეილ. ბეგლარ აქ არ არის? გაგიჟდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Надо его успокоить... (ისმის ყვირილი) ეგ რა ამბავია, მოჰკვლენ, ყმაწვილსა, წავიდე დავამშვიდო! (გავა)

(ფარდა ჩამოეშვება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება 4.

ოთხი სტრიაპჩის პისმენი სტოლზე ზის.

ЯВЛЕНІЕ 1е

Харитонъ Филипичъ. Иванъ Слуга.

ХАР. Иванъ!

ИВ. Сейчасъ!

ХАР. Переводчикъ не приходилъ?

ИВ. Какой-съ? судейскій... тотъ-съ Бугтаничъ?

ХАР. Ну, да.

ИВ. Никакъ, теперь идетъ.

ЯВЛЕНІЕ 2.

Тѣже и Саркисъ.

ХАР. Аа! здравствуй Бугтаничъ! Гдѣ бывалъ...

Кажись ты былъ опять у Амириндо... ха! ха! ха! Чай, нѣсколько точекъ тамъ не досчитался?

САРКИСЪ. Что жъ дѣлать, Харитонъ Фил., коли Богъ не далъ голова Грузину? Настоящій баранъ голова.

СТРЯП. А ты какъ? хорошъ овчарь т. е. чобанъ по вашему, умѣешь стричь баранъ!

САРКИСЪ. Ва! человѣку Богъ далъ умъ, надо потребить! Для грузина деньги, какъ говорятъ наши, апсусъ т. е. жалка. Грузинскій карманъ всегда такой дырка есть, а!

СТРЯП. Все хорошо любезный. Но ты для меня не стараешься, не хочешь со мной дружаться.

САРКИСЪ. Какъже? Я докажу, что я для васъ много сдѣлалъ.

СТРЯП. Что ты сдѣлалъ?

САРК. Сію нимутъ подарки принесутъ.

СТРЯП. Отъ кого?

САРКИСЪ. Отъ жирный баранъ Амириндо.

СТРЯП. Нѣтъ братъ; онъ скряга, кляузникъ; дѣло не правое.

САРК. Эй, Хар. Фил. пожалуйста слово на крышу не бросай. Отъ чего за свой потъ не взять, если даетъ? Не частое можено сдѣлать абрунды, вашу пословицъ.

СТРЯП. Скажи, Бугданичъ, правду, ты и Рафаэль подѣлились съ судьею? Что, за точки и запятой содрали отъ Амириндо?

САРКИСЪ. Судью? Чорный камень ему дамъ, одно дѣло просилъ, не сдѣлалъ. Эще ругаитъ, такой пуста голова, ей Бугу Хар Фил.. Онъ отсюда такой пойдетъ голый, какъ дебришъ, какъ голодны кошка въ великій постъ.

ИВАНЪ (*Изъ дверей*) Сторожъ изъ суда.

СТРЯП. Ахъ, забылъ, что сегодня торги. Скажи, что сей часъ буду.

САРКИСЪ. Ва! Падажди немножко; сей часъ подарки принесутъ. А, Фар. Фил., Зураба дѣло проситъ можно абрунди сдѣлать?

СТРЯП. Это зависитъ отъ обстоятельствъ, любезный. Я знаю и абрунди, и дабрунди и цабрунди.

САРКИСЪ. Извѣстно, умный человѣкъ! Немножко погоди, да подарки принесутъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СТРЯП. Пусть подождетъ. Иванъ! Коли будетъ бичо или князекъ, такъ скажи, чтобъ онъ подождалъ.

ИВАНЪ. Слушаю!

СТРЯП. Пойдешь Бугданичъ? Дай руку! Ну такъ мы съ тобою... того—съ.

САРКИСЪ. Ва, ва! какъ мы будемъ стригать и бритъ, ты только слушай меня (*Уходятъ*)

ЯВЛЕНІЕ 3-е

Иванъ (*мететъ комнату*). БеглаЬъ.

БЕГЛАРЪ. Здравствуй любезный!

ИВАНЪ. Здравствуйте. Кого вамъ угодно?

БЕГЛАРЪ. Мнѣ надо стряпчаго.

ИВАНЪ. Т. е. Хар. Фил.? Приказалъ дожидаться. Угодно подождите, коли не пыльно будетъ вамъ.

გამოსვლა 4-სე.

ბეგლარ და მიხეილ

ბეგლარ. ოჰ! მიხეილ, შენც აქა ხარ?

მიხეილ. დიახ. შენ რას აკეთებ?

ბეგლარ. ნულარა მკითხამ, ლამის გაეგიქდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ. რა ლმერთი გაგიწყრა. აი იმისმა მადლმა უყვარხარ ნინოს—მე მოგიხერხებ.

ბეგ. იმედი მაქვს. ერთი ამ ხათაბალიდგან გამომიყვანე.

მიხეილ. გამოგიყვან.

ბეგ. რომ ჯერ არ იცი, რათა ვარ აქ?

მიხ. უთოოთ მამა შენი გამოგგზავნილა!

ბეგ. ეგ არის და ბეჭედი გამომატანა, ქრთამი მიეცი.

მიხ. მეც ქრთამი მოვიტანე.

ბეგ. (იღებს ბეჭედს). *Пожалуйста!* შენ მიეცი მამა ჩემის მაგიერათ ესა.

მიხ. (იცინის) რას ამბობ! როგორ იქნება, როდი აიღებს.

ბეგ. აბა მეც მაგისი მეშინიან. *Пожалуй обидится*, ისტორია არ გამოვიდეს რა! *Дѣло щекотливое.*

მიხ. *Пустяки*, შენგანაც აიღებს და ჩემგანაც, მაგრამ ცალ-ცალკე უნდა მივცეთ. ჩალიანი ნინოსია, გესმის, *смотри женимъ.*

ბეგ. (გამოართმევს ხელს): *какъ тебѣ не*

ეროვნული ბიბლიოთეკა

стыдно! ჩალიანი *ужасно нужно!* მე სიყვარული მინდა

მახვლ. *Она любитъ братецъ!* ვილაც მოდის, სტრიაპჩი არ იყოს, ჯერ შენ მიეც.

ЯВЛЕНІЕ 5-е

(*Бегларъ сидитъ на стулѣ задумчивый. Входитъ Стряпчій и осматриваетъ его съ ногъ до головы*)

СТРЯП. Онъ что то разсматриваетъ; не грузинъ ли? (*кашляетъ*)

БЕГЛАРЪ (*Встаетъ*). Честь имѣю рекомендоваться... я сынъ Амиринго.

СТР. Слуга покорный. Прошу покорно садиться.

БЕГЛ. (*Садится. Пауза*) Прелестный день!

СТР. Хорошъ-съ.

БЕГЛ. Вы вѣрно гуляли?

СТР. Нѣтъ-съ, я былъ въ судѣ-съ.

БЕГЛ. Да-съ—и послѣ службы можно сдѣлать маціонъ или верхомъ... вы ѣздите верхомъ?

СТРЯП. Нѣтъ, не учился. И въ правду сказать некогда,—занятъ разсмотрѣніемъ журнала.

БЕГЛ. Вы редакторъ какого нибудь журнала?

СТР. Извѣстно, судейскій журналъ разсматриваю.

БЕГЛ. Такъ вы цензоръ? Скажите, пожалуйста, есть кто пишетъ порядочно?

СТР. Помилуйте, есть кому писать: судья, четыре засѣдателя, хоть не всѣ писаки,—секретарь, столоначальники.

БЕГ. Ахъ, какъ пріятно имѣть такихъ образованныхъ чиновниковъ! Скажите, пожалуйста, есть ли между ними поэтъ?

СТР. Нѣтъ-съ.... Да, правда, переводчикъ оретъ по персидска; туземцамъ нравится.

БЕГ. Вы кажется не поняли меня. Я васъ спрашиваю, есть ли поэты, т. е. стихи пишетъ кто нибудь?

СТР. Помилуйте, намъ некогда глупостями заниматься.

БЕГ. Какъ! По вашему Шиллеръ, Гете, Шекспиръ, Байронъ, Кальдеронъ были глупы?

СТР. Извините, князь я не понимаю ни вашего Нерона, ни шулера. Вы лучше, князь, скажите безъ

ეროვნული ბიბლიოთეკა

рифмы піитики, вы вѣрно за дѣломъ пожаловали ко мнѣ? Ей Богу совѣстно—то, право некогда. Скажите безъ церемоніи!

БЕГЛАРЪ (*Встастъ*) Простите меня! Я несмѣлъ... не могъ... по батюшка приказалъ вамъ отдать этотъ перстень.

СТР. Давно-бы вы сказали, а то вы меня замучили. Извольте (*протягиваетъ указательный палецъ*), надѣньте! Мое почтеніе... я знаю.. готовъ все сдѣлать, кланяйтесь батюшкѣ (*Бегларъ выходитъ*).

ЯВЛЕНІЕ 6-е

МИХАИЛЪ И СТРЯПЧІЙ

МИХ. Харитонъ Филипичъ, мое почтеніе!

СТР. Слуга покорный, ваше сіятельство! Пожалуйте, садитесь. Что прикажете?

МИХ. Харит. Фил., скажите мнѣ правду и прямо—я люблю откровенность—вы сей часъ взяли перстень у сына Амириндо?

СТР. Я не бралъ!

МИХ. Не говорите, я все знаю.

СТР. Убей меня Богъ, не бралъ, повѣрьте совѣсти!

МИХ. (*беретъ за руку*) Да вотъ этотъ перстень!

СТР. Я вамъ говорю, что не бралъ, а мнѣ сами надѣли. Видите я правъ.

МИХ. Вижу, вижу теперь. Вотъ, съ моей стороны, вамъ 100 руб. депозитокъ!

СТР. Обижайте князь; не беру!

МИХ. Ну такъ я положу подъ подушку.

СТР. Какъ угодно. Но взятокъ не беру. Я далъ себѣ слово!

МИХ. И прекрасно. Очень честно! Но какъ теперь дѣло сдѣлаете?

СТР. Я сдѣлаю абрунди.

МИХ. Вѣдь и отъ Амириндо взяли перстень?

СТР. Во первыхъ, я не бралъ, а самъ надѣлъ. Да по дѣломъ кляузнику! Пусть не присвоиваетъ чужой собственности.

МИХ. Чудесныя правила! Прощайте, не забудьте абрунди.

СТР. Будьте увѣрены. Даже габрунди сдѣлаю.

(*Михаилъ уходитъ*)

ЯВЛЕНІЕ 7

СТРЯПЧІЙ, САРКИСЪ И ЛОМОНЪ

САРКИСЪ. Харитонъ Филипычъ! Вотъ одинъ имеретинскій баранъ голова, т. е. князь! Дѣла имѣетъ.

СТР. Что онъ хочетъ?

САРК. Разумѣется, хочетъ вамъ денегъ отдать.

СТР. Но спроси!

САРКИСЪ. რა გინდათქო?

ხოდომან. რავა რა მინდა, არზა მინდა ცოლი შევირთო.

САРКИСЪ. Онъ говоритъ прошеніе нужно говоритъ, жениться хочу говоритъ?

СТР. Какая нелегкая ему мѣшаетъ?

ხარქაბ მერე რომელი სუმბუქი დაგიშალაო.

ლომან. დემიშალეს, აბა ეგა, რომ დემიშალეს.

ხარქაბ. Какъ же, мѣшаетъ говоритъ, не позволютъ говоритъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СТР. Кто мѣшаетъ?

ხარქის. ვინ აგრიაო?

ლომოხ. ამრიეს კი არა გადამრიეს, ტლოკ-მაჩმა ვერა გეიგოხრა ქალაქშიდ.

ხარქის. კარგი, მე მითხარ.

ლომოხ. აბა მე გითხროხ: სამი ცოლი მყავ-და, ეხლა მინდა სხვა შევირთოხ, მასთან ბღარი მყავს.

ხარქის. როგორ, ბღარი? ჰო ბარი, ე. ი. გაზაფხულზე ვენახს როხ ბარვენ.

ლომოხ. ბღარი არ იცი? ბოუშვი.

ხარქის. ახლა გავიგე. ჰო, მითხარ.

ლომოხ, არ მცენენ ნებას. გეიგე?

ხარქის. ვაა! თეთრვე, სამი ცოლი გყვანდა, მეოთხეს ირთავ? *Онъ говоритъ три жени имѣлъ говоритъ четвертую хочу говоритъ.*

СТР. *Какъ же такъ! Онѣ живы, или нѣтъ!*

ხარქის. მერეოხ, რომაოხ ცოცხლები არიან-ოხ ან არაოხ?

ლომოხ. ერთი მოკვდა, მსთქვა, და ორი გე-უშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარქის. *Онъ говоритъ, одинъ говоритъ умерла, а другихъ два отпустилъ.*

СТР. *За что онъ съ ними развелся?*

ხარქის. რაზე გაუშვი ისინი?

ლომან. რავა რაზე გეუშვი, თავის სახლში წავიდნენ.

ხარქის. ვა! მე ხომ იმას არ ვამბობ, რის გულისათვის გაუშვი?

ლომან. მიტომ, რომ ერთი იყო როსკიპი.

САРК. *Онъ говоритъ, я отъ того отпущалъ что одинъ была роскипитъ, кипитъ какъ вода.*

ლომან მეორე ავაზაკი იყო და მცემდა.

САСК. *Другая говоритъ была злой маленькій буйволъ.*

СТС. *Я тутъ ничего не понимаю, какъ же это одна кипитъ, какъ вода, другая злой буйволъ?*

САРК. *Ва! онъ такъ говоритъ.*

СТР. *Спроси его хорошенько.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარქის ვა, ტო! ავი ზაქი გყოლია ცოლათ თუ რა არი!

ლომან. აპა! რა დეგემართა ვერ გაიგე, ავი ზაქი კი არა, ავაზაკი არ იცი? ანჩხლი ეი!

სარქის. ჰო, ვაცხონე მამა შენი! ეგრე იტყოდი. *Теперь я понялъ: онъ говоритъ другая жена была злой, а буйволъ говоритъ не надо.*

СТР. Все таки не понимаю, одна кипитъ другая зла, а зачѣмъ же тутъ буйволъ? И какъ же позволятъ ему жениться на четвертой женѣ? рѣдко кто женится.

სარქის. ახლა რა გაქოო, მეოთხე ცოლი ბოლოკს ვინ შეირთამსო?

ლომან, აპა რავას ამბობ, ბოლოკი კი არა, ქალი მინდა შევირთო.

САР. Онъ говоритъ не рѣдьку хочу, а жену.

СТР. Что же онъ такъ горячо принимается, вѣрно у четвертой миловидное лицо?

სარქის. ეგრე ცხლათ რათ ილებ, მართლა მეოთხეს საპონი უსამს პირიო?

ლომან. არც საპონი უსვია და არც უმარილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

САРК. У нее ни, говоритъ, мило помазана, ни безъ соль.

СТР. Ну братъ, Буйданичъ, самъ чертъ тебя не пойметъ, тутъ все есть: и буйволъ и рѣдька и мыло и соль, къ чему тутъ эти вещи, какая нелегкая сюда его привела?

სარქის. რომელმა ფილტვებმა მოგიტანეს?

ლომან. რავას ამბობ შე კაცო! რადროს ფილტვებია! არზა დამიწერე, არ გესმის.

САРК. Ва онъ проситъ прошеніе напишите говоритъ возмешь деньги и пусть пойдетъ.

СТР. Какъ знаешь.

სარქის. სამ თუმან მომცემო, დაგიწერო.

ლომან. კი მივცემ.

САРК. Онъ говоритъ деньги дамъ.

СТР. Ну такъ отпусти его съ Богомъ.

САРКИСЪ. ბაშ წავიდეთ დაგიწერ არზას. *Я пойду ему напишу.*

(Уходитъ)

ЯВЛЕНІЕ 8.

СТРЯПЧІЙ (*Одинъ.*)

СТР. Да – съ! Всѣ отказываются здѣсь служить, а по мнѣ, кто умѣетъ сдѣлать абрунди, тому вездѣ тепло. Главное, не нужно многаго. Я человѣкъ не прихотливый; я ничего не требую. Коли дадутъ сами за каждое дѣло по десяти червонцевъ, такъ хорошо: – и таки довольно у насъ въ судѣ дѣлъ: гражданскихъ 1,500, уголовныхъ 150, вотъ вамъ и капиталецъ! А другіе наши братья кричатъ: уѣздъ неурожайный! Чтоже дѣлать? не вездѣ Нуха, Карабахъ и Ганджа. Тамъ батюшка Калифорнія!.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედება 5

ნინო ზის თავის ოთახში, წიგნი უჭირავს ხელ-
ში, დაფიქრებულია.

გამოსვლა 1-ელი. (ნინო მარტო).

ნინო. იქნებ გამართლდე, დიდი ხნის ჩემისა
სიყრმის იმედო?
ნეტარ, ჩემო საყვარელო, ამ ჩემ გულში ჩამომ-
სედო,
შენ მუნ ნახავ სიყვარული, ვით ლამპარი, ანთებული,
და ზეცისგან ტრფობის ტასტი შენ საკადომად
აგებული!

გამოსვლა 2-რე.

ნინო და ბეგლარ შემოვა.

ნინო. ახ.....

ბეგლარ. ნინა!... ნინა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინა. (ვითომ ებუტება).

ბეგლარ. მიწყრები? (გამოართმევს ხელსა და აკოცებს).

ნინა. მადლობელი გახლავართ, კარგა შეგიქცევივარ! კარგი მე, ქვეყანას რაღას ემართლებოდი?

ბეგლარ. *Прости! Нина!* სიყვარული მოუთმენელია, მე მეგონა მოტყუებული ვარ მეთქი!..

ნინა. გეტყობა კიდევ იჭვში ხარ, რომ ქართველმა ქალებმა სიყვარული არ იციან...

ბეგლარ. შენახარ პირველი და ამისთვის უმეტეს შემიყვარდი.

გამოსვლა 3-მე.

იგინივე და მისეიდ.

მისეიდ. ბეგლარ! თქვენი საქმე კარგათ მოდის. — წადი მამაშენთან, იაია დაუბარებია, ეცადე მოციქულათ გამოგზავნო!

ბეგლარ. რა ეშმაკი მათქმევინებს; სიტყვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ყოფა აქვს, რომ აბუა გამდელიც ველარ შესულა იმასთან. კინალამ დიანბეგი გალახა რომ გამოუცხადა: ფიცამს არ დავანებებო.

მიხეილ. წადი გეუბნები, ახლა მოკაკული იქნება მამა შენი (ბეგლარ მიგა ნინოსთან უეურებს და სელზე ჭოცსის).

მიხეილ. *Но убирайся безъ нѣжностей.* მოესწრობი, მოიცადეთ, სიყვარულიც გაგიცივდებათ! (ბეგლარ გავა).

გამოსვლა 4-სე.

იგინიეე და ნინოფრე შემოვა შეწუსებული.

ნინოფრე (მისეილს), მადლობელი გახლავარ, კარგათ გასჯილხართ, იმედი მაქვს რაც მამუ-ლები გაქვს ისინიც დაჰკარგო. ვეჭო ის გაუ-მაძღარი დათვი ხომ ნაწრეწსაც დამიწყებს დავასა? ბიჭო რა უყავ ათი თუმანი რომ გაგატანე.

მიხეილ. მივეცი ვისთანაც გამატანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონოფრე. ჰსტყუი, მამა ჩემი ნუ წაწყდება, უთუოთ ქალალდში წააგე.

მიხეილ. გეუბნებით, რომ მივეცი, ნუ შეწუხდებით — ღმერთი მოწყალეა.

ონოფრე. არა შვილო, მე ქალაქის სასამართლოს ფულები ვინ მამცა. წამართო, წამართო! რაექნა! ერთი სისხლს კი მოვახდენ და!

მიხეილ. კარგი იქნება, — ასი დღის ჭაობისათვის ერთმანეთი გაწყვიტეთ.

ონოფრე. ნუ გასცემ ხმას და ვნახოთ თუ სხვა მამულებიც არ წაგვართვას. მე, შვილო, დღეს-ხვალ მოვკვდები და შენ მშიერი დარჩები.

მიხეილ. მე არა მიშავს რა, სამსახური დამარჩენს!

ონოფრე. (ბჩეულებს ნინოზედ): ამას რას უპირებ?

მიხეილ. ამას ჩალიანს გავატან მზითვათ.

ონოფრე. კიდეც მასხარაობ, ჩალიანი ხომ იმას მისცეს.

მიხეილ. დიანბეგთან მოვახერხე, — იმან გამოუცხადა ონოფრეს უნდა ჩავაბარონთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანოფრე. და როდემდის მოატყუებთ?

მიხეილ. იქამდის მანამ... (ნინოს ეუბნება) წადი შენს ოთახში... ბეგლარს ნინოზედ ჯვარს არ დავწერ.

ანოფრე. ძალიან არ იყაბულებს?

მიხეილ. მე ვაყაბულებინებ, კიდეც შევიხვეწებ.

ანოფრე. ბეგლარს უნდა?

მიხეილ. გაგიქებული არის.

გამოსვლა 3

იგინიე და ბერუა.

(ბერუა შემოვა, წიგნს მოარიმეებს მიხეილს და ისიც კითხულობს)

მიხეილ. ბიკო, კარგითქო! (ანოფრეს) ეხლავ მოვლენ იაია, რაფაელ და სარქისა, უთოოთ მოცექულები იქნებიან. ვითომ მოგვარიგონ!

გამოსვლა 6-ე.

იგინიე და სიდონია.

ანოფრე. ქალო, ნინუცა გაგითხოვეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდონია. განა არ ვიცი ამის სიცრუე იქ-ნებოდა (უჩვენებს მიხეილზედ).

ანოფრე. ჰსწორეთ.

სიდონია. მერე ამირინდო თანხმა არის?

მიხეილ. უთოოთ; მეტი რა ლონე აქვს.

გამოსვლა 7-დე.

იგინივე და ბიჭი შემოვა.

ბიჭი. ბატონო, დიანბეგი, იაია, რაფაელ, სარქის გიახლებიან.

ანოფრე. მობძანდითქო.

გამოსვლა. 8-რე.

იგინიეე და დიამბეგი, იაია, რაფიელ, სარქისა.

ანოფრე. ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს უ-ფალს დიანბეგს ვახლავარ! რაფიელს გაუმარჯოს! სარქის ბულდანიჩს, დაბძანდით. (დსსდებიან).

ანოფრე. (დიანბეგს). რა ჰანბავია ასე და-ეწყება, ვეეკო! თუ არ საქმისათვის არ მოხვალ.

დიანბეგი. რავქნა,—ჭეშმარიტათ დანაშაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს, მაგრამ მოგეხსენებათ (თმაზედ მოიგლეს ხელს) ამდენი საქმე მაქვს, ნუ გეწყინებათ კი და თქვენ და ამირინდოს ერთი დიანბეგი მოგინდებათ.

ოინოიერე. რაექნა ძმაო, აი დარბაისელნი ბძანდებით, რა დანაშაული მაქვს, სულამდის მომდევს ის კაცი, რაექნა მდიდარია და ფული აქვს; რა უყოთ.

დიანბეგი. კნიაზო, ფული რა არის, აგრე არ უნდა სთქვათ. საკურველია, რა უბედურება არის, რომ არავის თქვენგან არ ესმის, რომ იყოს დიამბეგი უანგაროო! და უყურებთ დიამბეგს მცირე კაცად. ოო! თქვენ არ გესმის ვითარი დიდი მნიშვნელობა აქვს დიამბეგს! თქვენ არ იცით რომ კეთილ – დღეობა ერისა არის დაფუძვნებული ჩვენსა მხრებსა ზედან. თქვენ არ იცით, რომ ერთ გზის დაწერილი ჩემ მიერ ესრეთ არის მტკიცე და მყარ, ვითარცა ჭეშმარიტება. თქვენ არ იცით რომე დარღვევა ჩემგან დამტკიცებული ქალალდისა არაევის ძალუძს. თქვენ აქამდისინ არ გესმით, რომელ მე ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი, მე ვარ ფესვი, მე ვარ სვეტი ხალ-
ხის ბედნიერებისა და უბედურებისა. თქვენ არ
იცით...ეე! რას გელაპარაკოთ.

რაფაელ. ჩემი მოხსენება სხვა რიგათ არ ჩა-
მამართოთ, აი თქვენ შვილთან მოგახსენებ, თუ
გადაიტანა საჩივარი ქალაქში ძნელია.

ანტონრე. თქვენმა მზემა ამაზედ დარწმუ-
ნებული ბძანდებოდეთ, რომ სენატამდისაც ია-
როს, მე იმას არ დავანებებ ჩემს საკუთრებას.

ივან. კარგი, მამა შენი ნუ წაგიწყდებათ, რა
არის ამდენი თქვენი ერთმანეთის წყენა, იმათ
არა ღირს—მთელი ქალაქი არის და თქვენა, სირ-
ცხვილი არის სხვა რომ არა იყოსრა!

ანტონრე. ერთი მამა შენი ნუ წაგიწყდება
შენ ხომ სვინიდისიანი კაცი ხარ, აბა მიბ-
ძანე რავქნა?

ივან. ისი ჰქენით, ბატონო, რომ მორიგ-
დით, აი ეხლა ქალაქიდგან გიახელ უქაზი მო-
სულა ვისაც ერთმანეთში დავა აქვთ და არ
მორიგდებიან ერთ წელიწადზედ, სახემწიფოთ
დასდებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონოფრე- რამენაღვლება.. დეე დასდვან, ჩემ მოსისხლეს ხომ არ დარჩება. ერთი მიბძანეთ როგორ მოვრიგდე, მე თქვენს სინდისზე მოვაგდებ?

ივან დაუთმეთ, ფულ მოვაცემინებ!

ონოფრე. ათას თუმნათ არ მივცემ, გაგონილა? არა ვყიდი, ბატონო, თუ ჩემი არის ჩემი უნდა იყოს, თუ იმისია, იმისი იყოს.

სარქის (ჩუმათ). საქმე მოგვიგია რათ მოურიგდე?

ონოფრე. ჩემი მხარე დაიჭირე, ერთ ურემს ბურს მოგართმევ.

სარქისა (თავს უქნევს).

ივან. მამა არ წამიწყდება, ერთი კარგი ჰაზრი მომივიდა თქვენმა მზემა, უცხო აზრი, ბარაქალდი ივანე! უკეთეს საქმეს კი ვერას ვიფიქრებდი, მტერს თვალებს დაუყენებ, მოდი ვეჭო, ეი, მამა არ წამიწყდება, ჰა, ონოფრე მამიშენი საფლავის მზეს, დამიჯერე კაცო, ეი, ჰა მოდი და აჰ, ეე, გამიგონე და.

ონოფრე. მესმის მიბძანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივან. იცი რა, ეე, ჯიუტი კაცები ხართ მა-
მა არ წამიწყდება, მოდი და მაიტა ხელი, ეე,
ნათქვამია ძმანი ჭირთა შინა სახმარ არიანო,
შენ იცი სიკეთე მინდა, იცი რას მოგახსენებ,
ჰო, იმას მოგახსენებდი მოდიდა. ეი... საკვირვე-
ლი კაცი ხარ, მამა არ წამიწყდება.

სარქისა. ვა, მე გული წამივიდა, თქვი და!

ივან. ჰო იმას მოგახსენებთ, აი რას მოგახსე-
ნებდით და მოყვრდით კაცო ეი!

გამოსვლა მარე.

იგინივე და სიდონია.

ანოფრე. სიდონიავ, ქალო, აი იაია, რას
მიბძანებს დამოყვრდითო.

სიდონია. თქვენმა მზემა არაფერი ულირსობა
არ იქნება, ჩვენი ქალები მეფეებსა ყოლიათ ....

ივან. არა ბატონო, ვინ მოგახსენებთ, არა
თქვენი თავის მზემა, ჰსწორეთ მიბძანეთ.

ანოფრე. მე ყაბული მაქვს, ახლა შენ იცი;
მაგრამ ეს იცოდე პირველათ მე არ მითხოვნია,
თუ მთხოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაია. მზითევი არ გვინდა ვეჭო, თუ ჩალიანს....

მიხეილ, ჩალიანი მომირთმევია.

იაია. (წამოდგება). მამა არ წამიწყდება, ეხლავ წავალ და შენი იაია არ ვიქნები, თუ ამირინდო თავის შვილით არ მოვიყვანო და არ შეგარიგოთ, ხვალ მადლი გადავიხადოთ და გინდა ჯვარიც დავწეროთ. (**იაია და სარქის გავლენ**).

გამოსვლა 10-თე.

დიანბეგი, ონოფრე და მიხეილ.

დიანბეგი. კნიაზო, ერთი ეს ჩალიანის საქმე შემასრულებინეთ.

ონოფრე. რა არის აბა წაიკითხე?

დიანბეგი. უქაზი არის სუდისა ჩალიანზედ, გთხოვეთ მოისმინოთ.

ონოფრე. ბრძანეთ.

დიანბეგი. მოწერილობისა მებრ უქაზისა, სამოქალაქოისა და უგოლოვნის სუდისა № 2,564, სუდი ესე მეორედ შეევიდა განხილვასა შინა. და ახლათა დამატებითა გამოძიებითა თანადასწებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეზდის სტრაპჩითა; სუდი ესე თანხმამნენიითა სუ-
დისა მწეერისა ზასედატლის ლიდივროვისა სხვათ
რომელ უნდა დაშთეს მფლობელობასა შინათ.
ონოფრე ბაადურის ძესა ზემოხსენებული უძრავი
მამული ჩალიანად წოდებული, — ინებეთ მოაწე-
რეთ ხელი.

ონოფრე. არ მესმის რას ანბობთ, მე მო-
მეცით თუ ამირინდოს?

დიანბეგი. თქვენ, მომილოცამს.

ონოფრე (მიხეილს). მაშ შენ რა იცრუე?

მიხეილ. მე სწორეთ გითხარით ამირინდო-
სია მეთქი, მისთვის რომ ნინოს გავატანთ მზი-
თევში.

ონოფრე. შეგარცხვინა, თუ არ მოგეტყუ-
ებინე მე კი დაუჭერდი ჩემ ნინუცასა. სიდო-
ნიავ, მიხეილ, ერთი აქ წამოდით (გაგზავნ სულ
ეველანი).

გამოსვლა 11.

ნინო და ნენე.

ნინო. არ იცი ნენე, რომ ვეთხოვდები, ბეგ-
ლარს მაძლევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენე. შენ კი გენაცვალოს ნენე, მართლა? ჰო, რა გამეხარდა! აბა ახლა იქნებით ბედნიერი, იმედი მაქვს, მეც არ დამივიწყებთ რაც რომ პირობა მამეცით ჩემ გათხოვებაზედ.

ნინო. ნუ გეშინიან არ დამივიწყდება.

გამოსვლა 12 ტე.

იგინივე და ათანვერდი.

ნინა. ათანავ! მაპატიე რომ გაგაჯავრე ჩემი ბრალი არ იყო.

ათან. არა შენ გენაცვალე, მე უნდა მაპატიო, რომ გაგიჯავრდი, მაგრამ შენთვის რომ კარგი მსურს იმიტომ (ჭოტნის).

გამოსვლა 13

იგინივე და სიდონია.

სიდონია (ჭოტნის ნინოს). წადი შვილო, ჩაიცვი, საცაა სტუმრები მოვლენ (უკეთესნი გვ-ვლენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 14-ტე.

სიდონია და ონოფრე.

სიდონია. აბა ამდენი ჩხუბი რაზედ გექონდა, თუ ეგრე მალე შერიგდებოდით. მე სრულებით არ მოვიფიქრებდი, შე ნუმამიკვდები, თუ ჩემი ნინუცა მალე გაბედნიერდებოდი.

ონოფრე. მამა ჩემი არ წამიწყდება, ეს კარგი მოახერხა მიხეილმა.

გამოსვლა 15-ტე.

იგინივე, ბიჭი, ამირინდო და სუყველანი.

ბიი. ამირინდოს სტუმრები არიან. (შემოვლენ სუყველანი, დიანბეგი მიიყვანს ამირინდოს ონოფრესთან და ერთმანეთს აკოცებენ).

ამირინდო. როს მოვიფიქრებდი ამ ბედნიერებას?

ონოფრე. მამა ჩემი არ წამიწყდება, დიდათ მოხარული ვარ.

დიანბეგი. აბა შერიგების ქაღალდი მოიტანეთ.

ბეგლარ. აი მზათ გახლავს აქა ..

ამირინდო. ვინ დასწერა?

ბეგლარ. მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანდო. მარტო შენა?

ბეგლარ. მარტო მე.

ამირანდო ბიჭო, არზის წერა სცოდნია! ჰო! რა ბედნიერი კაცი ვარ, მამა ჩემი არ წამიწყდება.

ალია. მამილოცავს, მამა ჩემი არ წამიწყდება. ჰო? მაგას არ მოვახერხებდი, ჰო, რას მოგახსენებდი? ჰო, აკი გითხარ მამილოცავს, აკი გითხარ არზის წერა იცის მეთქი.

განმოსვლა 16 ტე.

იგინივე და ნინუცა.

ანოფრე (მიიყვანს **ნინუცას.**) ბეგლარ, ჩამიბარებია ქალი, ღმერთმა გაგაბედნიეროს ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემითა. მამიცია ქალი პატიოსანი, ჭკვიანი, კარგი, გაზდილი, ყოველის კეთილით სავსე, შენ იცი და შენმა კაცობამ როგორც კარგათ შეინახამ (**ბეგლარ ჭეოტნის ნინუცას**).

სარქის. თუ ასე ყველა ქართველნი,
შერიგდნენ როგორც ესენი,
მაშინა ჩვენნი სოფლნი
შიმშილით ამოსწყდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბარი ორთა შუა

ქუთაისისაკენ მიმავალს შემომაღამდა გზაზედ. გადმოვეხტი წყლისპირად და დავებარგე ხის ქვეშ. რბილი და გრილი მდელო სასიამოვნოთ მეფინა ქვეშ და მაღლიდამაც ლაქვარდოვანი მოწმენდილი და მოკაშკაშე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თავზედ დამნათოდა....იმ დროს ყოველივე არე მარე, თვითქოს შემსჭვალული უცნაურის საიდუმლოებისაგან იყო მიწყნარებული და ჩაფიქრებული. —ხომ გინახავთ მშვენიერი მზეთ-უნახავი ქალი, როდესაც ფენჯრიდამ ნახევრათ გამოჰყოფს თავს? გახსოვთ, გაგონდებათ ის გრძნობა, რომელიც ძალაუნებურათ შეგიპყრობთ ხოლმე მაშინ? რაგინდ შორის გზით მიეჩქარებოდეთ, მაინც შეჩერდებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მაცთურის ფენჯრის პირდაპირ და, თუ სულ გული-ქვავი არა ხართ, უცდით როდის იქნეს მშვენიერი მთლად გამოჩნდეს და დამენახოსო!.. სწორეთ ამ კეკლუცის მზგავსად გამოიხედა და გამოიჩინა სახე მაღალ მთის წვერიდამ ღამის მნათობმა კეკლუცმა მთვარემ.—მრწამს და აღვიარებ, რომ მთვარესა აქვს უნებურად გრძნობის აღმძვრელი ძალა! მისმა ამოელვარებამ გამოაფხიზლა ბუნება. წყნარად და საამოდ, დაჰბერა, გრილმა ნიავმა, თან სუნნელების გარე მოფენით, ფოთლებმა დაიწყეს რხევით შრიალი, თვითქო საიდუმლო ჩურჩული გამართესო; აბიბინდა მდელო, ათამაშდენ ვარსკვლავები და იქვე ახლოს ასკილზედ ჩაიჭიკჭიკა ბულბულმა.—ჩვენს სიცოცხლეში, თუმცა კი იშვიათად, მაგრამ მაინც შეგვხვდება ხოლმე მისთანა წამი, როდესაც საკუთრად გული მეფობს, გული ბრძანებლობს და ხელ-დარეული გონება ყოვლის უარის უთქმელად ექვემდებრება მას. რა მდგომარეობაში ვართ მაშინ? გულზედ სისხლი გვეემთხვევა, სუნთქმა გვიმძიმდება, უანგარიშო და უწონელი ფიქრები ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებზედ გვემატებიან. ვნატრობთ რაღაცას, მაგ-
რამ არ ვიცით კი რასა?—სიცილი და ტირილი,
სიცოცხლე და სიკვდილი იმ ჟამად ყველა ერთ
გვარად გვენატრება და ნიშნად ამ არეულის
გრძნობისა წამწამებზედ მკრთოლვით მარგალი-
ტებრ ცრემლები გვეკიდებიან!.—ოჰ! რა ტკბილია
მაშინ ის ცრემლები! ის სასუფეველის წვეთები!.
ისე ტკბილია როგორც საუკუნო განსვენება
როგორც მამულისთვის თავის შეწირვა!... ამ
გვარი გრძნობით ვიყავი შემსჭვალული მეც იმ
ღამეს. შევჩერებოდი მაღლა ცას და ჩემი
სამშობლოს წარსული, აწ მყოთი და მომა-
ვალით, ერთად არევით, თვალთ წინ მეხა--
ტებოდა!...ერთად იმ ვარსკვლავებთან მე ვსჭვ-
რეტდი სულებს იმ ჩვენის წინაპარებისას, რო-
მელთაც თავის სამშობლოს სარწმუნოებისა და
ენის დაცვისათვის თავი ამსხვერპლეს ნათლად
და ბრწყინვალეთ, იმ ვარსკვლავებივით... დიდ-
ხანს ვიყავი ამ ფიქრებში გახვეული და ვინ
იცის კიდევ რამოდენს ხანს დავრჩებოდი ამ-
გვარად, თუ რომ მძიმე ამოხვნეშას არ გამო-
ვეფხიზლე და არ მომეხედა: ჩემს გვერდით, იქ-
ვე ახლოს მხარ-თეძოს წამოწოლილიყო ჩემი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამოგზაური, შეჩერებოდა ისიც ცას და თვალ-გაშტერებული ჰფიქრობდა რაღასაც.

—«რას ჰფიქრობ, კიკო! რა გაქვს საფიქრალი?» ვკითხე ჩემს თანამოგზაურს.

— ხორც-შესხმულს სულიერს ადამიანს ფიქრი დაელევა? ნაღვლიანად მომიგო სიჩქარით.

— მაინც რას ჰფიქრობდი, ჩემო კიკო?

— რაი, შენი ჭირიმე, ჩვენი ფიქრი რა გასაგონია! —გლეხ-კაცს ფიქრებიც გლეხხისა აქვს!. აბა თქვენ რომ ახლა ფიქრები გქონდათ, იმას ხომ ვერ მისწვდება! .იმასთან წასატოლებელი კი არ იქნება!...

— რა იცი ჩემო კიკო რაზედ ვფიქრობდი?

— გლეხი კი გახლავართ უსწავლელი და უკნური, მაგრამ, ვენაცვალე მის მადლს, იმდენი ჰაზრი კიდევ გვაქვს ღვთისაგან მოცემული, რომ შეეატყობთ ცოტ-ცოტას ჩვენც!.

— აბა რა შემატყვე? რასა და რაზედ ვჰფიქრობდ-?

— იმას რასაც საზოგადოთ ჰფიქრობენ დიდ-კაცები: დიდ-კაცობაზედ სიმდიდრეზედ ოქრო

ვერცხლზედ, ჩინებზედ და ტემლაკზედ. ამის მეტი სხვა რაღა დაგრჩენიათ საფიქრებელი, რომ თავი უბრალოთ შეიწუხოთ?! ამ სიტყვებმა დაშხამული ისარივით გამიარეს გულში, და მეც რაღაც ძალა-დატანებით ვუთხარი:»—ისეც მიგიგნია და გამოგიცვნია შენ ეშმაკის საფლავი, როგორც ახლა ჩემი აზრები გამოიცანი!—ამა ახლა ის მითხარი შენი ფიქრები რაღა იყო?

— ჩემი ფიქრები?—განაგრძო ამოოხვრით — ჩემი ფიქრები, წელანაც მოგახსენეთ, თქვენ არაფრათ გეპრიანებათ, მაგრამ, რაღამც აღარ მოგიშლიათ, მაინც გეტყვით, მოგახსენებთ: წუხელი, რომ თქვენი გამოგზავნილი კაცი მომივიდა სახლში, თქვენი სიტყვა მომიტანა: «ჩემო კიკო, თუ გიყვარდე, ერთ ცხენი მე გადმომგვარე საჯდომათ და მეორით შენ მიახლე ქუთაისამდის. რასაკვირელია, შენი ჭირიმე, მე მაშინვე დავფათურდი, დედაკაცს საგზალი მოვამზადებიე, ჩავალაგე ხვირჯინში, ტიკჭორში ცოტა ოდენი ღვინო ჩავისხი და თავი მოუგრიხე, ხვირჯინს თავი მოუკარი და მივდევი თაროში. გათენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არა წამოვდექი, ხელაპირი დავიბანე, ვახ-
სენე ღმერთი და დავეპირე წამოსასვლელათ.
«დედაკაცო ოჯახი გებარებოდესთქო, ჩემ ქალს
ეუთხარი. ის მობრუნდა თაროსაკე და დაიწ-
ყო ფოთარი, ზურგი შამომაქცია; საქმე კი არა
ჰქონია რა, ისე რაღა, აოქადა ქმარმა მოწყენა
არ შემატყოსო. შერცხვა...თქვენ ეგება არ გე-
ჯეროსთ დიდი კაცები ბრძანდებით და მე და
ჩემმა ღმერთმა, რომ ჩვენი შესაფერი გრძნობა
და ნამუსი ჩვენ საწყალ ხალხსაცა გვაქვს...რას
მოგახსენებდით?..ჰო!..ამ დროს პატარა ბიჭმა
გამოიღვიძა—ღვთის წყალობა სამი წლის ღლა-
პი მყავს – გამოიღვიძა ბატონო და მითხრა: მამა!..
მამუკელა...ჩემო მამულიაო, ენა მომიჩლიქა,
რას მომიტანო!...ახლა, ბატონო, ამას ი დედა-
კაცი ასწავლიდა წინა ღამეს, თორემ თავის
თავათ ბოვში ვერ მოახერხებდა, შენი ჭი-
რიმე.... – კი შვილო, გენაცვალოს მამაშენი:
შენ გაეზარდე დედა შენს—თქო უთხარი და
გამოვესწიე. ახლა, ჩემო ხელმწიფე, ღვთის და
თქვენს წყალობას შვიდ მანეთს ავიღებ ქირას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს თავზე მოსახვევ ბალდადს დედა-კაცს ეუ-ყიდი, ერთს რუსულ ქუდს პატარა ბიჭს, მეც ქალამანს ჩავიცვამ და დანარჩენს ფულს ოჯახ-ში შევიტან სამჯერ მოყვრათ და კარგი ღვთის წყალობა იქნება. აი, რასა ვფიქრობდი, ჩემო ბატონო. – ნუ გამიწყრებით კი რომ თავი შე-გაწყინეთ გლეხური, თქვენი უკადრისის მუსა-იფით! –

— რას ამბობ, ჩემო ძმაო! – ყველაფერი კარგათ სთქვი, მარამ ეს რუსული ქუდი რა არის? რატომ ბოხოხს არ უყიდი შენ შვილს? –

— რუსული ქუდი უფრო გაუხარდება, შენი ჭირიმე...

— რათა?

— რატომ, ბატონო, თქვენც კარგათ მო-გეხსენებათ, ბოვში უჭკუოა, ბრიყვი და, ი წი-თელი რომა აქვს შემოვლებული გარეშემო რუსულ ქუდს, იმითი მოტყუვდება და იამება!... ამა, სხვა რა უნდა იყოს?..

— გეტყობა, რომ ძალიან ტკბილ ფიქრებში ყოფილხარ შენ ამაღამ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთმა ტკბილათ დაგაბერონსთ, ტკბილი ფიქრები ჩემთვის ისინი იყვენ და ტკბილათაც მე ჩამეძინებოდა, მარამ ვინ მოგვცა მისი ნება!..

— ვინ გიშლის, ჩემო კიკო?

— ვინ მიშლის? ხელის შემშლელი ბევრია! სთქვა ამოოხვრით და დაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევე დაიწყო: დაილოცა ღმერთო შენი სამართალი! ყოლიფერი სამართლიანათ გაგიმწესებია ქვეყანაზედ, რომ, თვითონ კაცი კაცს არ უშლიდეს ხელს და ძმა ძმის მტერი არ იყოს!

— როგორ? რაზედ ამბობ მაგას?

— რაზედ, შენი ჭირიმე და, მე კიდევ იმ წელანდელ მუსაიფთანა ვარ: ამ ტკბილ ტარიოსში იმ ტკბილის ფიქრებით როგორ ტკბილათ ჩამეძინებოდა, რომ ქურდის არ მეშინოდეს!—ახლა კი იმისი შიში მაქვს და ვერ დამეძინა: ვაი, თუ, ქურდი გაჩნდეს, ცხენები მომპაროს და ცოლ შვილიანათ დამლუპოს-თქო!—უნდა გავაგნო ასე ამ ფიქრით, ხვალ წამოვდგე ადრე და უძილარი, დაღალული გაუდგე გზას. რალა თქმა უნდა, რომ ჩემს გუნებაზედ აღარ ვიქნები!—ახლა აბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოტეხილს მოგახსენებ, რომ ვინმე მაწყენიოს რამე დიდათ არ გამოვიდებ თავს თუ სულ არ გამიჭირვა საქმე და წიხლები არ ჩამახვია, ასე ვეტყვი: მომშორდი, ჩემო ძმაო, რა ბეესაბათ გადამკიდებიხარ, რა გინდა ჩემთან-თქო!—ამას ვეტყვი, ამიტომ რომ კარგს გუნებაზედა ვარ და ხვალ კი ამ ცუდ გუნებაზედ რომ ვიქნები: ერთი რომ ვინმე მითხრას: ჩამოდექი ყაზახო!. ქორიევით ვებდღვნები გულზედ და ერთს ბეესაბს გადავეკიდები!.. რათა და რისთვინ! მერე იტყვიან, რომ კიკო ცუდი კაციაო!.. არა, კიკო კი არის ცუდი კაცი, და ავი ის არის, ვინც მე ჩემს გუნებაზედ არ მაყენებს!... მაგრამ მაინც მადლობა ჩემს იესო ქრისტეს, უომისოთაც არ იქნება—ეს დაამატა და წავიდა ცხენების დასახდავათ!....., ჩვენო მსაჯულებო! ზეცას რომ ეპოტინებით და იქიდამ ჰკრეფავთ თქვენს აზრებს და ისე ადგენთ კანონებს!—უმჯობესი არ არის, რომ დაბლა ჩამობძანდეთ, მიუგდოთ ყური ამ ხალხს, შეისწავლოთ მათი სატკივარი და სამკურნალოცვე მათგან ფუტკარივით ამოჰკრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოთ!... ვამბობდი გუნებაში! ბოლოს გადაბ-
რუნდი მეორეს გვერდზედ და დავხუჭე თვალები
და მიეეცი თავი ოცნებას.... მაგრამ ტკბილი
და სასიამო ოცნება ალარ მმნებდებოდა მე:
სადაც მინდოდა ვარდი წამომედგინა, იქ მაშინ
ეკლები მეხატებოდენ... ძალიან სიკვდილის ღამე
არ არის! წამოიძახა დაბრუნებულმა კიკომ:

— როგორ თუ სიკვდილის ღამე?

— ძალიან კვდება ხალხი, ძალიან! ვინ იცის
რამდენს უტირდება დედა?

— რათი იცი?

— რათი, ბატონო, და აგერ ვარსკვლავები წყ-
დებიან, ბარემ ოცამდი დავთვალე, რომ ჩამო-
ვარდენ! რას იცინით ბატონო? ეს ტყუილი არ
არის, ბეჯითი სწორეთ, რომ კაცი როგორც
დაიბადა თუ არა, მისი ვარსკვლავი მაშინვე ცა-
ზედ გამოიჭედება და როცა გადიცვლება, მის ვარ-
სკვლავიც მაშინვე მოსწყდება!.. ეს სწორეთ
ასეა, თორემ თქვენ უკეთ უნდა მოგეხსენებო-
დესთ!.. ხომ არ გეძინებათ ჯერ ბატონო?

— არა, ჩემო კიკო! ამალამ ვგონებ სულაც არ
დამეძინოს, ისეთს გუნებაზედა ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ რა ფერს უკაცრავათ, შენი ჭირიმე, და ჩემი უგნური საუბარით, მგონია თავიც შეგაწყინეთ, თქვენ რუსულ-მუსაიფსა ხართ დაჩვეული და მე კი ქართულით ვიგდებ თავს... რომ ვიცოდე რუსული ჩემთვისაც კარგი იქნებოდა, მაშინ რუსულათ მოგახსენებდი... მაგრამ სად არის?—

— რას მეტყოდი მაშინ? ისევ მაგას რაც ახლა მითხარი, თუ სხვას რასმეს?

— არა, შენი ჭირიმე, ამას მოგახსენებდით ისევ, მაგრამ რუსულათ უფრო შნოიანათ გამოვიდოდა, ჩესტით და თქვენც გესიამოვნებოდათ.

— რათა გგონია, რომ უფრო ტკბილათ და ჩესტით გამოვიდოდა?—

— როგორ არ მეგონოს, შენ დალოცვილო, ბრალიანი და უბრალო, ვისაც უჭირს და არ უჭირს, სულ ყველა რუსულათ, ცდილობს ლაპარაკს, ცოლი ქმარს აღარ ეუბნება ქართულათ მაკოცეო, სულ-რუსული და სულ რუსული და თუ კარგი არ იყოს, რაევა მერე ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიკო?

— ბატონო, შენი ჭირიმე

— რუსული სიტყვები არაფერი იცი?

— კი ვიცი, ორიოდე რუსების გზის სამუშაოერში ვისწავლე.

— აბა, რა სიტყვება?...

— საბაქ! დურაქ! მერიალო! სვინია! და...

— არა, არა ეგები არ მინდა, ძალათ არ გკითხავ!. გავაწყვეტინე მე. პოქოლუსტა არ იცი, რა არის?

— როგორ არა ბატონო, ისიც გზაში ვისწავლე.

— რა არის?

— მალეო!

— არა,,მალე,, კი არ არის. ქართულათ შენი ჭირიმეთ, გენაცვალეთ გადმოითარგმნება.

— იმე, მერე და, ჩვენი რუსი, გზის თავ-მდგმური, როცა დაგვსაქმებდა რამეს წაგვარტყამდა და მაშინ გვეტყოდა ხოლმე პოქოლუსტას და თუ მართლა პოქოლუსტა შენი ჭირიმეა! ვის გაუგონია შენი ჭირიმეთი წყრომა? მაგრამ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახვროს ღმერთმა, ყველას თავის ადათი აქვს!. ..

— ახლა ის მინდოდა შენთვის მეკითხა: შინ რომ მიხვალ, ცოლს მოეფერები?

— ალბათ ანგრე იქნება! გლეხ კაცურ წესზედ კიდეც მოვეფერები და კიდევაც ვაკოცებ, პატივი თქვენგან მომითხოვია.—

— კარგი და რანაირათ დაუწყებ ალერს: რუსულათ ეტყვი პოჟოლუსტას, თუ ჩვენებურ შენი ჭირიმეს?

— რასაკვირველია, რომ ჩვენებურათ ვეტყვი! თუ ხუმრობის გუნებაზედ ვიქენი, ეგება ისე ლლაბუკობით კი ვუთხრა პოჟოლუსტა-თქო, თვარემ ისე გრილის გულით რათ ვეტყვი!

— და რატომ, აკი შენა სთქვი, რომ რუსული უფრო ტკბილია ქართულზედო!

— მე ხომ ჩემ თავათ არ მომიხსენებია, მაგრამ მე კი მაინც იმ სიტყვებთანა ვარ «პოჟოლუსტას» სწორეთ არ ვეტყვი: «გენაცვალე» უფრო მოდის ნიშანში და არვიცი კი რათა!

— რათა? მისთვის, რომ «პოჟოლუსტა» სხვისი სიტყვაა დაჭერილი გყავს, დამწყვდეული თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ისე როგორც ჩიტი გალიაში, გამოქმის დროს, ჯერ უნდა გაიხსენო, მერე გამოიღო თავიდამ და ისე სთქვა. «შენიჭირიმე» კი შენი თან-მოპილია, ის ისე გაუჭირვლად გულიდამ ამოდის!

— ეგ კი სწორეთ ბეჯითია თავი ნუ მოიკვდა!...რაც მართალია—მართალია და მართალია!..

— ჰო და მაშ შენ აქედამ ის იფიქრე: მე რათ უნდა მესიამოვნებოდეს სხვა ენაზედ საუბარი, ქართულ ენაზედ საუბარს?

— კეთილია! დალოცა ღმერთმა რადგანც მაგრეა, მაშ მე თავი არ შემიწყენია!...

— არა, ჩემო კიკო! ილაპარაკე რაც მოგაგონდეს, მე ყურს გიგდებ! ეს მიტომ ვუთხარი, რომ შევატყვე ჩემთან მოგზაურს მუსაიფს სურვილი და აღარ მოუკალი ხურუში.

— გზაში მუსაიფი სწორეთ ერთ რამეთა ლირს, ძალიან აქცევს კაცს!...ერთი ჭკვიანი და ერთი ბრიყვი მიდიოდენ ერთად გზაზედ წინ ორი აღმართი ედვათ ასასვლელი. არჩიეს მგზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებმა და ასე გადასწყვიტეს: ერთ ალმართში ერთმა ავიტანოთ ზურგით მეორეო და მეორე ალმართში კი მეორემო! ასე დაასნნეს და წავიდენ. მიადგენ პირველ ალმართს, აიკიდა ზურგზედ ბრიყვმა ჭკვიანი და აიტანა: გაიარეს ცოტა გზა, დაუახლოვდენ მეორე ალმართს, გამართა ჭკვიანმა მუსაიფი, წაიტყუა ბრიყვი და ისე გადაარონია ის ალმართი, რომ ბრიყვმა ვერც კი შენიშნა. ბოლოს მოაგონდა და უთხრა ის ალმართი სად არისო? ჭკვიანმა უპასუხა დიდი ხანია გადავიარეთ, მაგრამ მუსაიფში ვიყავით და ვერც კი შენიშნეო! ახლა ბატონო ეს გზაში მუსაიფობაზეა ნათქვამი. ხომ კარგია მუსაიფი გზაში!

— კი, მაგრამ, ახლა ვინ არის მე და შენში ბრიყვი და ჭკვიანი?

— ეჰ, შე დალოცვილო მაგაზედ ხომ არ მოგმიხსენებია!., აჩუ! აჩუ! აჩუ! ნეტავი რასა ფრთქვენს ის ცხვნი? წავიდე ერთიც დავხედო! წავიდა დაათვალიერა, მერე მოვიდა წამოწვა და მცირე ხნის შემდეგ ისევე დაიწყო:

არ წაიღო ყურთა სმენა ამ ბულმულმა!!..

ჭიკჭიკობს და ჭიკჭიკობს გაუსხლეტლად! უნდა მოგახსენოთ, რომ იმ ერთს მუხლზედ მაშვიც კარგია, მაგრამ ამ პატარა ჩიტისთანა კი არ შეიძლება. ერთობ არი! დაილოცა ღვთის სამართალი! მოგახსენებ, რომ ვითომც ერთხელ ბულბული ჯერ ვენახის სარზედ მჯდარიყოს, დაძინებოდეს და ფშალა იმოდენა გაზდილიყოს, რომ შემოხვევოდეს გარს და დაებას! მასუკან თურმე, მას ანგელოზს დაუწყეველია, რომ ლამე ველარ იძინოს და ასე უნდა იჭიკჭიკოს! ასეა არაკათ ნათქვამი, მაგრამ წიგნებში კი სულ სხვები სწერიაო, მოგახსენებენ, და ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ, თუ მართალია!

— რაო, რა სწერიაო? როგორ გაგიგონია? როგორ, ბატონო, და ბულბულს ერთხელვე ვარდის სიყვარული აქვს გულში ჩავარდნილი და იმას ეკურკუზება, მისთვის ჭიკჭიკობსო!

— შენ როგორა გგონია? მართალია თუ არა?..

— რა მოგახსენო. და ეს კი ჩემის თვალით მინახავს, რომ დილას ადრე მიფრინდა ბულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ვარდთან და ასე გაშლილი რომ ხახა (ეს სულ ითანშნა) ჩაუყო შუა გულში ნისკარტი და ორჯერ, სამჯერ ჩააჭუკჭუკა... ახლა ბატონო თუ ის მისებურათ ნისკარტით არ ჰკოცნიდა და სხვებრ, შენიჭორიმე, «გენაცვალეს» არ ჩაჩურჩულებდა, მა რაიყო სხვა?...

— ის კოცნა კი არ იყო, ვარდის გულზედ დილის ნამი იქნებოდა დაცემული და იმას ამოსწოვდა; აგრეთვე ვარდს ჭიები აჯდებიან ხოლმე და იმას სჭამს ბულბული და მიტომ ეტანება ვარდნარს... ეს ახსნა როგორლაც არ იამა ჩემს თან-მოგზაურს; შევიტყვე რომ პოეტურ-ამაოთ-მორწმუნებიდამ გამოყვანამ სახე დაულრუბლა და მეც უთხარი შემდეგი:

— არა ეგ სწორეთ ტყუილია, რაც სიყვარულზედ გაგინოია და ან ფშალაზედ

— აბა, ბატონო, რა მიზეზია, რომ ღამე ჭიკ-ჭიკობს მარტო ბულბული და სხვა ჩიტი კი არა და რათ უყვარს ბულბულს ვარდი? თუ სხვა მიზეზი არა იყოსრა?

— მიზეზი კი არის, მაგრამ შენ არ გექნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგონილი!» შეეატყვე რომ ჩემი კიკო მოემზადა სიამოვნების ყურის დასაგდებათ. — «გაგიგონია, რომ ძველ დროში საქართველოს ბევრი მტრები ჰყავდა, გარს ეხვეოდენ და არ აძლევდენ მოსვენებას ჩვენს ძველებს?

— ეგ კი გამიგონია! ურჯულო თათრებზედ და ყიზილბაშებზედ მოგახსენებენ მაგას, თუ მართალია.

— მართალია! სწორეთ მართალია! მათგან საქართველოს ერთი დღეც არა ჰქონია მოსვენება. იმათ უნდოდათ, რომ ჩვენი ქვეყანა აეოხრებინათ, ხალხი გაერყვნათ, ჩვენი ხასიათი, ჩვეულება დიდი ენა და რჯული შეეცვალათ როგორმე; ამის გამო გაუსხლეტელი ბრძოლა ჰქონდათ ჩვენ ძველებს იმათთან, არ ემონებოდენ და თავს აკლავდენ უშიშრათ.... მე როგორც ვჰფიქრობ, დღესაც რომ მისთანა დღე ადგეს ჩვენს ქვეყანას, შენც გამოიღებდი ხელს თუ არა? გამოიმეტებდი თავს მტერთან შესაკლავათ?

— მაშინ კი შერცხვეს ჩემი ვაჟ-კაცობა, რომ თავი დავიზოგო! ერთს დღეს დაბადებული ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს დღეს მოვჰკვდები... სირცხვილს კი არა ვსჭამ...

— აბა, ჩემო ძამია, სწორეთ მაგრე ჰფიქრობდენ ჩვენი ძველები ეომებოდენ და თავს აკლავდენ... ხალხი უმოწყალოთა სწყდებოდა...

— აი, ვენაცვალე იმათ ბიჭობას!... ძალიან ვარსკვლავების ცვენა კი იქნებოდა, ბატონო, მაშინ...

— მაგისი რა მოგახსენო და ხალხი კი ძალიან სწყდებოდა ასე, რომ დამმარხავიც აღარავინ იყო და მათი ძვლები ტყე და ველს ეფინებოდა! ბევრი დედის ერთა გაწირულა და მისი ძვლები ტყეში დაყრილა. ახლა, ჩემო კიკო, სადაც ის დედის ერთები მოუკლავთ და მათი ძვლები დაყრილია, იქ ვარდი ამოდის, და იმ ვარდზედ, შემომჯდარი, ბულბული ღამღამით მათ სულებს უგალობებს! ახლა ხომ მიხვდი, რათ გალობს ბულბული.

— ღმერთმა ბევრს კარგს მიგახვედროს, ჩემო ბატონო! რა ვიცით ჩვენ? ვინ მოგვცა ამ დენი ჭაზრი და გონება?. - ამ ანბავმა ისე ასიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნა ჩემი თანა-მოგზაური, რომ სახე დაუშალა და გაუნათლა სიამოვნებით – ჰე. რა ძნელია უცოდნელობა! .. ძალიან ღვთისაგან კურთხეული ჩიტი არა ყოფილა ის დალოცვილი ბულბული! ასე ძნელია უგონურება! უცოდნელობა!. ჩვენ რომ დავიხოცებით, ვინ იცის, ჩვენს საფლავზედ ნარო ეკალა ამავე და მის ძირში ბაყაყები დაიბუდებენ..... ვაი ჩვენი ბრალი!.. მაგრამ ჩვენი რა ბრალია! ჩვენც, როგორც ჩვენი ძველები უწინდელ დროში, დიდკაცობას შევჩერებიმართ და აესაცა და კარგსაც მათგან ესწავლობთ. ბულბული! ბულბული! აჰ! მე კიდევ იმ მკვდრებთანა ვარ: ჭეშმარიტათ ჩვენ ღვინოც არ შეგვერგება, თუ ისინი არ მოვიხსენიეთ ხოლ-ვე! – ესა სთქვა ამოოხერით და ჩალუნა თავი. ეტყობოდა, რომ მწარე ფიქრები აშფოთებდენ. დიდხანი იყო ამ მდგომარეობაში და მეც არ მინდოდა შემეშლევინებია ფაქტები, სანამ თვითონვე არ დამიწყო:» ბატონო! ბევრი ჩიტი კი ოხერია, ი, ძერა ხომ არის, რას აკეთებს ერთი, რომ სთქვას კაცმა! კვირიკოს მარიამობისთვეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამან წიეილიიცის, სწორეთ მტრის გასაგონია!.. ამბობენ რომ იმ ორთვეში იმას წყალი სისხლათ ეჩვენებოდა და ან ნეტავი რათა?

— რათა და მურმან ყრუ, რომ მოსულა ჩვენში ხომ გაგიგონია?

— კი, ბატონო, მოწამეთას რომ წმინდანები არიან, მოგახსენებენ მათგან ნაწამებიაო.

— ჰო, სწორეთ იმ მურმან ყრუმ ააოხრა ერთხელ ჩვენი ქვეყანა კვირიაკობ-მარიობის თვეში. ისე გასწყვიტა ხალხი, რომ სულ სისხლის ღვარი იდგა დედამიწის ზურგზედ; წყლები ისე შეიღებენ, რომ სისხლის ფერი თურმე ედვათ. ყორანი და ძერა რომ ძღებოდენ ჩვენი ძველების ხორცით, სასმელათ მაშინ წმინდა წყალს ვეღარ პოვობდენ, სისხლათ ეჩვენებოდათ და მაშინ დასწყევლა ისინი წმინდა გიორგიმ და მას უკან წელიწადში ორ თვეს წყალს ვეღარა სმენ სისხლათ ეჩვენებათ და წყურვილისაგან წვიეიან ჰაერში?...

— ჰე, ანასუნი მათ საქმეს, ისე მოუხდებათ!.. ვენაცვალე მის ძლიერებას და ძალიან კი პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონობს ჩვენს ხალხს წმინდა გიორგი. რომ ის 'არა გვყვავდეს ამოვარდებოდით, მარტო ჭინკებს ველარ გადურჩებოდით?...

— როგორ თუ ჭინკებს?

— განა არ მოგეხსენებათ? ის ერთი თვე რომ არის, გიორგობისთვე; ჩვენ, ბატონო იმას ჭინკობისთვეს ვეძახით, ჯვარი აქაურობას და იმ თვეში ატყდებიან, ბატონო, ჭინკები, დადიან ხმელეთად ადამიანათ ვინც ჭინკობისთვეშია დაბადებული, მიადგება ღამე კარზედ და ადამიანივით სახელს დაუძახებს, თუ გააბრიყვა ვინმე და გაიტყუა, თქვენი მტერი გაფუჭდეს, იმან ის გააფუჭოს.. მაგნეა!... იმ ერთს თვეს სულ ისე არიან ატროებული! მაგრამ დაილოცოს მათი ძლიერება, დიდხან ალარ ატარებს ხოლმე იმათ თავის ნებაზედ წმინდა გიორგი; მთავარ ანგელოზობის დღეს მობოჭამს, ყველას შებორკავს და გიორგობას ნაშუალამევს გადაუძახებს ხოლმე ზღვაში, მეორე გიორგობის თვემდე. —

— აგრე ბეჯითათ, რომ ანბობ: გინახავს შენის თვალით შენ ჭინკა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახვით არ მინახავს, მარა გაგონებით კი სწორეთ გამიგონია მისი ხმა.

— მითხარი აბა როგორ გაგიგონია? —

— როგორ ბატონო და. გორში გიახელი ბამბაზედ. საპნები მოგვქონდა მე და ჩემ ამხანაკს, თაფლი გვინდოდა გაგვეცვალა ბანბაზედ: გზაზედ ამხანაკი გამიხდა ავათ, იმან ცოტა ხელი შემიშალა, დავბრუნდით ისევე, ველარ წავედი და მეორე დღის ნაშუალამევი იყო, მიველ ისევ შინ... ცოლი ცოტა შეშინებული დამიხვდა, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება, ვთქვი თუ დედა-კაცია, რამე ეტკინებოდა-თქო და დავწექი ჩემთვის. ერთი პირი არ გვქონდა გამოძინებული, რომ მოდგა კიდეცა კარზედ და დაიწყო ძახილი ადამიანივით: «ნინო, ნინო, (ჩემ ცოლს ნინო ეძახიან) კარი გამიღე, გამოდიო.» მე წამოვარდი, ვაპი, რობდი კარში გავარდნას, მაგრამ ახალუხის ჩაცმის დროს, დამეტაკა ჩემი ცოლი, შეშინებული და მომაძახა: რას შერები? დაგავიწყდა რომ ჭინკობის თვეა და მეც ამ თვეში ვარ დაბადებულიო და მიაყვირა თვითონ:» აი, დაგწყევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს, ჭინკავ, დაგლახვროს სამას სამოცდა ხუთმა წმინდა გიორგიმ, რას მაშინებ, რომ მაშინებ ქმარი შინა მყავს, ასეთ თოფსა, გჰკრავს რომ ყირამალა გადაგატრიალოსო!» ამის თქმა და მისი გაქცევა ერთი იყო! როგორც წმინდა გიორგის ხსენება გაიგონა, იშვირა ხელი და ფეხი და გლიჯინით გადაევლო ლობეს, სულ ლაწა-ლუწი დააწყებია!.. ისევ დედაკაცის მიხდომა თორემ, რომ გავსულიყავ, დღეს გაფუჭებული ვიქნებოდი!... ამ სიტყვებმა ღიმილი მომგვარეს და ვიფიქრე ჩემს გუნებაში: თქვენ-გლეხებს უფრო შეგწევიათ ჩვენზედ, აზნაურობაზედ, წმინდა გიორგი, ჩემო კიკო: თქვენ მარტო ერთი თვე გქონიათ ჭინკობის თვე და ჩვენ კი თორმეტივე-თქო.

ბევრი კიდე სხვაც რამ მემუსაიფა ჩემმა კიკომ, მაგრამ გლეხის საუბარი რა გასაგონია და ან რა საკადრისი! გლეხი თუ კარგი იყოს, გლეხიც არ იქნებაო. ნათქვამია ძველათ-დღესაც ზოგიერთები კიდევ იმეორებენ, იმეორებენ, მაგრამ მათვე შვილებს კი ღიმილი მოსდით.

თ. აკ. წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის მასალები:

ხევსურების ჩვენება იმათ მიწა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით.

I.

კიდევ წინათ თამარ დედოფლის ხელმწიფობისა საქართველოშია, არქოტის ხეობაში, მდგარან თათრები, ხოლო წინაპარნი ჩვენნი იმ დროებაში მდგარან ღლიღვის საზოგადოებაში ანუ თემში, სოფლებსა შინა: შახალს (ღაფი), წოლათაში (წოლი), ნეკაპსოს (ნიქასტს), ბაასერში, (ბიესერს) ამლას, და მაკალი – ბიფიელში; და როდესაცა თამარ დედოფალი მობძანებულა ღლიღვშია, სადაცა აუშენებია მართლ-მადიდებლის ეკკლესია მახლობლად სოფლისა არიახისა (იგივე ხიარასი), მაშინ წინაპართა ჩვენთა, ბრძანებითა თამარ დედოფლისათა, მიუღიათ მართლ-მადიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლის სარწმუნოება. იმისგამო შემდეგ რაოდენისამე ხანისა იქ მცხოვრებთა აგვართვეს შურის ძიება და წინაპარნი ჩვენნი იმისგამო გადმოსახლებულან უქმს ადგილს არქოტის ხეობაშია, სადაცა თუმცა თათრები მდგარან, მარამ რა შინებიათ თამარ დედოფლისა, რომ არ დანათლოს იგინი და მიაქციოს მართლ-მადიდებლის სარწმუნოებაზედა, გადასახლებულან იგინი იმ ადგილიდამ—არ ვიცით სადა, მხოლოდ იმ თათრებისგანნი დარჩომილან ახიელის სოფელში ორი კვამლიო: ალია და ბახა ჯაბუშანურები, სადაცა ჩვენი წინაპარნიცა იქვე დასახლებულან. შემდეგ რაოდენისამე ხნისა თამარ დედოფალი, როდესაც მეორეთ მობძანებულა არქოტის ხეობაში, მაშინ უკითხავს—ვინ ქრისტიანია და ვინ თათრებისგანია? ჩვენი წინაპარნი, რადგანაც ქრისტიანები ყოფილან, გამოსულან ცალკე. ხოლო თათრები ცალკე დამდგარან, ქრისტიანებთან განრჩევითა. როდესაცა ჩვენი სასაფლაო ეკურთხებინა, მაშინ ებრძანებინა, რომ თათრები არ ემარხნათ ქრისტიანების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლაოსთანა, და იმდროიდგან ის თათრები ვინც ახიელში ცხოვრებენ, რომელთაცა თუმცა მართლ-მადიდებელი სარწმუნოება მიიღეს, მარამ მაინც კიდევ სასაფლაო ცალკეთ აქვს, და ჩვენ იმ დროიდგან ესცხოვრებთ შთამამავლობითა არქოტის ხეობაშია, რომლის მოცილე და მოდავე არავინ აღმოგვჩენია; მხოლოდ ეს კი, რომ ამას წინეთ იყო მტრიანობა და ქისტები ღლიღვის თემისანი მძლავრი და ღონიერი ხალხნი იყვნენ სახელდობრ ,გვარეულნი ლუდელოები (იგივე ეულოები) არ გვასვენებდნენ, მოდიოდენ ჩვენზედ, მტრულად დაგვეცემოდნენ და ჩვენი საქონელი რქიანი მიუდიოდათ მოტაცებითა, აგრეთვე ჩვენცა გვხოცდენ. იმის შეშინებულნი ჩვენი წინაპარნი აძლევდენ ეულოელებს შესანახავს ხარჯს, რაისაგამოცა ჩვენცა იმ პიროობაზედ წინათ დადებულზედ ვაძლევდით კვამლზედ ყოველ წლიე ორ აბაზ თეთრ ფულს და, თუ ფული არავის ექმნებოდა, მაშინ უნდა მიგვეცა ათი მწყრთა თეთრი ხამი. ერთს დროს ჩვენ უარი უყავით და პიროობაზედ აღარ გავბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეთ მიცემა ხარჯისა, იმაზედ იგი ქისტები და-
გვეცნენ ზამთარში და მაშინ დაგვიხოცეს ჩვენი
წინაპარნი სამოცდა შვიდი კომლი ორიე სქე-
სისანი, წაიღეს ყოველიე საცხოვრებელი, და
ზოგიერთი მაშინ გადარჩნენ ჩვენები გაქცევი-
თა, რომელთაგანაცა კიდევ გამრავლებულან
ჩვენი სოფელი და კიდევ უწინდელს კვალობა-
ზედ ურთმევიათ ჩვენთვის ხარჯი, და იმ გვარათ
გვართმევდენ, ვიდრე ჩ ა ნ თ—წლამდინა, ესე იგი
შემოსვლამდინა თიანეთის მაზრაშია ნაჩალნი-
კათა თავადის რატიევისა, რომლის ბრძანებითა-
ცა ჩვენ აღარ მიგვიცია და უარი უყავით მათ
ხარჯის მიცემაზედა; აგრეთვე ჩვენც იმ დროი-
დგან, როდესაც ჩვენი წინაპარნი გადმოსახლე-
ბულან ზემოცხადყოფილის იქაურის სოფლე-
ბიდამა, ვიდრე ჩ ა ნ თ წლამდინ ჩვენც ვართმევ-
დით იმ სოფლების მამულების ღალასა ღლი-
ღვის თემის ქისტებსა, კვამლზედ თითო ცხვარსა,
გარდა იმ ადგილებისა, სადაცა აღარა დგას ხალ-
ხი, სახელდობრ: ამღა და მაღალი ბიფიელი, რო-
მლებიდამაცა ესარგებლობდით ყოველის კაცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცილებლად. იმ ადგილებიდამა ეიღებდით საბა-
ლახესა, ხოლო სახნაურის მამულებისასა ღალა-
სა; გარნა შემდეგ შემოსელისა თიანეთის მაზრა-
ში ნაჩალნიკითა აღგვეკრძალა ძლევა ხარჯისა
ეულოველებთაგან და აღარცა ჩვენ გვიძლევია
მათთვის და შემდეგ მისსა ჩვენც ვეღარ მოვთ-
ხოვეთ ღლიღვის სოფლელებს, სახელდობრ: შა-
ხალი (ღაფი), წოლი, ნიქასტ, ბიესერს, აგრეთვე
ვეღარც ვისარგებლედ ამლის და მახალი ბიფიე-
ლის ადგილის შემოსავლიდამა. — დიდის ხნიდგან-
ვე გვქონდა პიროობა დადებული ჩვენ და ქისტე-
ბსა ღლიღვის თემისათა, იმაზედა რომელ, ვინი-
ცობაა, როდესაც სტუმარი მოგვივიდოდა ჩვენ
ქისტებთაგანი და ან ჩვენგანი იმათ სტუმრათ
მივიდოდა და იმ სტუმარს ჩვენ ან თუ ისენი
მოჰკლამდენ დანიშნულს სამძღვარ თერგის კარს
გარეთა, მაშინ ჩვენ ერთმანეთისთვინ უნდა გვე-
ძლივნა ჩვეულობისაებრ დაწესებული სისხლი;
დაუმატებთ ამასა, რომელ არქოტის თემის ხევ-
სურთ გვეკუთნის ტანიეს ხეობა, უმეტეს ამისა
რომელ ტანიეს ადგილში იყო აღშენებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენგანის ბაიას მამის გიორგისაგან სადგრმი კოშკი, აგრეთვე აქენდა მას იქ წისქვილიცა. რაცა ვაჩვენეთ სიმართლით არის მისთვის ხელის მოწერაზედ ვენდობით სხვასა.

გარსია ოდინაშვილი, გაგა ბადაშვილი, მამუკა პაიჭაურიშვილი, ბაია გიორგიშვილი, მარაიძე თოთაშვილი და სულხანაურ აბაშვილი, რადგან ამათ წერა არ იცოდენ. ამათის თხოვნით ხელს ვაწერ ღულის სოფლის მამასახლისი იმედა ქისტაური.

II.

წინაპარნი ჩვენნი რაედენსამე საუკონოს წინათა, ვინამდისინ თამარ დედოფალი იქმნებოდა ხელმწიფეთა, ყოფილან სოფლის ჯიმლაში მცხოვრებლათ, სამოც კვამლამდინა, და შემდეგ რაოდენისამე ხანისა ჭირი—სნეულობა გადმოვარდნილა და იმ სნეულობისაგან ამოხოცილან, ასე რომ სამი კვამლის მეტი აღარ დარჩომილან და იმის აქეთ ეხლა თოთხმეტი კომლი ვართ. ჩვენ რადგანაც მცირედი ხალხნი ვიყავით, არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვქონდა ღონე და ძალა, იყო არეულობა, მაშინ ღლიღველ ქისტებს ერთი—გვარეული კაცი გოგოლებსა (იგივე ოზდიგელები) და შუანებსა აქვნდათ ჩვენთან მტეროობა და არ მოგვეშვენენ. იგინი ვინამდისინ ორივე გვარის ხალხთ არ დაუწყეთ ძლევა კვამლზედ ჩვენ ოროლი აბაზისა და ან იმის ნაცვლად ათ ათი მწრთა თეთრი სამოსისა, იმაშია რომ იგინი ჩვენ შეგვინახამდენ და არცალა სხვა მტერს ჩვენზედ მოუშვებდენ. და ეს პირობაცა გვქონდა დადებული, რომ უკეთუ ჩვენის სოფლისას მოკლამდა ვინმე, მაშინ იმათ ჩვენთვის ჩვეულებისაებრ კაცი უნდა ეზღოთ; აგრეთვე საქონელს, ვინც მოგვტაცებდა, იმასაც გვიზღამდენ ჩვეულობისაებრ; მას აქეთ იქნება თოთხმეტი წელი თუ უფრო ბევრი, რაც ქისტმა გოშტიკაურის გვარისამან მოკლა ჩვენგანის ალედაურის ძმა, კოლოტანოს სოფლის ქვემოთა, და ამის გამო ჩვენ პირობისაებრ აციგოგოლებსა ვსთხოვდით კაცის სისხლსა ჩვენის ძმისასა. იმათ ჩვენ სისხლი აღარ მოგვცეს, და იმისთვის ჩვენც აღარ მივეცით რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვედო ბეგარი, რომ ვერ შეგვინახეს კარგათა და ვერც აღასრულეს პირობა რაცა გვქონდა ჩვენ ერთმანეთთან თქმული. შუანელთ ქისტებს ღა ვაძლევდით თავიანთ ხვედრს თითო აბაზს და ან ხუთ მწრთა თეთრს ხამსა, ხოლო მას აქეთ იქმნება ექვსი წელი, რაც აღარ ვაძლევთ აღარც იმათა. ამასთანავე დაუმატებთ, რომელ შუანელი ქისტები გვაძლევდენ ჩვენ სასოფლოთ მამულის შიბუს ღალასა, რომელიცა გვეკუთნებოდა ჩვენა, წელიწადში თითო ცხვარსა, თითო ჯიხვის ტყავსა და თითო ცელსა და იგინიცა აწ იქმნება ორმოცი წელი, რაც აღარც იგინი გვაძლევენ იმ ბეგარსა და აღნიშნულ შიბუს მამულიც იმათ დაიჭირეს, რაიცა ვაჩვენეთ, სიმართლით არის, მისთვის ხელის მოწერაზედ ჩვენს მაგიერათ ვენდობით სხვასა.

ალუდა აბაიძე და ივანე აბაიძე, რადგანც ამათ წერა არ იცოდენ, ამის თხოვნით და ხელ ჩამორთმევით ხელს ვაწერ იმედა ქისტაური.

III.

წინაპარნი ჩვენნი დასახლებულან კოლოტანსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში, რომელნიცა გადმოსახლებულან ზეისტეჩოდამ, იმას წინათ ვიდრე თამარ დედოფალი იქნებოდა ხელმწიფათა, იმ დროებაშია როდესაც თოფების მაგიერ შვილდისრობა ყოფილა, და ჩვენცა შთამამავალნი მათნი აწ ეხლა ესცხოვრებთ ჩვენს სოფელშია, არავინა გვყავს მოდავე და მოცილე; ხოლო რადგანაც ხალხის სიმცირისა გამო ჩვენისა ვიყავით ულონოთა, ამისთვის ქისტებმა ღლიღვებმა აგვართვეს შური გვარეულთ აციგოგოლებმა (იგივე ოზდიგეულებმა) და შუანელებმა და გვართმევდენ კვამლზედ ათ-ათ მწყრთა თეთრს ხამსა და ან ორ-ოლ აბაზსა, ჩვენს შენახვისასა, რომელნიცა გვიფარავდენ ჩვენა საქონლითურთ მტრისგან წახდენითა და მოტაცებითა ჩვენის საქონლისა, რომელნიცა არაოდეს ჩვენზედ მტერს არ მოუშვებდენ. და იმის გამო ჩვენ ვაძლევდით ბეგარსა დიდი ხანია, ასე რომ უკეთუ ჩვენ გაუმკლავდებოდით და არ მივსცემდით დანიშნულს ბეგარსა პიროობისაებრ ჩვენის შენახვისასა, მაშინ იგინი აგვემტერებოდენ და უფრო წაგვახდენდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრულათა. ხოლო იქნება რვა წელი მას აქეთ, ესე იგი შემდეგ დამშვიდებისა მათისა, ჩვენ მათთვის აღარა მიგვიცია რა, არავითარი დადებული ჩვენზედ ბეგარი.—დაუმატებთ ამასთანავე, რომ წარსულის წლის წინათ ქისტმა, აციგოგოლელმა ახმარზა არსამ-ბეგმა მოგვპარა ხარი და ერთი ფური, და რა შევიტყევით მოპარვა, გამოუდექით და ისევ დავაყრევინეთ მოპარული ძროხები და თვითონ ქურდი კი გაგვექცა; იგი ახმარზა გვითვლიდა კიდევ იქიდამ მუქარასა, რომ ჩვენ არას მოგვისვენებდა და კიდევ გვიმტრობდა, მოგვპარავდა ან საქონელს და ან სხვას რასმესა; ამის გამო რათა აღარ იქონიოს ჩვენზედ შურისძიება და ყოფილიყო ჩვენს სოფელთან მშვიდათა, ჩვენ გაუგზავნეთ მას ერთი ცხვარი ნეთხელი ქისტის ამუყო ლაზი-შვილის ხელითა და იმ დროიდგან ჩვენა ვცხოვრებთ დამშვიდებითა. რაიცა ეაჩვენეთ სიმართლით არის, მისთვის ხელის მოწერაზედ ვერწმუნებით სხვასა.

ჭაბუკა თათარაშვილი და უშიშა სუმელჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, — რადგანაც ამათ წერა არ იცოდენ ამათის თხოვნით და ხელ ჩამოართმევით ხელს ვაწერ იმედა ქისტაური

IV.

ტანიეს ხეობა კუთვნილის საძოვრების მთებით სახნაურის მამულებით და ტყითა შემდგომის სამძღვრებსა შუა მოხსენებული: აღმოსავლეთით: გუროს მთა, სახელწოდებული ისართ ღელე; დასავლეთით: კოლოთანის მთა და ფხატეხის ღელე; სამხრეთით: ტანიეს ღელე, სახელწოდებული წროლი და ჩრდილოეთით: არწივის მთის მაღალი.

ეს მოხსენებული ხეობა თამარ დედოფლის ხელმწიფობამდინ ყოფილა ჩვენს სარგებლობასა ქვეშე და მოდავე არავინა გეყოლია. დამამტკიცებელ საბუთათ ამას ვიტყვით, რომ, როდესაც ჩვენი წინაპარნი გადმოსახლებულან ტანიედამ, უკანხადოს სოფელში, ხევსურეთშია, მაშინ ჩვენის წინაპართ ნება დართვით დროებით ხიზნათ ცხოვრებდენ ქირით და ღალითა

ნეთხის სოფლის ქისტები, რომელნიცა გვამ-
ლევდენ მამულის ღალასა და საძოვრის მთის
საბალახესა, და როდესაცა ქისტები აიყარნენ
იმ ადგილიდამა, მაშინ მოვიდა ხევსური, სო-
ფელს ამღას მცხოვრები, გიორგი ბერდიაშვი-
ლი, რომელიცა ჩამოგვეკიდა და გვთხოვდა,
რომ მიგვეცა ნება მისთვისა დამდგარიყო დრო-
ებით იმ ჩვენს ტანიეს ხეობაშია, ერთი ან ორის
წლითა, და რადგანაც ჩვენ ვიცნობდით მას,
რომ არ იყო კეთილსაიმედო კაცი, ამისთვის
არ მივეცით იქ დგომის ნება.

და რადგანაც იგი გიორგი ჭიმღელ ხევსუ-
რებს არ მოესევენებინათ იმ სოფელში რაცალა სი-
სხლის მართების საქმეზედა, კიდევ მოვიდა ჩვენ-
თან იგი გიორგი და მოგვგვარა ერთი ცხვარი
პატივათა. რომელსაცა შემდეგ იმისა მისცეს ნება
დადგომისა ტანიეს მამულში, სახელდობრ ჩვენს
კუთვნილს ნასადგომარ ციხეშია, რომელიცა
მან ჩვენის ნებადართვით დააქცია და ხელახ-
ლათ აღაშენა სადგომი კოშკი და წისქვილი.
შემდეგ რამდენისამე ხნისა გიორგი მოკლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ხამხელის გვარის ქისტმა სისხლის საქმეზედა.—იმის სიკვდილის შემდგომა შვილი მისი ბაი შეურიგდა ჭიმღელებსა და ტანიედამ თავის სამშობლო სოფელს ამღაშიევ გადასახლდა, და მან აგვიღელა ამღელები და ახიელელები; დაგვიწყეს დავა და ,ცდილობდენ იმ დროიდგან ტანიეს დაჭერასა, რომელნიცა არას გვიყენებდენ და აღნიშნულს მამულს ითვისებდენ თავისკენა, რომელთაცა ჩ ე ნ ბ წლიდამ დაიჭირეს იგი ჩვენი ადგილი ტანიე და სარგებლობენ თვითონ საბალახით, ღალით და სხვა შემოსავლით.—გარდა არხოტელის ხევსურებისა, გვაძლევდენ ჩვენა იმ ადგილის საბალახესა ქისტები ღლიღვის თემისანი, სოფელს ნეთხას მცხოვრებნი: აშუყო ღაზიშვილი, ალიმირზა ბექო ბოლოთაშვილი, მოდი დაქიროვი, ფედანალ ბაშაშვილი და ქიროვი, ასილგა მათიევი, ფარეშა ზაურიოვი, დოლა ღაშტიკაური, ხამხოს სოფლელნი: ორასხა უშაროვი და ასლამა თოთიევი.—რაც ვაჩვენეთ სიმართლით არის, მისთვის ხელის მოწერაზედ ვენდობით სხვასა.

ეროვნული

მამუკა ტორხილაშვილი, გამიხარდი მთავარეპ-ლიშვილი და ბაღათერია სუმელჯაშვილი—რადგან ამათ წერა არ იცოდენ, ამათის თხოვნით ხელს ვაწერ იმედა ქისტაური.

ნება დართვითა უკანხადოს მხოვრებთ ხევსურებისათა, მე ეცხოვრებდი ექვს წელს ტანიეს ხეობაშია, და რაც ხანს მე იქ ვიყავი, იმ მამულის ღალას და ქირას ვაძლევდი უკანხადოელებსა, აგრეთვე საბალახესაც ისენი იღებდენ ხოლმე, ხოლო მას აქეთ ხუთი ანუ ექვსი წელი იქნება, რაც უკანხადოელების სიტყვით ავიყარე და გადავსახლდი ჩემსავე უწინდელს სოფელს ნეთხაშია. რაიცა ვაჩვენე სიმართლით არის, მისთვის ხელის მოწერაზედ ვერწმუნები სხვასა.

აშუყო გაზაშვილი. რადგანაც ამან წერა არ იცოდა, ამისის თხოვნით და ხელ ჩამოართმევით ხელს ვაწერ იმედა ქისტაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1867 წელსა აგვისტოს 15 დღესა ღლიღ-
ვის საზოგადოების მცხოვრებნი გულოვების
გვარის დეპუტატები: იუნკერი არაბხან პარა-
გულოვი და მამასახლისი დოლოთქო დელოქო
არქნოტის ღელის სადაო მიწის თაობაზე იყვნენ
ნაკითხნი თიანეთის მმართველის თავად რატიე-
ვისგან მთის უჩასტკის ინგუშის მაზრის უფროსის
თანადასწრებით და შემდეგი ჩვენება შემოიტა-
ნეს:

„ძველ დროში ჩვენ გვარში ყოფილა ერთი
ქალწული ქალი, რომელიც წყლის მოსატანათ
წასულა და ამდროს ატეხილა ჭექა-ქუხილი,
რომლისაგანაც ამას შეჰშინებია და ამ შიშის-
გან დაორსულებულა. იმას ჰყოლია შვილი,
რომელიც გამხდარა ჩვენი გვარის წინაპარი.
ამ კაცს სახელათ ედაჯი-ეხქი რქმევია და ისეთი
გმირი გაზდილა, რომ იმას ვერა იარაღი
ვერას ავნებდა და არც არაფრისა ჰშინე-
ბია. რადგანაც ის ამისთანა ძრიელი და
მარჯვე ყოფილა ღლიღვის საზოგადოებას თავის
უფროსად ამორჩევა სდომებია. როდესაც ამ საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის საზოგადოება შეჰკრიბეს ეჯი-ეხქს უკითხავს სულ ყველანი აქ არიანო? საზოგადოებას უპასუხნია, რომ მარტო ერთი კაცი ივიზდა-გიზლი აკლიაო და მაშინვე ისიც მოუხმიათ იქ, სადაც ხალხი შეკრებილი ყოფილა. ივიზდა გიზლი თურმე კარგათ ჩაცმული იყო და სარტყლის მაგიერათ ვირის მოსართავი ერტყა. მაშინ უთხრეს იმას, რომ ეგ მოსართავი არ გიხდებაო და აქვე სთხოვეს ეჯი-ეხქის ამორჩევაზე თან-ხმობა. ივიზდა-გიზლმა მიუგო, რომ როგორც ჩემს ტანსაცმელს არ უხდება ეს მოსართავიო, ეგრეთვე ღლიღვის საზოგადოებიდგან არავის ალმორჩევა არ შეიძლება თავადათაო და ამის გამო მართლაც ალარ ამოირჩიეს. რამდენისამე დროს განმავლობის შემდეგ ეჯი-ეხქმა უთხრა ივიზდა-გიზლს, როგორც სიძეს, რომ საქმე შენ არ ჩაგეშალაო, ხალხი სწორეთ მე ამამირჩევდაო და ამისთვის ჩვენ დავამტკიცოთ ჩვენში ვინ უფრო ყოჩაღი და მხნეაო. ამისგამო ეჯი-ექხი წავიდა თავის ხალხით ბაცოს საზოგადოებაში თუშებთან საომრათ და როდესაც იქადგან დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის ალაფით, შემდეგ გამოიარა ხევსურეთზე არ-
ხონტის ღელეში, სადაც ეხლა სოფელი ამლაა.
ამ ომიანობაში ივიზდა-გიზლი მოკლ ეს. ამლაში
დარჩნენ სამი დღე და სამი ღამე და სამი დღის
შემდეგ ხალხმა უთხრა ეჯი-ეხქს დრო არის ეხ-
ლა კი შინ წავიდეთო; იმან უთხრა, რომ
ჯერ ნაშოვარი უნდა გაგიყოთო და ამასთანა-
�ე ისიც დაურთო, რომ მე თქვენთან ერთი
სათხოვარი მაქვსო. ხალხმა უპასუხა, რომ შენი
თხოვნა აღსრულდებაო. თუმცა ამ ნაშოვრიდამ
ორი წილი მე მერგებაო, მაგრამ სულ თქ-
თქვენთვის მომიციაო იმ პირობით, რომ სამი
მაზრა: ამლა, ახიევი და კირიწმინდა ჩემი
იყოსო: ამაზე ყველამ თანხმობა, გამოაცხადა.
მაშინ ხსენებულმა ეჯი-ეხქმა გააკეთა ამლაში
სახლი თავის საქონლისთვის. რამდენისამე ხნის
შემდეგ ფშაველებმა სთხოვეს ეჯის, რომ ამ-
ლაში დასახლების ნება მიეცა სისხლის გა-
დახდის შემთხვევის გამო. იმან შეიწყნარა ამა-
თი თხოვნა და ნება მისცა იმ პირობით, რომ კომ-
ლზე თითო კოდი ქერი და გამომცხვარი პური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზირებისთვის ეძლიოვათ. ეს ხარჯი თითონ მცხოვრებლებს უნდა მიეტანათ ნელხიერდის სალმრთო ადგილამდინ, სადაც ჩვენი წინაპარნი ჩაიბარებდნენ ხოლმე ფშაველებისგან, ესე იგი გადმოსახლებულებისგან (ესლა ხევსურები არიან ისინი). ერთი მათგანი ბრმა იყო და არ შეეძლო თითონ თავის ხარჯის მოტანა დანიშნულ ადგილამდი; ამ ბრმამ სთხოვა ეჯი-ეხქს, რომ არ შემიძლიანო ზიდვაო და გთხოვო იმის მაგიერათ თითო მანეთი მიიღო ხოლმე ჩემგანაო. დაშინ ეჯი თანახმა გაუხდა ამასაც და სხვა გადმოსახლებულებსაც უბძანა თქვენც თითო მანეთი ხარჯი მაძლიეთო. ამ ხარჯს იღებდნენ ჩვენიმამა-პაპანი სამი სოფლიდგან: ამლიდგან, ახიელიდგან და კვირიწმინდიდგან ვიდრე 1858 წლამდინ და ეხლა კი ალარაფერს გვაძლეენ. ჩვენი ჩვენება არის ნამდვილი და მზათა ვარო ფიცით დავამტკიცოთ ეს.

რადგან წერა არ ვიცოდით ესვამთ ქალალდზე ჩვენი თითის ნიშანს.

1867 წელსა 15 აგვისტოს, მცხოვრებნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლლილეის საზოგადოების დეპუტატები გვარი-
საგან ხამხოის: მაზიკო მარზი და ჩიმირ-
ზა მასოსტ იყვნენ კითხულნი საქმისაგამო
სადაო ხეობის თიონეთისა (ტანიე) თიანეთის
მმართველის თავად რატიშვილისაგან დასწრებითა
მთის მაზრის უფროსისა ინგუშის ოკრუღისა
მაიორის ტხოსტოვისა და აჩვენეს შემდგომი:

ერთი ჩვენი წინაპართაგანი იყო ვინმე ბელ-
ხი, რომელიც სცხოვრებდა ისევ თიანეთში (ტა-
ნიე). იმას ჰყვანდა შვილი ბუნბეტი და იმან
ააშენა იქ ციხე და წისქვილი. როცა მამა და შვი-
ლი მოკვდენ, იმათი გვამი დასამარხავათ წაღებულ
იქმნა ჩვენ საზოგადოებაში, იმ ბუნბატის დედაც
იქ არის დამარხული; შემდეგ სხვა და სხვა
დროებით სცხოვრებდენ იმათი შთამომავლობა
იმა ე ადგილს სახელდებ ქაცხალში. როდესაც
ის მოკვდა ხამხში მაშინ იქ ცხოვრება დაიწყო
უშურმა და იმის მერე იმისმა შვილმა ურუს-
ხანმა, რომელიც დღეს ცოცხალი არის. იმის
შემდეგ იქ ცხოვრობდა ბახკუზარი, რომელმაც
შემდეგ იმ ადგილს თავი დაანება მთიელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლების ალიაქოთის გამოისობით წინაალ-
მდეგ რუსეთის მართებლობისა და ისინი შეუერ-
თდენ თავიანთ საზოგადოებასვე და ჩვენთა
შემდგომთა დასტოვეს ცხოვრება ტანიაში. შემ-
დეგ იმისა ამავე ადგილში დაემკვიდრა ამღის
მცხოვრები ხევსურიდგან გიორგი ჩვენისაევ ნე-
ბართვითა იმ პირობით, რომ უნდა იმას ეძლი-
ვა ჩვენთვის მიწის ღალა (სარჯი). თუმცა პირ-
ველ წელში მოგვცა, მაგრამ შემდეგ წლებში
სრულებით უარი სთქვა. შემდეგ რაოდენისამე
დროებისა, როდესაც ის აღარ გვაძლევდა მიწის
ღალას, მაშინ დასაჯეს ისა მით რომ მოკლეს
გიორგი, ხოლო შინაური ქონება დაპირუტყვი
საქონელი წაასხეს. ეს რომ გაიგეს ამღის მც-
ხოვრებთა, გამოუდგნენ და ამდროს ერთი
კიდევ მოკლეს ამღანთაგანი.

შემდეგ ამ ხევსურების სიკვდილისა იმათგან
ისინი ტანიეს ქონებითა და აგრეთვე ამ ღელე-
ბისა არა სარგებლობდნენ; ამასთანავე უმატებთ,
რომ ტანიეს ხეობაში ციხე და წისქვილი აშენე-
ბული არიან ჩვენის ბუნბუტისაგან, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამტკიცებენ სრულებით ღლიღვის საზოგადოების მცხოვრებლები. ამას ვაჩვენებთ მტკიცის სიმართლით და მზათ ვართ დავამტკიცოთ ფიცით. ხოლოთ უცოდინაროებისაგამო წიგნისა დავასვამთ ნიშნებს მელნით დასველებულის თითითა ჩვენითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1867 წ. აგვისტოს 15 დღესა მცხოვრებთა ლლილვის საზოგადოებისა დეპუტატებმა გვარისაგან ბარკინხევებისა: ბახმათ ბათაევი და ახსაკ პარაგულდი იყვნენ კითხულნი საქმისაგამო სადაოს მამულისა ჩიმგისა და კონტილოსისა (კოლოტანისა) თიონეთის ოკრულის ნაალნიკის პოლკოვნიკის კნიაზ რატიევისაგან თანადასწრებითა მთიელის უჩასტკის ნაჩალნიკის ინგუშევის ოკრულისა მაიორის ტხოსთტვისა და აჩვენეს შემდეგი:

ჩვენს პაპისმამას ხაშილგა ბარკანხევს ნაბოძები ჰქონდა ნაწილები მიწისა: ჩიმგა და კოლოტანი საქართველოს მეფის ირაკლისაგან, რომელზედაც, თუმცა ჩვენ გვქონდა ბოძებული ამ მიწებზე სიგლები (გრამოტები), მაგრამ 1830 წელსა, როცა შემოვიდნენ რუსები ჩვენს საზოგადოებაში მოკვლისა პრისტავისა კაპიტანის კონსტანტინოვისა და მღვდლისა, მაშინ ჩვენი სახლები საცხოვრებელითა დაწვეს, ეგრეთვე გუჯარიცა, მაგრამ ჩვენ ესარგებლობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ამ ზემოთ თქმულის მამულითა. ხოლოთ შემდეგ გადმოსახლებისა ჩვენისავე წინაპართ ნებართაკითა ჩვენს მიწაზედ, კოლოტანელები და ჩიმღინელები გვაძლევდენ ჩვენ კომლზედ თითო ცხვარს, ანუ თხას, ხოლო უქონლობისაგამო გვაძლევდენ ფულად სამ აბაზს ანუ ათს იდაყვს (წურთას) ჭრელს გრეხილს (ფარეზი). გარდა ამისა ჩვენ გზირს (ვინც ხარჯს ჭეშეფავს) აძლევდენ თითო ჯამს ძროხის ერბოს, პატარა ჯამის ყველსა და თითო პურსა, და ესეთი ხარჯი დღევანდელ დღემდე იყო. დასამტკიცებლად მისა მოგვყავს რომ კანტოლოელებმა (კოლოტელებმა) გამოგვიგზავნეს ჩვენ ამ წელში ერთი ცხვარი და არაყი ნელხის უბანში, იმ თხოვნითა რომ ეპატიებინათ რომ იმათ წარსულს წელს არ გარდაგვიხადეს თავიანთი ხვედრი ხარჯი. სოფელს ჩიმგში დაესახლნენ სოფლისაგან ბლოსა, ხოლო კოლოტანში სოფლისაგან ბაციდღოსა მთელის ხევსურეთიდგან, და ეს დასახლებულნი, რომელნიც კი მუშაკობდენ პურის მოყვანითა და თიეის თიბვითა, ისინი მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევდნენ ხარჯსა ჩვენს წინაპართა, და საძო-
ერისათვის. ცხვრებსა იქაურ მთებში როგორათაც
იმათგან ეგრეთვე სხვა მაზრების მწყემსებიდგან,
იღებდენ პიროობის გვარად, საბალახეს, ას სულს
ცხვარზედ თითო ცხვარს. ისინი დასახლდენ
ჩვენს ადგილზედ იმ პიროობით, რომ თუ
შემთხვევით ვინმე მოჰკლავს იმათ კაცსა, ანუ
მოიპარავს ვინმე პირუტყვსა, მაშინ ჩვენ უნდა
მივცეთ პასუხი. არხოტის ხეობა გაყოფილია
ორ ნაწილად, ესე რომ ქონება ჩიმღისა და კო-
ლოტანისა ერგოთ ჩვენ წინაპართა, ხოლო ქო-
ნება ამღისა, ახიელისა კვირიწმინდისა ერგოთ
ეულოელის გვაროვნობასა.

რომელსაც ვაჩვენებთ ნამდვილის სიმართლით
და მზათ ვართ დავამტკიცოთ ფიცის ქვეშ. ხო-
ლო უკოდინაროობისაგამო წიგნისა დავასვამთ
ნიშნებს მელნით დასველებულის თითითა ჩ ე-
ნითა

ბახმეტ ბათიევი.

ასრაკ პარაგულგოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადათარგმნა მთარგმნელმა მთიელის მაზრის იუნკერმა ბაისანგურ დახკილგოვმა. (ამბის მეღნიანი თითები).

ჩვენება ჩამოვართვი ნაჩალნიკმა თიონეთის მაზრისა პოლკოვნიკმა კნიაზ რატიევმა

ჩვენების ჩამორთმევის დროს დავესწარ ინგუშევის მაზრის ნაჩალნიკი მთიელის უჩასტკისა მაიორი ტხოსტოვი,

---

1867 წელსა აგვისტოს 15 დღესა მცხოვრებნი ღლიღვის საზოგადოებისა, დეპუტატები გვარისაგან კახკანცებისა: ირკა ბელოკაევი და გატთაგამ ამასხანოვი, იყვნენ კითხულნი საქმისაგამო სადავოს მიწისა მემიჯნაობით არხოთაცებისათანა, რომელიც იწოდება თ ე რ გ ა თ თიონეთის ოკრუგის ნაჩალნიკის პოლკოვნიკის კნიაზ რატიევისგან, თანა დასწრებითა მთიელის მაზრის ინგუშევის ოკრუგისა, აჩვენეს შემდეგი:

თერგის კარის ხიდიდგან დასავლეთის სიმაღლისკენ თერგის მთის წვერამდე, სადაც მიჯნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვის ბოძი სდგას, რომელიც ჰყოფს ჩვენს ქონებას ამა მიჯნებითა არხოტელების ქონებისაგან, ჩრდილოეთის მხრით გვეკუთვნოდა ჩვენ სადაც მოვიდა ამღინის მცხოვრები ბაი გიორგიშვილი და მოხნა ჩვენი მიწა მიჯნის ნაპირზედ, რომლისა შემდეგ ჩვენ აუკრძალეთ მოხვნა ჩვენი კუთვნილის მიწის, ხოლო რომ ის ბაია ხნავდა სამ წელიწადს მაშინ იმწლებისთვის ის მაძლევდა მე (ლ) დღიურ ნახნავზედ თითო მანეთს წელიწადში. ხოლო შემდეგ იმისა. ადგილობრივი პოლიციურის მართებლობითა აგვეკრძალა, როგორც ჩვენ ისე ამგინის მცხოვრებთა სარგებლობა თქმულის მამულითა, საქმის გარჩევის დროამდე ამ სადაეოს მამულისა და ამისათვის ესთხოვ მთავრობის განკარგულებას უკან დაგვიბრუნოს ის ადგილი კუთვნილებისაებრ, რომელსაც ვაჩვენებთ ნამდვილის სიმართლით და მზათა ვართ დავამტკიცოთ ფიცითა. ხოლო უცოდინაროებისაგამო წიგნისა დავასვამთ ნიშნებს მელნით დასველებულის თითითა ჩვენითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოკა ბელოკოვი

გაჯაგაში ამარხანოვი.

გადათარგმნა მთარგმნელმა ნაჩალნიკის მთიულის მაზრის იუნკერმა ბაისანგურ დოხკალგიევმა.

ჩვენება ჩამოვართვი ნაჩალნიკმა თიანეთის ოკრუგისა პოლკოვნიკმა კნიაზ რატიევმა.

ჩვენების ჩამორთმევის დროს ვიმყოფებოდი ინგუშეთის ოკრუგის ნაჩალნიკი მთიულის მაზრისა მაიორი ტხოსტოვი, ვიმყოფებოდი ბლალოჩინი მღვდელი ზარიძე.

ს ა ქ ტ ი.

1867 წელსა აგვისტოს 15 დღესა მოწერილობისაგამო ტფილისის გუბერნის მართებლობისა 31 მაისიდგან 1867 წლისა № 549-ითა აღძრულის დავებისაგამო ქისტის ღლიღვის საზოგადოებისა და ხევსურებისა არხოტის ხეობისა შორის, ნაჩალნიკმა თიანეთის ოკრუგის პოლკოვნიკმა კნიაზ რატიევმა და ნაჩალნიკმა მთიელის მაზრის ინგუშეთის ოკრუღის მაიორმა ტხოსტოვმა ერთათ გამორჩეულთა ორთავე საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოებისაგან დეპუტატებად მოვედით სამეჯნო ადგილზედ თერგისკარისა, სადაც ჩამოვართვით ზეპირად (ჩვენება) დეპუტატებს არხოტისა და ღლილვის საზოგადოებათა და შეუდეგით გარჩევასა ალნიშნულის საქმისასა; გარნა შემთხვევისაგამო სხვა და სხვა ნაირთა ჩვენებათა და დაჩემებათა ორთავე მხარეთაგან არ შეეძლოთ დაეთავებინათ ესე; ესრეთვე განსაზღვრება კანონიერის სახითა ორთა ამა საზოგადოებათა შორის ადგილობით მიჯნებისა თვინიერ ზემლემერისა (მიწის მზომელის), რომლისაგამო ჩამორთმეული ზეპირჩვენებანი ორთავე საზოგადოების დეპუტატებთაგან, დავზდევით რათა წარუდგინოთ მთავრობას გასაშინჯათ და შემდეგის განკარგულებისათვის, რომელზედაც შემდგარია ეს აკტი ჯეროვანის ხელის მოწერითა.

ზეპირ ჩვენება ჩამოვართვი, ნაჩალნიკმა თიოონეთის ოკრუღისა პოლკოვნიკმა კნიაზ რატიევმა.

ნაჩალნიკი მთიელის მაზრის ინგუშევის ოკრუღისა მაიორი ტხოსტოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო საქმეები

ბანკის საქმე ჩვენში

წელიწად—ნახევარია მასაქეთ, ჩვენ დავბეჭდეთ «დროებაში» (1870 წ. № 17) ვრცელი სტატია «ბანკის თაობაზე.» იმ დროს ბანკის საჭიროება ჩვენ ქვეყანაში გვარიანათ ნაგრძნობი იყო ყველასგან, მაგრამ ისე ძლიერ კი არა, როგორც ეხლაა. დღეს ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა—განსაკუთრებით ფულის საჭიროებაში—მეტის მეტათ გაჭირვებული და მოუთმენელია. საითკენაც უნდა მიიხედოს კაცმა ჩვენში, იმას ყოველგან ერთი და იგივე სანახავი ხვდება. ყოველგან საჭიროა ადგილ-მამულის მოვლა, პატრონობა და განსაკუთრებით მისი შემუშავების გაუმჯობესობა; ყველა მხრით საჭიროა ამ საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის ხარჯი და ხარჯი, და ფული კი, ან ხარჯისთვის კი არა, აუცილებელი საჭიროების და მოუთმენავი ვალების გადასახდელათაც არსად იპოება. ამ უშოვნელობას და საჭიროებას ეხლა ჩვენში აღარავინ მალავს; ნიადაგ ყველასგან ისმის «ფული მჭირია, «ნეტავი ფული საიდ ვიშოვო,» «აქვს ამა და ამ კაცს გასასესხებელი ფული, თუ არა,» და სხვა ამ გვარივე კითხვები. და ვინც ამ დაუთვალავ ფულის მეძიებელთაგანი რამდენიმე თუმანს სასესხებელს იშოვის სადმე, ის თავის თავს ისე ბედნიერათ სთვლის, თითქო ეს ფული მოეგოს, ან ეპოვოს სრულ საკუთრებათ. ფულის სარგებელზე, ხომ, რაღა ითქმის: ის იმსიდიდეა, რომ თითქმის არც ერთი საქმე არ იხეირებს, თუ მის გასაწყობლათ თავდაპირველშივე იმოდენა სარგებლის ტვირთი უნდა დააწვეს. რაც სხვა ქვეყნებში დიდუშველებელ სარგებლათ მიაჩნიათ — ორი შაური — ეს ჩვენში უბრალო და უმნიშვნელო რათმე ითვლება. ჩვენში დღეს ფულის მაზანდა ხუთი, ექვსი შაურია, და არც ორი აბაზის სარგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია იშვიათი სანახავი. როცა «საღი კაცები» ამნაირ სარგებელს იძლევიან, რაღა გასაკვირველია, რომ სხვებს ორ ამდენსაც ახდევინებენ ხოლმე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არავინ გადაჭარბებას არ შეგვწამებს, როცა ვიტყვით, რომ დღეს მთელი ჩვენი ადგილ-მამულის შემოსავალი ძლივს აუდის ჩვენი საზოგადოების ვალების სარგებლის გარდახდას. ეს სამწუხარო მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. პოლიტიკური ეკონომიის და საზოგადოების ცხოვრების კანონები იმრიგათვე აუცილებელი და შეურყეველი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები. როგორც ამ ბუნების კანონების ძალით კაცი რამდენიმე წამის მეტს ვერ გასძლებს, წყალში რომ თავიანათ ჩაიყურყუმალოს, აგრეთვე ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის აღებით, თუ მისი შრომის ან მამულის შემოსავალიდგან, ვალის სარგებლის გარდახდის გარდა, იმოდენა კიდევ არ დარჩა, რომ თავის საკვებათ ჰყოფნიდეს. ყოველთვის, როცა აღებული ვალი ვალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამღების მამულს არ აუმჯობესებს, ესე იგი, იმის შემოსავალს არ ადიდებს, ვალი კაცის დამღუპველია. ადრე თუ გვიან ის ანგარიშს შეუშლის კაცს, დაუბურდავს მის საქმეს და მეხსავით დაეცემა თავზე გარდახდის ვადაზე. ეს პოლიტიკური ეკონომიის კანონები შეუცვლელი არიან, და ვალის აღება და ვალის საქმე ნიადაგ და ყოველგან ემორჩილება იმათ. ამისგამო შეუცდომლათ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ჩვენი საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა ამ მოკლე ხანში უნდა შეიცვალოს, რადგანც ამისთანა ძნელი, «გაჭიმული» მდგომარეობა დიდხანს ვერასოდეს ვერ სძლებს; და როგორც ავათმყოფობის დროს ყოველი ამნაირათვე «გაჭიმული მდგომარეობა», ესე იგი «კრიზისი,» მალე თავდება ან ავათმყოფის სიკვდილით, ან მისი ნელი გამომთელებით, სწორეთ ამრიგათვე ჩვენს საზოგადოებას ამ მოკლე ხანს ან სრული ეკონომიური დაღუპვა ელის, ანა და ნელ-ნელი და მძიმე გამომთელება, ყუათზე და ღონეზე მოსვლა,—ესე იგი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ავათმყოფობისთვის ნაპოვნია მრავალი სხვა და სხვა გვარი საშუალება, რომლის ძალით ავათმყოფობა ხან წალმა და ხან უკულმა ბრუნდება, და ავათმყოფი კარგი მოვლით და ექიმობით რჩება ან უფრო დიდხანს სცხოვრობს, ისე ეკონომიურ ცხოვრებისთვისაც მოძებნილია და გამოკვლეულია სხვა და სხვა გვარი საშუალებები გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოსაყენებლად. ერთჯერ და ორჯერ კი არ მომხდარა მარტო, რომ ჩვენ საზოგადოებაზე უარესს მდგომარეობაში მყოფი ხალხი ჩინებულათ გამოსულიყოს თავის გაჭირვებისგან და შემდეგში შესანიშნავი ძალა და შეძლება შეეძინოს: ამისთანა მაგალითებს ათასობით გვიჩვენებს ჩვენ ჩვენი დროების ისტორია. და რადგანაც ჩვენ დღეს ვერც ჩვენს ავათმყოფობას დაუმალავთ ვისმე, ვერც ჩვენ თავათ, ჩვენი ჭკუით, გამოვძებნით ისეთ რასმე, რომ ამ გაჭირვებაში გამოგვადგეს, ჩვენ აუცილებლათ უნდა მივაკითხოთ ჩვენი შველის ამბავი სხვა, უფრო გამოცდილს ქვეყნებს და ულაპარაკოთ შეუდგეთ თმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლას და მაგალითს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ არა ვიცით რა ვერა მოვახერხეთ რა, ვერაფერი შველა და შემწეობა ვერ გამოეძებნეთ ჩვენში; ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ორიოდე «მკითხავების» და «ბებრუხების,» რომელნიც ფუჩ-ფუჩით და ჭიმვით ქვის ნალსსს გვასმევდენ და თავზე მტვერს გვაყრიდენ,—მაშინ როდესაც ჩვენი შეძლების-დაგვარათ ჩვენ მათთვის არაფერს ვზოგავდით და არც ისინი ჩვენსას არას ზოგავდენ,—რომ ამ მკითხავების შელოცვა მეთქი სრულიად უსარგებლო და ფუჭი გამოდგა ჩვენთვის. როგორც სოფლის მკურნალისგან და მკითხავისგან მოწამლული ავათმყოფი—უკანასკნელ წამში—ნამდვილ ექიმს ეკითხება, ისე, დღეს, ჩვენი საზოგადოებაც უნდა დაეკითხოს ნამდვილს ექიმს, რომელსაც მისი მოვლა და—იქნება—შველაც შეეძლოს. ეს ექიმია ის მეცნიერება, რომელსაც მიზნათ საზოგადოების გაწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს, და სახელათ «პოლიტიკური (ანუ სოციალური) ეკონომია» ჰქვია. ეს მეცნიერება გაუგებარი და ძნე-

ლი საგანი არ არის, ისეთი, რომ მისი დარიგებ-ბის გაგება ყველას არ შეეძლოს და მისი რჩევა აუსრულებელი იყოს. მაშ ცუდი როდი იქნება, ჩვენი საზოგადოება ხეირიანათ ყურადღებას რომ მიაქცევდეს ამ საგანს და გულ-და-გულ მოინდომებდეს ამ სწავლისგან გამოძებნილი საშუალებების ხმარებას. რასაკვირველია, რომ ეს სწავლა ვრცელია, და ჩვენ მდგომარეობას მარტო ერთი საშუალება კი არ ეყოფა. მაგრამ ყველას ხომ კაცი ერთათ ვერ მოედება. დღეს ისიც საკმაოთ უნდა ჩაითვალოს, რომ გავსინჯოთ შემოკლებით ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელნიც ჩვენი საზოგადოების გაჭირვებულ მდგომარეობას მოუხდებიან, ესე იგი «კ რ ე დ ი ტ ი» (სესხი) და მისი მმართველი—«ბ ა ნ კ ი.»

ჯერ გავიხსენოთ, რა იყო ნათქვამი ამ საგანზე შარშანდელ «დროებაში.»

«ქვეყანაზე ღმერთს იმისთანა არა გაუჩენია რა, რომ ან ყველაფრით სასარგებლო და კარგი იყოს, ან სულ ცუდი და მავნებელი. საგნის სიკარგე და სიცუდე მომხმარზე და გა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რემოებაზე ჰკიდია: მაგალითად, დანის მოხმარება კაცს თავის სასარგებლოთაც შეუძლია ოჯახში, და თავის მოსაკლავათაც.

«ბანკის საქმეც სწორეთ ასეა. ზოგ საზოგადოებას ბანკი ფეხზე დააყენებს, ზოგს კი სულ ერთიანათ დაღუპავს და ამოაგდებს. ამის მაგალითები ბევრი მოიხდარა ქვეყანაზე.

«ბანკს იმ განზრახვით ჰმართვენ, რომ დაჭირების დროს ფული ისესხონ. ნასესხს ფულს ბევრ ნაირათ მოიხმარს კაცი: თუ უნდა, ქეიფში და ლხინში დააბნევს, თუ უნდა იმ ნაირათ დაახარჯებს მამულს, რომ შემდგომში ბევრათ მომეტებული შემოსავალი მისცეს. პირველ შემთხვევაში ფულის შოვნა კაცისთვის უბედურებაა: იმას რომ სასესხი ფული ვერ ეშოვა, მამულის გაყიდვას ისე ადვილათ ვერ გაბედავდა, და უიმისოთ ხომ მიწა-წყალს ვერ შესვამდა და შესჭამდა,—მაშ ქეიფი და ლხინი უნდა დაევიწყებინა. მაგრერათ, როცა ფულს კაცი თავის მამულის გასაუმჯობესებლათ ხეირიანათ ხმაროობს, ამითი მის მიწა-წყალს უწინდელზე მეტი შემო-

აქვს, მაშასადამე ფასიც ემატება; ამგვარათ დაბ-ხარჯული ფული კაცის მდგომარეობას აუკეთესებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ვალის აღება კარგი და კეთილი საქმეა, თუ კი ფულის სარგებელი მამულის შემოსავალის ნამატს არ გადააჭარბებს.

«სარგებლის დაწესება მარტო ფულის გამსესხებელზე არ ჰკიდია: რაც უფრო საჭიროა კაცისთვის ფულის შოვნა, და რაც უფრო ბევრი კაცისთვის არის ეს საჭირო, მით უფრო დიდი სარგებელი ედება ფულს. აგრეთვე, რაც უფრო მეტი ფულის პატრონებია რომელსამე მხარეში, და რაც უფრო ნაკლებს რიცხვს სჭირია იმ მხარეში ფული, მით უფრო მცირდება სარგებელი.

«ამას გარდა, სარგებლის მომატება ან მოკლება სხვა მიზეზისგანაც მოხდება ხოლმე. ერთი და იგივე ფულის-პატრონი ზოგ კაცს რვა კაპეიკათ ასესხებს თუმანს, და ზოგს კი იმავე თუმანში ოერ აბაზს და ათ შაურს ახდევინებს. პირველ შემთხვევაში ვალის ამღები ალბათ კარ-

ვი მამულის პატრონია, ფულის პატრონს ხეირიან საწინდარს (ჯირაოს) აძლევს, და ფულს, დასაფანტველათ კი არა, სახეიროთ სესხულობს;— ყველა ეს გარემოებანი სესხის გამცემს აიმედებენ, რომ მის მოვალეს ვადაზე თავნის და სარგებლის გადახდა არ გაუჭირდება,—მაშასადამე მის ხელში ფული კარგათ და სალათ შეინახება.—სულ სხვა საქმეა, როცა ვალს მფანტველი კაცი იღებს: ვინ იცის შეეძლება იმას ვადაზე გადახდა თუ არა?—ვაი თუ ის ვადამდი ორჯერ სამჯერ გაკოტრდეს,—უნდა იფიქროს ფულის პატრონმა; და რაკი ის დაჯერებული არ არის, რომ თავის დროზე ფულს უკანვე ამოიღებს, მისი პირველი ფიქრი ეს უნდა იყოს: თუ ამოვიღე, ბარელამ კარგათ-ხეირიანათ ავკრამ, და თუ ვერა,—ჯანიც კი გავარდნია ფულსა და მის წამღებსაკო.

«ეგ ყო ელიფერი მართალია,» იფიქრებს მკითხველი, «მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ცალკე-პირებ შუა წარმოებს. ბანკის საქმე სულ სხვა არის: ბანკის კანონი დაწესებულია,—

მისთვის ფულის გამტანი ყველა ერთია: ფულის წყალში გადამყრელს, და ხეირიანათ მოამხმარებელს, ბანკი ორივეს ერთ და იმავე სარგებლით აძლევს ფულს, თუ ორივეს ერთნაირი საწინდარი აქვს.»

«აბა ენახოთ, მართლა ასეა თუ არა?

«ჩვენში ბანკებს, სულ ბევრი, ბევრი, ორმოცდა ათი ათას თუმანზე მეტი სერმია (ფონდი) არ ექნებათ.—ღმერთმა ხომ იცის, რომ არც ეს ექმნებათ, მაგრამ ასე ჩავაგდოთ. ეს ფული საიდან შედგა? მამულის პატრონებს როცა გლეხ-კაცების დასახსნელი ფული გამოუვიდათ, მაშინ დაწესდა, რომ ამ ფულის ათის თავი ბანკის გასაწყობლათ გადადებულიყო. ამ ნაირათ ზოგმა ორი თუმანი დატოვა საბანკოთ, ზოგმა ოცი. ათი-თუთხმეტი კაცი არ იქნება, ას თუმანზე მეტი რომ დაეტოვებინოს.—ეს გახლავთ შემომტანები.

«ეხლა მკითხველს უნდა ვკითხოთ, ამ ფულების დამტოვებლებში ურევია, თუ არა, ოციოდე კაცი იმისთანა, რომ ბანკის გამართვას აღ-

დგომა დილასაკით არ მოელოდეს, ფულების გამოსატანათ? უმეტესს ნაწილს საბანკოთ სამი თუმანი დაუტოვებია, ბანკის გამართვისთანავე, სულ ცოტა, ცოტა, ოცდაათი თუმნის გამოტანის იმედი კი აქვს. იმისთანებიც ბევრია, რომ ბანკში გროშის მონაწილეობა არ ჰქონდეს, და დღესვე საწინდარი გაემზადებინოს, ბანკიდან ათას თუმნობით ფულის სასესხებლათ...

«ცხადია, რომ ამტენ ვალის ამღებს ჩვენი ბანკების სერმია დიდ-ხანს ვერ გაუძლებს; ბანკის ზანდუკები ძალიან მალე დაცარიელდებიან და მაშინ ბანკს,—როგორც ყოველს ცალკე პირს—ფულის მოძებნა და სესხება დაჰირდება.

«მაშინ, ფულის-პატრონების თვალში, ბანკი მართლა ბანკი კი არა, ცალკე პირების კრება იქმნება. თუ ბანკის მოვალეები სადი პირები არიან, თუ მათი მამული ხეირიან მდგომარეობაშია, და თუ მამულის პატრონებს ფულის დასაფანტაგათ თვალები გამოჭიმული არა აქვთ, ბანკს დიდი და ადვილი ნდობა ექმნება, და ძალიან იაფ ფასათ შეეძლება ფულის შოვნა. თუ

არა და ბანკიც—გაჭირვებულ კოტრიეთ—ფულის პატრონებს დიდ სარგებელს უნდა დაპირდეს, და ეს მომეტებული სარგებელი ვალის ამღებს უნდა ახდევინოს.

«ამ გვარია სარგებლის ანგარიში.—ეხლა, ეგონებ, მკითხველი ცხადათ ხედავს, რომ როგორც სარგებლის სიდიდე, ეგრეთვე ფულის სიმრავლე ბანკში, საზოგადოების ზნეობაზე და მოქმედებაზეა დამოკიდებული. ეს კანონი მკითხველმა კარგათ უნდა დაიხსოვნოს, ამიტომ რომ ამ კანონზეა დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების მომავალი და ბედი. აი, როგორ:

«მალე მტერი დაელია ჩვენ მოკეთეს, მალე ჩვენს ბანკს სერმია გამოელიოს. ორიოდე წლის შემდგომ ბანკების გამართვისა, ჩვენი მამულების უმეტესი ნაწილი ბანკებს ექნება დაგირავებული. ფული ბანკის მოვალეებს დახარჯული ექმნებათ,—ამას რაღა ლაპარაკი უნდა. რაც ადვილათ საშოვარი ექმნება ფული ბანკს, მით უფრო დიდხანს შეეძლება დაარჩინოს გატანილი ფული თავისი მოვალეების ხელში.—მაშასადამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ბანკს ფულის შოვნა გაუჭირდა, ის ან სულ უნდა დაცარიელდეს და უსაქმოთ დარჩეს, ან თავის მოვალეებს უნდა მისდგეს, საქმე გაუჭირვოს და ფული გადაახდევინოს.—როცა ფულის გადახდის ვადა დადგება, და ბანკი ერთბაშათ რამდენიმე მამულის გაყიდვას დააწესებს, მაშინ მყიდველები საიდან გაჩნდებიან? მამულის მეპატრონები (უმეტესი ნაწილი, რასაკვირველია) ბანკის და ცალკე პირების ვალში იქმნებიან ჩავარდნილი; სხვა ფულის პატრონები კი—ვაჭრების, ოტაოდე დიდრონ-დიდრონ მებატონეების და ურიების გარდა—ჩვენში არავინ არის. მაშასადამე, ბანკის განკარგულებით და ბანკის წყალობით აზნაურობის მამულები ნელ-ნელა ზოგი გადავა ვაჭრების, ესე იგი სომხების და ურიების ხელში, ზოგი დიდრონ დიდრონ მამულის-პატრონებს ხვდება, და უმეტესი ნაწილი კი შორიდან მოსულ სხვა ქვეყნების პირებს ერგება. ამ ნაირათ ჩვენი თავად-აზნაურობა ძალიან მალე და გაუგებლათ გარჩება რიყეზე, უყმოთ და უმამულოთ...

ამ უბედურების აზნაურობის თავიდან აცილებლათ საკმაოა, ბანკს იმოდენა შეძლება ჰქონდეს, რომ დიდ-ხანს შეეძლოს მოვალეების ხელში ფულის დატოვება.—ამას ბანკი მხოლოთ მაშინ მოახერხებს, როცა თვითონ საზოგადოებაში, როგორც ჩვენში, ეგრეთვე სხვა ადგილებშიაც, დიდი ნდობა ექმნება. და, როგორც წელან აღვსენით, ეს ნდობა იმას მხოლოდ მაშინ ექმნება, როცა მისი მოვალეები, საზოგადოების თვალში, საღი და სანდო ხალხი იქმნება.

«ჩვენში რომ ბანკი გაიმართება, იმისთანა ბანკს ორი საშუალება აქვს ფულის შესაძენათ: პირველი საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი შემძლე პირები, ფულის შინ შენახვის მაგიერათ, ბანკს აბარებენ თავის ქონებას, ძალიან მცირე სარგებლით.— გვგონია, საჭიროც არ არის თქმა, რომ ჩვენ საზოგადოებაში ამისთანა პირებს, ჩირაღდნითაც რომ ვეძებოთ, მაშინაც ვერ ვიპოვით.—მეორე საშუალება, ბანკისთვის ფულის საშოვნელათ, «ობლიგაციებში» მდგომარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკის «ობლიგაცია» აი რას ნიშნავს. ეთქვათ, ბანკმა თავისი ფული გაასესხა და ვისიმე მამული დაიგირავა; სანამ დაწინდრებული მამულის პატრონი ნასესხ ფულს არ გადაიხდის, ბანკს შეუძლია თავისი უფლება ამ მამულზე სხვა პირს მისცეს გირაოთ და იმდენივე ფული აიღოს ვალათ, რამდენიც თვითონ მიუცია მამულის პატრონისთვის. ისე რომ, თუ ბანკს, ეთქვათ, ათი-ათასი თუმანი გაუვალებია გირაოს ქვეშ, იმას შეუძლია ათი ათასი თუმნის, ან იმაზე ნაკლები, ობლიგაციების გამოცემა.—ამ ობლიგაციებს კერძო პირები ბანკის ბილეთივით ყიდულობენ, ამიტომ რომ ობლიგაციას გირაოსავით აქვს ყველა ბანკში დაწინდრებული მამულები.

«ობლიგაცია სხვა-და-სხვა ნაირი არის. ზოგიერთ ბანკებს ნება აქვს გამოსცეს ობლიგაციები მამულების დაგირავებამდინაც. — სხვა ბანკს მხოლოდ იმდენი ობლიგაციების ნებას აძლევენ, რამდენისაც მამული აქვს დაგირავებული; ზემოხსენებულ ბანკებს კი პირდაპირ ვე

უფლებას აძლევენ, ათასი, ან ორი ათასი, ერთი სიტყვით რამოდენიც დაწესებული იქმნება, იმდენი ობლიგაციები გამოსცენ. მაგიერათ ამისთანა ბანკი სულ სხვა წესზეა გამართული: ეს ბანკები იმით გაირჩევიან სხვებისგან, რომ რომელიმე მხარის, ან მაზრის, საზოგადოება თავისი მამულებით პასუხის მგებელი არის ამ ბანკის ვალებზე.—ამ ბანკებს საზოგადო ბანკები ქვიათ (*общественные банки*).

«ამას რომ მკითხველი შეიტყობს, მაშინვე შებრალებით გაიღიმებს და იტყვის:—«მამა უცხონდა იმათ, მე, რ ღაცა ბანკია, იმის თავდებათ დავდგე ჩემი მამულით! რასაკვირველია!»

«ნუ აჩქარდები, მკითხველო. ის ფული, რომელსაც ბანკი საზოგადო თავდებობით შეაგროებს, მარტო მაშინ ბანკის ხელიდან გადის, როცა გამტანს ძალიან მტკიცე და საღი მამული შემოაქვს საწინდრათ. მაშასადამე, ნამდვილი თავდები—დაწინდრებული მამულებია, და არა მთელი საზოგადოება. თუ საზოგადოება ხეირიან წესდებულებას მისცემს ბანკს და სინიდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიან, მცოდნე კაცებს ჩააბარებს ბანკის თაობას, თუ მამულები პატიოსნათ იქნებიან დაფასებული, საზოგადოებას გროშიც არ გადახდება, და მისი თავდებობა უბრალო წესი, ფორმა, იქნება.

«რუსეთში და სხვა ქვეყნებში ამ უკანასკნელ დროს ძალიან ბევრი საზოგადო ბანკები იმართება. ეს გასაკვირველი საქმე არ არის, იმიტომ რომ ამ ნაირი ბანკი ძალიან ადვილი დასაარსებელი და ძლიერ სასარგებლოა, როგორც ფულის პატრონებისთვის, აგრეთვე ვალის ამღებლებისთვის: მაგნაირი ბანკი დიდ ფულს არ თხოულობს დასაწყისში, და არც თავის მოვალეებს საქმეს უჭირვებს, როცა ვალის გადახდის ბორჯი დგება; ამ შემთხვევაში იმას ადვილათ შეუძლია ხელ-მეორეთ დაგირავების ნება მისცეს გაჭირვებულ მოვალეს.

«ამისთანა ბანკების საშუალებით, ფულით ღარიბი მხარე სხვა მხარის ცხოვრებლებიდგან იაფ ფასათ შოულობს სასესხებელ ფულს; იმათი საშუალებითვე მამულის მეპატრონების ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩება მათი მამული, რომელიც უიმისოთ ძალიან მალე გადაეიდოდა ვაჭრების ხელში. აი ეს ორი მიზეზი ავრცელებს ქვეყანაზე ამნაირ ბანკებს, და აბედვინებს საზოგადოებას ერთმანერთის თავდებათ დადგომას. — მართალია, ჭკუიან, წინ დამხედველ და გონიერ საზოგადოებისთვის ეს, გაბედვა კი არა, ძალიან ნათელი ანგარიშია. მაგრამ ჩვენებურ საზოგადოებაში კი სწორეთ გაბედვა ქვია ამ საქმის თაობას.»

ეს იყო დაბეჭდილი «დროებაში.» ეხლა ჩვენ აქ რამდენიმე შენიშვნა კიდევ უნდა დაუმატოთ «დროების» სტატიას, რომ ბანკის საქმე უფრო ნათლათ დაეანახოთ ჩვენ მკითხველებს.

საზოგადოთ რომ თქვას კაცმა, «ბანკს» მარტო იმ ადგილს, იმ დაწესებულებას ეძახიან, სადაც ფულების შენახვა და ცოტა ხნით სესხება შეიძლება. იმ ქვეყნებში, საცა დიდი აღებ-მიცემაა გამართული, თითქმის ყოველი მწარმოებელი (ფაბრიკანტი), ყოველი ვაჭარი და მეპატრონე ისეთ მდგომარეობაშია, რომ დღეს ათასი თუმნობითა აქვს ჯიბეში, ხვალ კი ასი გროშიც არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს და ზეგ კიდევ უწინდელზე მეტი შემოუ-
დის. იმისთვის, რასაკვირველია, ძნელია, რომ
რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში ფუ-
ლი ჯიბეში უსარგებლოთ ედვას; ათასჯერ უფ-
რო ძნელია მისთვის, რომ დაჭირვების დროს
საკმაო ფული არ მოეძებოდეს და შოვნაც ეძნე-
ლებოდეს. ამისგამო, იმ ადგილებში, საცა დიდი
ალებ-მიცემაა, საცა—მაშასადამე—ერთ პირს მუ-
ქთათ ფულის შენახვა ეძნელება და მეორეს—
უფულობა აწუხებს, იმ ადგილებში მოიგონეს
ისეთი დაწესებულება, სადაც ფულის პატრონს
შეაქვს ფული მოკლე ან გრძელი ვადით, და სა-
იდანაც ფულის მეძიებელს აგრეთვე მოკლე ან
გრძელი ვადით ფული გამოაქვს. ამისთანა და-
წესებას დაარქვეს სახელათ «ბანკი.» ვთქვათ ჩემ
მეზობელს მართებს ჩემი ასი თუმანი, ერთი თვის
ვადით, და მე თვითან დღეს ან ხვალ ფული
მჭირდება. მე მივდივარ ბანკში, და ვთხოვ—აი
ეს ჩემი მეზობლის თამასუქი მიიღეთ, მე ფული
მომეცით, და თქვენ იმას გამოართვით ჩემთვის
მოსაცემი ფული. თუ ბანკი მე და ჩემ მოვალეს საღ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცებათ გვიცნობს, ის მე მაშინვე მიხდის ჩემი მეზობლის ვალს, და თავის დროზე იმას ახდევინებს ფულს. რასაკვირველია, რომ ერთი თვის სარგებელი, რომელიც მე ჩემი მეზობლისგან უნდა მიმეღო, ბანკს მოგებათ რჩება. ანა და, მე მაქვს ბანკის ბილეთები, ან საღი აქციები და ობლიგაციები, მაგრამ ნაღდი ფული მჭირდება. მე მიმაქვს ეს აქციები, ბილეთები და ობლიგაციები ბანკში, და ვაძლევ იმათ გირაოთ; ბანკი მე ნაღდ ფულს რამდენიმე ხნის (უფრო სშირათ სამი თვის ვადით) მაძლევს, და მახდევინებს ნასესხი ფულის მხვედრ სარგებელს.—აგრეთვე, როცა მე ნაღდი ფული მაქვს, რომლის დახარჯვა მომიხდება მე, ვთქვათ, ორი თვის შემდეგ, მე ვაძლევ ამ ფულს ბანკს, და ვახდევინებ იმას მის სარგებელს.—საჭიროების დაგვარათ, მე შემიძლია, იმ ფულებიდგან, რომელიც ბანკში შეტანილი მექნება, ვხარჯო წვრილმანათ, რაც მომინდება, და მაშინ ბანკი მე ჩემგან დანახარჯი ფულის სარგებელს გამომირიცხავს და ისე მიანგარიშებს რომ სარგებელი მარტო იმოდენა ხნისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომცეს, რამდენი ხანიც ჩემი ფული ბანკში იმ-
ყოფებოდა.

ადვილათ მისახვდომია, რომ იმისთანა ქვეყა-
ნაში, სადაც დიდი ვაჭრობა, წარმოება, აღებ-
მიცემა არის, ფულიც ძლიერ ხშირათ და მალ-
მალე გადადის ერთი ხელიდგან მეორეში, და
ბანკშიაც ხშირათ შედის და გამოდის. აგრეთვე
ადვილი გასაგები ისიც არის, რომ იმისთანა
ბანკს, რომელიც ამგვარ საქმეებს შვრება, დიდი
თანხა და თავნი არ სჭირია. დღეს ის ჩემგან
შეტანილ ფულს ჩემ მეზობელს ასესხებს, ხვალ—
ჩემ მეზობლისგან მოცემულ ფულს მე დამიბრუ-
ნებს, და ამ საქმეში თვითონ სარგებლობას მი-
იღებს. თავისი ფული იმოდენა თუ ექნა, რაც
დასჭირდება გადასახდელათ რამდენიმე კოტრის მა-
გიერათ,—მეტი ამნაირს ბაკნს არა სჭირია რა,
და მისი საქმე ჩარხსავით ტრიალობს, ნდობაზე
და ყველას საქმის გაადვილებაზე-—

მაგრამ, ყველა კაცი ვაჭარი და აღებ-მიმცემი
ხომ არ არის; ყველას იმისთანა საქმეები ხომ
არა აქვს, რომელშიაც დღეს ათასი თუმნობით

შემოუდის ფული და ხვალ ორი იმოდენა ეხარჯება და სჭირდება. არიან ისეთი პირები, რომელთაც ფული ბლომათ აქვთ და სულ არ სჭირიათ; არიან იმისთანაებიც, რომელთაც ფული ნიადაგ სჭირიათ და არასოდეს კი არა აქვთ. არიან ადგილ-მამულის მეპატრონები, რომელთაც ფული სჭირიათ ქარხანის გასაშენებლათ, ან სახლის დასადგამათ, ანა და მზითვის გასაცემათ, ან თუნდ, წაგებული პროცესის ფულის გადასახდელათ. იმათ აქვთ გვარიანი ადგილ-მამული, რომელსაც გვარიანათ შემოაქვს პური, ან ღვინო, ან სხვა მოსავალი; მაგრამ ფულათ-ფული კი არა აქვთ. აი, ამისთანა პირების სასარგებლოთ მოგონილია სულ სხვანაირი დაწესებულება, რომელიც თითქმის სრულიადაც არ ჩამოგავს ზემოაღწერილ ბანკს, და რომელსაც საზოგადოთ «ადგილ-მამულის კრედიტს» (crédit foncier, *поземельный кредитъ*) ეძახიან. რადგანც ამ დაწესებულებას ფულებს ესესხებიან ისეთი პირები, რომელთაც კარგი მამული აქვთ, მაგრამ ფულათ-ფული კი ძვირათ ეპო�eba, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც ფულებს იშვიათათ და ცოტ-ცოტათ შოულობენ, უეჭველია, რომ იმათზე გავალებული ფულის მოკლე-ხანში დაბრუნების იმედი ამ დაწესებულებას არ უნდა ექნეს. იმან კარგათ უნდა იცოდეს, რომ გასესხებული ფული თუ-თხმეტი, ოცი წლობით მაინც დარჩება ვალისამღების ხელში, და თუ გადაიხდება — თითო-ორ-ოლა გროშობით, რამდენიმე წლის განმავლობაში. ამის გამო, ამ გვარი დაწესებულება მარტო მაშინ ხარობს, იმას მარტო მაშინ მოაქვს სარგებლობა და მარტო მაშინ აქვს გრძელი სიცოცხლე, როცა შეუძლია ძლიერ დიდი ხნის ვადით გაავალოს ფული და იმ ფულის დაბრუნებამდი თითონ სული არ ამოძვრეს.

ამნაირათვე ცხადია, რომ რაც უფრო მეტია, რომელიმე ქვეყანაში, იმისთანა პირების რიცხვი, რომელთაც ადგილ-მამულის მეტი არა მოეძევათ რა, და ფული კი სჭირიათ სასესხებლათ, მით უფრო მეტი ფული უნდა ჰქონდეს «კრედიტს,» — რომ მარტო ორიოდე პირს კი არ ავალებდეს, და ერთნაირათ სარგებლობას აძლევდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას, ვისაც კი მისი დახმარება სჭირია. და რადგანც ამგვარმა დაწესებულებამ დიდხანს ურდა უცადოს ფულის დაბრუნებას, და დიდ ძალ რიცხვს უნდა ასესხოს ფული, ცხადია, რომ იმას ძლიერ დიდი სერმია, დიდი თანხა უნდა ჰქონდეს.

ეხლა, ვგონებთ, საკმაოთ უნდა ჩნდეს განსხვავება ამ ორ დაწესებულებებს შუა, და ის აზრიც, რომ ჩვენ საზოგადოებას, ჩვენ ხალხს და ჩვენ ქვეყანას სჭირია «კრედიტი,» რომელიც გრძელი ვადით იძლევა ფულს, და არა «ბანკი,» რომელიც ვაჭრული ანგარიშით მარტო რამდენიმე დღის ვადით უწყობს კაცს ხელს. ჩვენი აღებ-მიცემა ჯერ მეტის მეტათ თოთოა და არც იმისთანა სახლის შვილია, რომ დიდრონი საჭიროება ადგეს.—ჩვენი საზოგადოება და ხალხი თუ სასესხ ფულს იშოვის, მალე მის დაბრუნებას ვერ მოახერხებს, და იმას გულდაგული მტერის მეტი არავინ ურჩევს, რომ იმისთანა დაწესებულებისგან ან პირისგან ისესხოს ფული, რომელიც ორიოდე თვის ან წლის მეტს ვერ ადროებს, და მერმე ყელში ხელს წაუჭერს. ამის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა გარემოებაში მოკლე ვადით ფულის სესხება, სიკეთე კი არა, დალუპვა იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის, და ამ საზოგადო დალუპვის დამზადება იქნება იმისთანა ბანკის დაარსება, რომელსაც გრძელი ვადით ფულის გასესხება არ შეეძლება. მაშასადამე, ჩვენ გვჭირია მარტო ხანგრძლივი კრედიტი, რომელმაც გრძელი ვადიანი სესხით უნდა ჩაუდგას სული ჩვენ ადგილ მამულის პატრონობას, ესე იგი მთელ ჩვენ ქვეყანას,—ამიტომ რომ ადგილ-მამულის მეტი ჩვენს არემარეზე არაფერი მოიძევა.

მაშ, იმ დაწესებულებას, რომელმაც ფულის სესხითხელი უნდა გაუწყოს ჩვენებურობას, უნდა ჰქონდეს ძლიერ ბევრი ფული; იმას სრულიადაც არ გამოადგება იმ ბანკების მაგალითი, რომელნიც მოკლე ვადიან სესხს არიგებენ და მცირე თანხით კმაყოფილდებიან.—ეს კანონი ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ.

ეხლა ჩვენ იმის გამოკვლევას უნდა შეუდგეთ, თუ საიდან და როგორ უნდა იშოვოს «ძლიერ ბევრი ფული» იმ დაწესებულებამ, რომელსაც

ჩვენ აღდგომის კვერცხსავით შევჩერებივართ, ესე იგი ჩვენმა ბანკმა?

ჩვენ ქვეყანაში ფული არ ირის.—ეს, თუმც სამწუხარო ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაინც ჭეშ—მა—რი—ტე—ბა—ა. ჩვენ ქვეყანაში რაც ფულია, ის ჩვენ საკუთარ მოთხოვნილებას, ჩვენ ძუძუ-მწოვარ აღებ-მიცემას და ცხოვრებას არ ყოფნის. მაშასადამე ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ აქ, ჩვენ ქვეყანაშიევ, იშოვის იმ ფულს, რომელიც სჭირია ჩვენი საზოგადოების უმეტესს ნაწილს. ეს ფული ბანკმა უნდა გააჩინოს, დიახ, გააჩინოს, ესე იგი მოგვგვაროს საიდანაც მოახერხებს, შორიდამ თუ ახლოდამ, როგორც იმას და ჩვენ უფრო ხელს მოგვცემს. მაშასადამე, ჩვენი ბანკის პირველი ნაბიჯი, პირველი ხელის განძრევა იმაში მდგომარეობს, რომ მოიწვიოს ფული, დაანახოს ფულის პატრონებს, რომ იმათი ფული იმათ სარგებელს მისცემს და არც დაიკარგება, ადგილ-მამულის გირაოთი რომ გასცენ. პოლიტიკური ეკონომიის ენით ამ საქმეს «ადგილ-მამულის დახურდავება ჰქვია.» – ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება ჩვენი ბანკის პირველი და უმთავრესი საქმე.

მაგრამ, რა ნაირათ უნდა მოახერხოს ჩვენმა ბანკმა ეს საქმე, რა გზით უნდა შეასრულოს ეს მოვალეობა?

უეჭველია, რომ, რაკი ჩვენ «ბანკს» ბევრი ფული დასჭირდება, და ჩვენ ქვეყანაში ფული ბევრი კი არა, ცოტაც არ მოიძიება, ბანკმა ფული სხვაგან უნდა ეძებოს. ბანკს შეუძლია ი

ცხადია. თავისი საკუთარი სამასი ათასი მანეთია. იმან ყოველ-შემთხვევისთვის შენახულ თანხათ უნდა იქონიოს. დარჩა, მაშ, ქალალდების გასაღება, რომელიც უნდა მოხდეს, ჩვენში კი არა, იმისთანა ადგილებში სადაც ფული ბლომათ და იაფათ არის. იმისთანა ქვეყნებში ჩვენ და ჩვენ ქვეყანას ძლიერ ნაკლებათ გვიცნობენ, და—ამის გამო, უფრო ნაკლებათ გვენდობიან. მაშასადამე, ჩვენ ბანკს ისეთი საშუალება რამ უნდა ჰქონდეს, რომ ერთბაშათ სხვა ქვეყნებში დიდი ან გვარიანი მაინც ნდობა გაიკეთოს, რომ ბლომათ და იაფათ შეეძლოს ფულის სესხვა ან შოვნა და ჩვენსკენ წამოღება.—იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება ხეირიან გაწყობილებას და ცხოვრებას დიდი-ხანია ღირსებია, გრძელ-ვადიან ბანკს საკმაო გარანტიათ ისიც ეყოფა, რომ ბევრი მამულები აქვს დაგირავებული. ამისთანა ბანკს (კრედიტს) ფულიანი კაცი ადვილათ ანდობს თავის ფულს, იმ იმედით, რომ თუ ბანკს ვალის ამღებმა ფული არ გარდაუხადა, ბანკს შეუძლია მისი მამული გააყიდვინოს და აღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულით დააკმაყოფილოს თავისი მოვალეები. მაგრამ ჩვენში, საქმე სულ სხვა ნაირათ არის. შორებელი ფულის პატრონები როდი დარწმუნდებიან, რომ ბანკი საკმაოთ საფუძვლიანი იქნება და საფუძვლიანათ გადაიხდის თავის ნასესხ ფულს. იმათთვის მეტი რამ არის საჭირო, ისეთი, რომ ერთბაშათ დააჯეროს ბანკის სიმტკიცეში და—ერთბაშათვე დააფუძნოს მათ გულში ბანკის და მაშასადამე—ჩვენის საზოგადოების ნდობა.

ამ ნაირ საშუალებათ გამოადგება მარტო მთელი საზოგადოების თავდებობა ბანკისთვის. შორებელი ფულის მეპატრონე ათასჯერ და ათიათასჯერ უფრო ადვილათ ენდობა მთელ მხარეს, ვინემ ერთს რომელსამე მილიონერს,—ამიტომ რომ მილიონერი შეიძლება ორ დღეში გაკოტრდეს, და მთელი მხარე კი თავისდღეში არ კოტრდება: შიგ ზოგიერთი მდიდრდება, ზოგიერთი ღარიბდება, მაგრამ მხარე ისევ იმისთანა მხარეთ რჩება, როგორიც წინეთ იყო, თუ უფრო მდიდარი არა. რისთვის აქვთ სახელმწიფო ბანკის ან უბრალო კრედიტის ბილეთებს დიდი

და ყოველგანი გასავალი? რისთვის ენდობა მათ კაცი არათუ ჩვენში, მაგრამ ევროპაში, ამერიკაში, ერთი სიტყვით ყოველგან? ამიტომ რომ იმ ბილეთების თავდები არის მთელი სახელმწიფო, ეს იგი შენ, ჩემო მკითხველო, მე, ჩემი მეზობელი, შენი მოყვარე, ერთი სიტყვით ყველანი, ვინც კი ჩვენ სახელმწიფოში ვართ. ამის მსგავსათ არის ყოველგან, და ყოველგანვე მთელ საზოგადოებას უფრო დიდი ნდობა აქვს, ვინემ ძლიერ მდიდარ ფულის პატრონს.

ჩვენში ძლიერ ერიდებიან ამ საზოგადოების თავდებობას და ძლიერ ეშინიათ მისი. მაგრამ სხვაგან, საცა კი უშინჯავთ ეს საქმე, არავის საყვედური არ განუცხადებია მის დაარსებაზე და წარმოებაზე. ცხადია, როგორც წელან იყო ნათქვამი, რომ თუ ბანკი თავის ნასესხს ფულს უგირაოთ არ გასცემს, იმ პირებისთვის, ვისგანაც ბანკი ფულს ისესხებს, გირაოთ მარტო ის მამულები იქნება, რომელიც დაწინდრებული აქვს თვითონ ბანკს. თუ ფულის ამღებმა დროზე თავის ვალი არ გარდაიხადა, ან სარგებელი არ

შემოიტანა, ბანკს შეეძლება მისი საწინდარი-ფულის გაყიდვა და აღებული ფულის შენახვა თავისი საკუთარი ვალის გადასახდელათ. სხვა გასავალი, სხვა ხარჯი ჩვენ ბანკს არ უნდა ჰქონდეს, და თუ ექნება, მარტო ისეთი უნდა იკისროს, რომელიც ყოველის უეჭველოთ ფულს ასარგებლებს, მაგრამ ისე კი, რომ ამ სარგებლობაში თვითონ ფული არ დაიკარგოს. და თუ ბანკის საქმე გონიერათ იქნება წაყვანილი, რა ზიანი და უბედურება დაემართება ბანკს ისეთი, რომ მისი ვალების გარდახდა საზოგადოებას დაატყდეს თავზე?

ჩვენ ბანკს ამის მეტი არა სჭირია რა, — ესე იგი დიდი და ძნელი — ამის მეტი — იმას განსაკ-დელი არა მიადგება რა. მართალია, იმას დასჭირდება ჩინებული მოანგარიშეები, მეტის მეტათ პატიოსანი, უ მ ა ნ კ ო თავი, კეთილ სინიდისიანი დამფასებლები, მაგრამ თუ ესეც ძნელი საშოვარია ჩვენში, -სულ მთლათ ამოვარდნილი და გლახაკები ვყოფილვართ, და მაშინ ან ბანკს რათ ვმართავთ, ან სიტყვა-პასუხს რაზე ეხმაროებთ? ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე — თვითონ საზოგადოების ხელში იქნება-იმაზე იქნება დამოკიდებული სანდო და ხეირიანი პირების ამორჩევა ბანკის მმართველისთვის, და თუ უხეიროებს ამოირჩევს, ვაი მის გუნებას და ბედს. და, თუნდ თავდაპირველათ ძლიერ კარგები არ ამოირჩიოს, შემდეგში მაინც ისწავლის ჭკუას, გამოიცდება და დახელოვნდება, ამიტომ რომ სრული გამოცდილება და ცოდნა ადამსაც არ დაჰყოლია, როცა ის გამჩენის ხელიდგან გა; მოვიდა. ყოველი საზოგადოება, როგორც ყოველი კერძო პირი, ჭკუას და გამოცდილებას იჩენს საქმეში, ცხოვრებაში. მაშ ბანკის თავობაზედაც ის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუგინდ პირველათ მისი საქმე ძლიერ კარგათ არ წავიდეს დასაწყისის გამოცდილება შემდეგისათვის გზას გაგვიადვილებს...

მაგრამ აქედან მკითხველმა ის კი არ უნდა გამოიყვანოს, რომ დაე, როგორიც იყოს ბანკი, დავაარსოთ, და მერმე როგორც იქნება მოუვლით! და გავაუმჯობესებთო. გაუმჯობესება, გამოკეთება მარტო იმისი შეიძლება, რასაც ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების სული უდგია. მკვიდრად დაბადებულ ბავშვს, რამდენიც უაროთ და ეფეროთ, ვერ გააუმჯობესებთ და სულს ვერ ჩაუდგამთ, ათასი წელიწადიც რომ ეფეროთ. ბანკიც ჩვენ სულდგმული და ჯანმრთელი თუ არ დავაარსეთ, მერმე მისი გამოკეთება ჯაინოზ-ექიმსაც აღარ შეეძლება. და მისი ჯანმრთელობა დამოკიდებულია სამ საფუძველზე:

1) ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ის დაწესებულება, რომელსაც ევროპაში და რუსეთში ბანკს უძახიან, ჩვენ სრულიადაც არ გამოგვადგება.—ჩვენ სჯაში ამ საქმის თაობაზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბანკით ჩვენში მარტო ის დაწესებულება გამოდგება, რომელსაც ჰქვია სახელათ ადგილ-მამულის კრედიტი.

2) ჩვენ ბანკს ძლიერ ბევრი ფული დასჭირდება, რომლის საშოკრათ აუცილებლათ საჭიროა რომ ბანკს ჰქონდეს საზოგადო თავდებობა.

3) ჩვენი ბანკი მხოლოდ მაშინ გამოადგება ეხლანდელ ადგილის-მეპატრონეებს, როცა ისი-

ნი ნასესხი ფულით თავიანთ მამულს გააუმჯობესებენ, ესე იგი იმ ფულს იმ რიგათ მოიხმარებენ, რომ მამულს უწინდელზე მეტი შემოჰქონდეს, იმოდენა მაინც, რომ მომეტებული შემოსავალი ნასესხი ფულის სარგებელს გადააჭარბებდეს. ამ საჭიროებისთვის საჭიროა ცოდნა,— თუ რა და რა მოუხდება მამულს, როგორი პატრონობა და მოვლაა მისთვის საჭირო, საიდან და რისაგან შეიძლება სარგებლობის პოვნა და სხვ. მაგრამ ეს უკანასკნელი საგანი ბანკის საქმეს აღარ შეეხება.

ნ. სკანდელი.